საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-75/2
1991

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

2. 1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

# ეკონომიკისა და სამართლის სერია

# СЕРИЯ ЭКОНОМИКИ И ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

2. 1991

გამომცემლობა „მეცნიერება“ • თბილისი
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» ТБИЛИСИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტკარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაიძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**Р Е Д А К Ц И О Н Н А Я  К О Л Л Е Г И Я:** Гуния А. Л. (редактор), Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1991 № 2

რ ე დ ა ქ ც ი ი ს  მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14
А д р е с  р е д а к ц и и: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14
ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 4.VI.1991; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.07.91; შეკვ. № 1356; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 9,45; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,33; ტირაჟი 700;
ფასი 2 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19;
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ეკონომიკა


გ. **ურიდია**, სოციალიზმის ცნება და შესაბამის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემის შესაძლებლობის საკითხი . . . . . . . . 5
ვ. **ბუჩუკური**, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცნების საკითხისათვის . . 12
დ. **კურტანიძე**, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ფაქტორები 1980-1990 წლებში . . . . . . . . . 21
ლ. **გოგნაძე**, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სარეალიზაციო ფასების დიფერენციაციის საფუძვლები . . . . . . . . 35
ქ. **მარშავა**, ვაჭრობის ზემოქმედების ფორმები და მეთოდები მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ასორტიმენტის გაფართოებასა და ამაღლებაზე . . . 52
ა. **უშვერიძე**, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების მაჩვენებლების დინამიკაზე . . . 59


## სამართალი


ქ. **მჭედლიშვილი**, კიდევ ერთხელ სამართლებრივ ვაკუუმზე . . . . . 63
**ლე ვან კამი**, დანაშაულის ზოგიერთი ძირითადი საკითხი ვიეტნამის რევოლუციის შემდგომი სისხლის სამართლის მიხედვით სისხლის სამართლის პირველი კოდექსის (1940-1985) მიღებამდე . . . . . . . . 69
დ. **დარახველიძე**, ქალთა ინფორმირების დონე ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე . 81
ბ. **ზოიძე**, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევით ქართულ სამართალში . . 89
მ **კვაჭაძე**, შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობები . . . 94


## რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა


ეკონომიკის მართვის აქტუალური პრობლემების ანალიზი . . . . 105

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## ЭКОНОМИКА

**Г. М. Уридия.** Понятие социализма и вопрос возможности существования систем соответствующих экономических категорий . . . . 5

**В. В. Бучукури.** К вопросу о понятии научно-технического прогресса . . 12

**Д. А. Куртанидзе.** Факторы развития экономики грузинской республики в 1980-1990 годах . . . . . . . . . . . . . 21

**А. Гогнадзе.** Основы дифференциации реализационных цен на сельскохозяйственные продукты . . . . . . . . . . 35

**К. М. Маршава.** Формы и методы воздействия торговли на расширение ассортимента и повышение качества изделий легкой промышленности . 52

**А. И. Ушверидзе.** Влияние научно-технического прогресса на динамику развития показателей отраслей легкой промышленности Грузии . . . 59

## ПРАВО

**К. Мчедлишвили.** Еще раз о правовом вакууме . . . . . . 63

**Ле Ван Кам.** Некоторые основные вопросы преступления по вьетнамскому послереволюционному уголовному праву в период до принятия первого уголовного кодекса (1945-1985 гг.) . . . . . . . . 69

**Д. Н. Дарахвелидзе.** Уровень информированности женщин по некоторым правовым вопросам . . . . . . . . . . . . 81

**Б. И. Зоидзе.** Лишение наследственных прав по грузинскому праву . . 89

**М. С. Квачадзе.** Убийство, совершенное при смягчающих обстоятельствах . 94

## РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Анализ актуальной проблемы управления экономикой . . . . . . 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკა

გონერ ურიდია

## სოციალიზმის ცნება და შესაბამის ეკონომიკურ კატეგორიათა სისტემის შესაძლებლობის საკითხი

კარგა ხანია ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა კარდინალური მეთოდოლოგიური საკითხები სოციალიზმის არსის შესახებ. რა არის სოციალიზმი? როგორი სოციალიზმია ჩვენთან აშენებული?

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საფუძველი ჩაუყარა თეორიას სოციალიზმის (საერთოდ კომუნიზმის) შესახებ. მისი შექმნის უშუალო წყაროდ წარმოდგება ე. წ. უტოპიური სოციალიზმი (სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი).

კ. მარქსმა კაპიტალისტური საზოგადოების ანატომიის გასაღები პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაში ჰპოვა. მან ანალიზი გაუკეთა ამ საზოგადოებას და დაასკვნა: როდესაც კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მიაღწევს გარკვეულ მაღალ დონეს, მაშინ საწარმოო ძალები ველარ მოთავსდებიან არსებულ წარმოებით ურთიერთობათა გარსში. სოციალური რევოლუციის შედეგად ეს გარსი სკდება და ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. ამასთან, მისი აზრით, სოციალისტური რევოლუცია იყო არა ცალკეული განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მასშტაბის მოვლენა, არამედ პერმანენტული პროცესი, რომლის შედეგადაც მყარდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა.

კ. მარქსის მიხედვით სოციალიზმი (კომუნისტური წარმოების წესის დაბალი ფაზა) არის საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წარმოების წესი, სადაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი გამქრალა. „კოლექტივიზმზე, წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე დაფუძნებული საზოგადოების შიგნით, მწარმოებლები თავიანთი პროდუქტების გაცვლას არ აწარმოებენ“[1].

სოციალიზმის ცნების გაგების მთელი სიმწვავე სწორედ საქონლისა და ფულის კატეგორიაში ძევს. საქონელი და ფული ექსპლოატაციის წმინდა საზოგადოებრივი ფორმებია. ისინი კაპიტალის კლასიკური ფორმის განვითარების საფეხურებია. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი ექსპლოატატორული საზოგადოების ორგანული ატრიბუტებია. სოციალიზმი კი იმით განსხვავდება კაპიტალიზმისაგან (თეორიულად რასაკვირველია), რომ იგი გამორიცხავს ექსპლოატაციის წმინდა საზოგადოებრივ შინაარსს (საქონლის, ფულისა და ადექვატურ ურთიერთობათა ფორმით).

ნებისმიერი წარმოების წესის დროს ვისაც გარკვეული რაოდენობის საქონელი და ფული აქვს იგი ყოველთვის ექსპლოატაციას უწევს იმ კლასს, რომელიც მოკლებულია ამ სიკეთეს, თანამედროვე სოციალიზმის* დროს ფულს

---

1 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ორ ტომად თბ. 1950, გვ. 15.

* თანამედროვე სოციალიზმის ტერმინში ყველგან და ყოველთვის ჩვენ ვგულისხმობთ სოციალიზმის ილუზიას, დეფორმირებულ კაპიტალიზმს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხელოვნურად მოესპო გზა ექსპლუატაციისა და თვითზრდის კლასიკური ფორმისაკენ, იგი მაინც წარმოჩინდა ოღონდ უარესად მახინჯი სახით (ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია, მიწერა...). კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სადაც ეს მოვლენები ეკონომიკური თვალსაზრისით არარსებითია, თანამედროვე სოციალიზმის დროს ამ მოვლენებმა არსებითი, საყოველთაო და ეკონომიური ზრდის დამაქვეითებელი ხასიათი მიიღო (მაგ. სტატისტიკაში ასახელებენ ჩრდილოვანი ეკონომიკის გიგანტურ ხვედრით წილს საცალო საქონელბრუნვაში, რაც შლის და არღვევს თანაფარდობას I და II ქვედანაყოფებს შორის).

კ. მარქსმა მშვენივრად იგრძნო და განჭვრიტა საქონლისა და ფულის ექსპლოატაციური თვისებები, ამიტომ მან ადგილი ვერ მოუძებნა მათ სოციალიზმის პირობებში.

ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი არის პრაქტიკა, ცხოვრება. თეორია იმდენად არის ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი რეალურად ასახავს მოვლენებს, ობიექტურ სინამდვილეს. ამიტომ არ შეიძლება ჭეშმარიტების საზომად დოგმამდე მისული თეორია გამოვაცხადოთ.

თანამედროვე მარქსისტების პოზიცია მშვენივრად გამოიხატება ჰეგელის თეზისით: ჩვენი იდეები სწორია, მაგრამ თუკი მათ ფაქტები ეწინააღმდეგება მით უარესი ფაქტებისათვის.

პრაქტიკამ გამორიცხა ყველა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების იდეა და შესაბამისად მისი პერმანენტული ხასიათი. ამასთან, რაც ყველაზე მთავარი და არსებითია, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით არასასაქონლო, არაფულადი წარმოება (მაშასადამე, არაექსპლოატატორულიც) შეუძლებელი გახდა. ეს ლოგიკურად იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის ცნება სქელტანიან ფოლიანტებს შერჩა.

როგორ წავიდა შემდგომ აზრი ორთოდოქსალური მარქსიზმის პოზიციებიდან?

ვ. ი. ლენინიც გამორიცხავდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობას სოციალიზმის დროს (მიუხედავად იმისა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა ერთ ან რამდენიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში ანუ „ჯაჭვის სუსტ რგოლში“ სოციალიზმის გამარჯვება) და თვლიდა, რომ როდესაც ლაპარაკია ფულზე, მაშინ სოციალიზმზე მსჯელობა სასაცილოა. ამიტომ იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე განხორციელდა ე. წ. „სამხედრო კომუნიზმი“, რომლის ეკონომიკური არსი მდგომარეობდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების „გაუქმებაში“.

სულ ცოტა ხნის შემდეგ ვ. ი. ლენინს პრაქტიკამ დაანახვა, რომ ეს პოლიტიკა შეცდომა იყო. იგი წერდა: „ჩვენ ის შეცდომა დავუშვით, რომ გადავწყვიტეთ უშუალოდ გადავსულიყავით კომუნისტურ წარმოებასა და განაწილებაზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ გლეხები გაწერით მოგვცემდნენ ჩვენთვის საჭირო რაოდენობის პურს, ხოლო ჩვენ ამ პურს დავანაწილებდით ქარხნებსა და ფაბრიკებში, და გამოგვივიდოდა კომუნისტური წარმოება და განაწილება.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სწორედ ასე გარკვეულად და ნათლად დაგვეხატოს ასეთი გეგმა, მაგრამ დაახლოებით ამგვარად ვმოქმედებდით. ეს სამწუხარო ფაქტია“[2].

---

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 33, გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ „სამწუხარო ფაქტის“ გამოსწორებას „მიეძღვნა“ ნეპი, რომელმაც მოითხოვა „უკან დახევა“ ვ. ი. ლენინი წერდა: „უნდა გამოვტყდეთ, რომ უკან დახევა საკმაო არ გამოდგა, რომ აუცილებელია დამატებით უკან დახევა, კიდევ უკან დახევა, როდესაც სახელმწიფო კაპიტალიზმიდან გადავდივართ ყიდვა-გაყიდვისა და ფულის მიმოქცევის სახელმწიფო რეგულირების შექმნაზე“[3].

აქედან იწყება ვ. ი. ლენინის შეხედულებების ევოლუცია სოციალიზმის ცნების შესახებ. ფაქტიურად ვ. ი. ლენინი დაადგა რენეგანტიზმის გზას. „ეს უცნაურად გვეჩვენება—წერდა იგი კომუნიზმი და ვაჭრობა?! ეს რაღაც ფრიად შეუსაბამო, უაზრო და შორეულია. მაგრამ თუ საქმეს ეკონომიკურად ჩავუფიქრდებით, ერთი მეორისაგან იმაზე შორს არ არის, ვიდრე კომუნიზმი წვრილი გლეხური, პატრიარქალური მიწათმოქმედებისაგან“[4].

როგორც ვხედავთ, ხდება სოციალიზმის ცნების საპირისპირო გაგება. კ. მარქსი უარყოფს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს სოციალიზმის დროს, ვ. ი. ლენინი კი აღიარებს მის აუცილებლობას.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ვ. ი. ლენინი ფულის არსებობას აუცილებლად თვლიდა მანამ, სანამ სოციალიზმი არ გაიმარჯვებდა მსოფლიო მასშტაბით. (თუმცა თანამედროვე სოციალისტური სისტემის (უკვე ყოფილი) ქვეყნების მაგალითზე ძნელი წარმოსადგენი არ არის ის სინამდვილე, რომლის დროსაც მსოფლიო სოციალიზმის ფაქტიც ვერ გამორიცხავს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებს). ვ. ი. ლენინი მკაფიოდ მიუთითებს: „როდესაც მსოფლიო მასშტაბით გავიმარჯვებთ, ჩვენ ვფიქრობ ოქროსაგან გავაკეთებთ საზოგადოებრივ ფეხსადგილებს მსოფლიოს რამდენიმე ყველაზე დიდი ქალაქის ქუჩებში... კიდევ საჭიროა ორიოდე ათეული წელი ისეთივე დაძაბულობით და ისეთივე წარმატებით ვიმუშავოთ, როგორც ვმუშაობდით 1917—1921 წლებში, ოღონდ გაცილებით უფრო ფართო ასპარეზზე, რომ აქამდე მივიდეთ“[5].

ლოგიკური თვალსაზრისით ერთ მოვლენას არ შეიძლება ორი ცნება მივუსადაგოთ (მხედველობაში გვაქვს სპეციფიკური არსებითი ნიშნის ალტერნატივა). ორი ჭეშმარიტება არ არსებობს. არ შეიძლება ორი სოციალიზმის ან ორი კაპიტალიზმის არსებობა. სოციალიზმის ცნება იმით განსხვავდება კაპიტალიზმის ცნებისაგან, რომ იგი არაექსპლოატატორული წარმოების წესია და, მაშასადამე, მის შიგნით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისათვის სივრცე არ რჩება. ამიტომ ზემოთქმული გვარწმუნებს, რომ სოციალიზმი თეორიული სოფიზმია და ეკონომიკურად არარეალიზებადი მოვლენაა (ამ დასკვნის მეთოდოლოგიური ფესვები იმალება ღირებულებისა და კაპიტალის კატეგორიათა ისტორიულ-გენეტიკური შინაარსის გაგებაში).

დღეს, თანამედროვე სოციალიზმის პირობებში, ჩვენ გვაქვს არა სოციალიზმი, არამედ მისი ილუზია, რომელიც მიმდინარეობს სოციალიზმის იდეის ერთი წონადი პუნქტის — ე. წ. საზოგადოებრივი საკუთრების ფორმალური რეალიზაციიდან.

საზოგადოებრივი საკუთრება მეტად ფართო აბსტრაქციაა. თანამედროვე სოციალიზმის პირობებში მან მიიღო სახელმწიფო მონოპოლისტური საკუთ-

---

3 იქვე, გვ. 94.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 33 გვ. 116.

5 ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 33, გვ. 117.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რების ფორმა. უფრო მეტიც, საკოლმეურნეო საკუთრებაც მხოლოდ ფორმალურად არსებობდა და არსებობს, როგორც დამოუკიდებელი ობიექტი. სინამდვილეში იგი სახელმწიფო საკუთრების რეალური ნაწილია.

საკუთრებაზე სახელწიფოს ტოტალურმა მონოპოლიამ უაღრესად შეკვეცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი. თეორიაში კი გამარადისდა თეზისი: რაკი არსებობს საზოგადოებრივი საკუთრება — არსებობს სოციალიზმიც, ხოლო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი რომელიც უცხოა მისთვის, შეიძლება „შეურიგდეს" გეგმაზომიერებას.

ტეგორიები ორგანულად (ხაზგასმა ჩვენია გ. უ.) დამახასიათებელია სოციალისტური ქვეყნის დაგროვილმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სასაქონლო წარმოება, მისი კანონები (მათ შორის ღირებულების კანონი) და კატეგორიები ორგანულად (ხაზგასმა ჩვენია გ. უ.) დამახასიათებელია სოციალისტური ეკონომიკისათვის"[6].

ცნობილი მარქსისტის ნ. ა. ცაგოლოვის აზრით, „გეგმაზომიერებაში... პოულობს ასახვას სოციალისტური ეკონომიკის სპეციფიკური უშუალო-საზოგადოებრივი ხასიათი"[7].

უნდა აღინიშნოს, რომ უშუალო-საზოგადოებრივი ურთიერთობების იდეა კ. მარქსმა წამოაყენა, მაგრამ ამ შემთხვევაში უგულვებელყოფილია ან დავიწყებულია ის ფაქტი, რომ კ. მარქსი უშუალო-საზოგადოებრივ ურთიერთობას უშვებს არა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობის დროს, არამედ მის გარეთ. მას მხედველობაში აქვს ყოველთვის „უფულო სოციალიზმი", როცა „ინდივიდუალური შრომა უკვე შემოვლილი გზით კი არა, არამედ უშუალოდ წარმოადგენს ერთობლივი შრომის შემადგენელ ნაწილს"[8]. მაშასადამე თანამედროვე სოციალიზმი, როგორც უშუალო საზოგადოებრივი წარმოება (როგორც ეს დღეს არის მიღებული) არ არსებობს. მას გამორიცხავს საქონელი და ფული; ხოლო რამდენადაც გეგმაზომიერება ცენტრალიზებულ ტოტალურ ხასიათს ატარებს, მასში ვერ ჰპოვებს ადგილს უშუალო-საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რამეთუ გეგმაზომიერების პრაქტიკული რეალიზაცია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებით ხდება.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და უშუალო-საზოგადოებრივ ურთიერთობათა პარალელური არსებობის შესახებ უამრავი ლიტერატურა დაიწერა[9]. ჩვენ არ გამოვედევნებით ამ „დასაბუთებათა" სხვადასხვა მოდიფიკაციების განხილვას, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ა. რუმიანცევის მოსაზრება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შესახებ, რომელიც უბრალოდ ღიმილს იწვევს: „რა თქმა უნდა — წერს ა. რუმიანცევი — სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი თავისთავად არამც და არამც სოციალისტური ურ-

---

[6] Политическая экономия под. ред. В. Медведева М. 1989, с. 371

[7] Ц а г о л о в Н· А. актуалные вопросы методологии политической экономии, М., 1964, с. 10.

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩ. ნაწ. ორ ტომად თბ. 1950 ტ. II. გვ. 15-16. თანამედროვე სიტუაციაში ე. წ. უძრაობის პერიოდში დაწერილი წიგნების და მათი ავტორების კრიტიკა არაეთიკურად მიგვაჩნია, მაგრამ დღესაც ბევრი არ თმობს პოზიციებს.

[9] Методологические проблемы экономической теории социализма. пед. А. К. Покр ытан. М., 1970 გვ. 29; Методологические вопросы политической экономии социализма. Киев-Одесса ред. А. К. Покрытан, 1979, გვ. 123; Я. А. Кронрод, Законы политической а. М. 1966, გვ. 387 და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თიერთობა არ არის, მაგრამ თავისთავად ისინი აგრეთვე კაპიტალისტურიც არ არის. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი, როგორც ასეთი, წარმოიშვა ბევრად ადრე კაპიტალიზმამდე“[10]. ეს იმას ნიშნავს, რომ საქონელი და ფული მონათმფლობელური წარმოების წესის კატეგორიები ყოფილა, ხოლო კაპიტალიზმი და სოციალიზმი „არაფერ შუაშია“ თუკი ეს კატეგორიები ამ სისტემებში ფუნქციონირებენ. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამართლების მოტივაციად სოციალიზმის დროს გამოყენებულია „არგუმენტი“ თითქოს საქონელი და ფული კაპიტალისტური ურთიერთობა არ არის. საქონლისა და ფულის ისტორიული გენეზისი მოწმობს, რომ ისინი სწორედ კაპიტალიზმის ურთიერთობებია, რომ მონათმფლობელობა და ფეორალიზმი კაპიტალიზმის განვითარების საფეხურებია, რომ საქონელი და ფული „თავისთავად“ კაპიტალისტური ურთიერთობანია და მათ არავითარი კავშირი არა აქვთ სოციალიზმთან.

თანამედროვე სოციალიზმის პირობებში კაპიტალიზმის რიგმა ფუნდამენტალურმა ეკონომიკურმა კატეგორიებმა ხელოვნურად ვულგარული მოდიფიკაცია განიცადა. ყოველივე ამან წარმოშვა ყველა ის გაუგებრობა და მანიაკური აპოლოგეტიზმი სოციალიზმის ცნების, მისი ამოსავალი ურთიერთობის და საერთოდ სისტემის დადგენის მცდელობისას. მაგალითად ვ. აგეევმა დათვალა სოციალიზმის ამოსავალი ეკონომიკური კატეგორიის (რეალურად ურთიერთობის) 20-ზე მეტი ვარიანტი[11], ხოლო ი. შევცოვმა ჩამოთვალა კაპიტალიზმის დროს 126 კატეგორია და 19 კანონი და სოციალიზმის დროს 104 კატეგორია და 25 კანონი[12].

არ შეიძლება კაპიტალი შეიცვალოს ფონდით, წარმოების ხარჯები — თვითღირებულებით (ეს ტერმინი პრეფიქსით „თვით“ ულოგიკობაა) სამეურნეო ანგარიში გამოცხადდეს სპეციფიკურად (საპირისპიროდ კომერციული ანგარიშისა), იგნორირებულ იქნას ზედმეტი პროდუქტის ღირებულებითი ფორმა — ზედმეტი ღირებულება, გაცვლის აქტის გარეთ აღმოჩნდეს სამუშაო ძალა და მრავალი სხვა, რომელსაც ვერ გაექცევა თანამედროვე სოციალიზმი ახუ დეფორმირებული კაპიტალიზმი.

კაპიტალიზმი არსებობს რასაკვირველია თანამედროვე სოციალიზმის დროს მხოლოდ შეზღუდული, დამახინჯებული სახით. ყოველივე ეს განპირობებულია საკუთრებით ურთიერთობათა ზეგავლენით. ამიტომ მიგვაჩნია, რომ კაპიტალის შეცვლა ფონდით მცდარი ლოგიკური მანიპულაციაა. არ შეიძლება ცნების შეცვლა სიტყვით. კაპიტალი ცნებაა და მას აქვს ისტორიულ-გენეტიკური დატვირთვა, რასაც ფონდი, როგორც ცარიელი სიტყვა მოკლებულია. რადგანაც კაპიტალი ღებულობს სახელმწიფო კაპიტალის ფორმას, ამიტომ სახელმწიფო გამოდის ყველაზე დიდი ექსპლოატატორი მშრომელი მასებისა. ეს დადასტურებულია საბჭოთა რეალობაში.

ზედმეტი ღირებულება არის მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი პროდუქტის

---

[10] Румянцев А. М. О категориях и законах политической экономии коммунистической формации. М. 1966, გვ. 230.

[11] Агеев В. М. Экономические категории социализма. системный анализ. М., 1980, с. 24.

[12] Шевцов И. С. Категории политическои экономии социализма, Казань, 1982, с. 22—27.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იდეალური, ღირებულებითი გამოხატულება[13]. იგი არსებობს არა მარტო თანამედროვე სოციალიზმის, არამედ მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების პირობებში. სხვა საკითხია, რომ ამ კატეგორიის შინაარსი სხვადასხვა ფორმაციებში ძირითადი წარმოებითი ურთიერთობით ხდება დეტერმინირებული. კაპიტალიზმამდელ ურთერთობებში მას ბუნებრივად განუვითარებელი შინაარსი აქვს, ხოლო თანამედროვე სოციალიზმის დროს ხელოვნურად შეზღუდული და მახინჯი შინაარსის ფორმა.

მიჩნეულია, რომ სამუშაო ძალა საქონლად იქცევა მხოლოდ კაპიტალიზმის პირობებში, რაც მცდარია. სამუშაო ძალა კაპიტალიზმის პირობებში (ისევე როგორც ღირებულება, საქონელი, ფული და კაპიტალი) საქონლის კლასიკურ ფორმას ღებულობს მხოლოდ.

მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის პირობებში მონასა და ყმა გლეხსაც შეუძლია არ გაყიდოს სამუშაო ძალა, რადგანაც ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავებით იგი ფიზიკურად მათ მფლობელობაშია, მაგრამ ძათ, რომ ეს გააკეთონ მოსპობენ ან უკეთეს შემთხვევაში მკაცრად დასჯიან, განსხვავებით იმისაგან, რომ კაპიტალიზმის პირობებში იგი შიმშილით მოკვდებოდა (მხედველობაშია სამრეწველო კაპიტალიზმის საფეხური). მონა და ყმა გლეხიც ქმნის აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტს და აქვს სახმარი ღირებულება და ღირებულება.

სამუშაო ძალა საქონლად იქცევა თანამედროვე სოციალიზმის პირობებშიც, რადგანაც ადგილი არა აქვს უშუალო-საზოგადოებრივ შრომას. სოციალისტური საწარმო (სახელმწიფო) იძენს სამუშაო ძალას და იხდის მის ღირებულებას ხელფასის ფორმით.

აღსანიშნავია, რომ მონათმფლობელურ საზოგადოებაში სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევა გაპირობებულია (საბოლოო ჯამში) გარეშე-ეკონომიკური და ეკონომიკური იძულების თანმთხვევით; ფეოდალიზმის დროს მხოლოდ გარეშეეკონომიკური: კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკური იძულებით სოციალიზმის შემთხვევაში, როგორც ეკონომიკური ასევე გარეშე-ეკონომიკური იძულებით.

თანამედროვე სოციალიზმის პირობებში კაპიტალიზმის ყველა ეკონომიკური კატეგორია განვითარებისდა კვალობაზე უცილობლად მიიღებს კლასიკურ სახეს. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განხორციელდება *კაპიტალიზმზე გადასვლისა და პრივატიზაციის* პროცესები. იგი იქნება უაღრესად მტკივნეული პროცესი და შესაძლებელია არნახულად მტკივნეულიც საზოგადოებისათვის.

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი და ცხოველური არსების, მისი ფსიქოლოგიის და ა. შ. მრავალი ბუნებრივი და საზოგადოებრივი ფაქტორების შესწავლას მივყავართ იქითკენ, რომ ეთიკისა და ეკონომიკის კანონები ურთიერთგამომრიცხველია. კ. მარქსს კაპიტალიზმში აინტერესებს სწორედ ეთიკური მხარე, რომ ადგილი აქვს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და აქ იჩრდილება კაპიტალიზმის ეკონომიკური და შესაბამისად სოციალური ეფექტურობის მომენტი. სინამდვილეში კი ეკონომიკის „ველური“ კანონები

---

[13] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1. გვ. 290; ,
ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5. გვ. 151.

ყოველთვის გადაფარავენ ზნეობის რიგ პრინციპებს, როგორც კი მათ მოუხდებათ „შეხვედრა“.

ჩვენი აზრით, დღეს მთავარია აქცენტი გადავიტანოთ არა ეკონომიკის ეთიკურ მხარეზე, არამედ მისი ეფექტურობის, მშრომელი მასების ცხოვრების დონის აბსოლუტური ზრდის საკითხზე. ადამიანთა ეკონომიკური ნიველირება მათ მორალურ ნიველირებასაც იწვევს. ეს დაამტკიცა თანასწორობის საბჭოურმა ფსიქოზმა.

ამრიგად, სოციალიზმის ეკონომიკური კატეგორიათა სისტემის გამართვა შეუძლებელია, რამეთუ თვითონ ასეთი წარმოების წესი რეალურად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. თანამედროვე სოციალიზმის ეკონომიკურ კატეგორიათა „სისტემა“ კი მთლიანად ემორჩილება კ. მარქსის „კაპიტალში“ ჩამოყალიბებულ სისტემას, მხოლოდ უაღრესად ატროფირებული ფორმით, რაც თავის მხრივ, გამოწვეულია სახელმწიფო საკუთრებისა და ცენტრალიზებული გეგმაზომიერების ფორმებით.

Г. М. УРИДИЯ

## ПОНЯТИЕ СОЦИАЛИЗМА И ВОПРОС ВОЗМОЖНОСТИ СУЩЕСТВОВАНИЯ СИСТЕМ СООТВЕТСТВУЮЩИХ ЭКОНОМИЧЕСКИХ КАТЕГОРИЙ

Резюме

Открывается истинная сущность категории социализма, трактуемая как неэксплуатационный способ производства. Товар и деньги рассмотрены как средства (свойства) эксплуатации. Делается вывод, что теоретически социализм — это софизм и экономически нереализуемое понятие.

Критикуются разные точки зрения совместного существования непосредственно-общественного и товарно-денежного отношения. Отрицается возможность систем экономических категорий социализма как неэксплуатационного способа производства. Утверждается, что «современный социализм» представляет собой деформацию капитализма.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არასაწარმოო სფეროს ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალერიან ბუჩუკური

# მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცნების საკითხისათვის

ცნება „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ გაჩნდა იმ პროცესის შედეგად, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ეპოქაში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის, მათი ურთიერთკავშირისათვის. ეს პროცესი წარმოადგენს მეცნიერებისა და ტექნიკის ისეთ ურთიერთდაახლოებას, უფრო მეტიც, ურთიერთშერწყმას, რომელიც ნიშნავს მეცნიერების გადაქცევას საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად.

50-იან წლებში ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჯ. ბერნალმა პირველად ახსენა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია[1]. ამის შემდეგ ეკონომიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში შემოიჭრა ცნებები „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“ და „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“, რომლებმაც დროთა განმავლობაში ფართო გავრცელება მოიპოვეს. მანამდე გამოიყენებოდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი ცნება: „მეცნიერების განვითარება“ და „ტექნიკური პროგრესი“. ცნებამ „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ გააერთიანა ეს ორი ცნება.

ამჟამად ლიტერატურაში გვხვდება ცნება „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის“ მრავალი განსაზღვრება, რომლებიც ხშირად მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე, მაგალითად, არსებობს ასეთიც: „მეცნიერულ-ტქნიკური პროგრესი — ეს არის შრომის საშუალებების სრულყოფის პროცესი, რომელიც საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარების ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს“[2].

მართალია, შრომის საშუალებების სრულყოფის პროცესი საზოგადოების მწარმოებლურ ძალთა განვითარების ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამ განსაზღვრებაში, როგორც ვხედავთ, მთელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაყვანილია შრომის საშუალებების სრულყოფის პროცესამდე. შრომის საშუალებები ხომ მხოლოდ ტექნიკურ საშუალებებს წარმოადგენენ, და მათი სრულყოფა არის ცნებით „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ გამოხატული მოვლენის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილი.

ამ ცნების არსის განსაზღვრასთან უშუალო კავშირშია კამათი, რომელიც მიმდინარეობდა ეკონომიკურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში 70-იანი წლების დამდეგს იმის შესახებ, თუ როგორ შეეფარდება ერთმანეთს ცნებები. „ტექნიკური პროგრესი“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი“ და „თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“. კამათის ერთ-ერთ მონაწილეს ვ. გ. სემიბრატოვს მიაჩნდა, რომ არ არის საჭირო „ტექნიკური პროგრესის“

---

[1] Дж. Б е р н а л. Наука в истории общества, М., 1954.

[2] Научно-технический прогресс и эффективность производства. Под ред. Г. А. Егиазаряна. М., 1979, с. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „მეცნიერულ-ტექნიკური პორგრესის“ გათავთავადება. იგი ასე განსაზღვრავდა ტექნიკურ პროგრესს: „ტექნიკურ პროგრესად უნდა გვესმოდეს ტექნიკური საშუალებების შექმნა და სრულყოფა, რომლებსაც საზოგადოება იყენებს გარკვეულ სოციალურ პირობებში. ტექნიკური პროგრესი შეიცავს ტექნიკის გამოყენების ხერხებისა და საშუალებების განვითარებას მატერიალური წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური აზრის ბაზაზე; მეცნიერების განვითარებას, ტექნიკური და მმართველი კადრების მომზადების სისტემას, ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის განვითარებას“[3]. აქ ფაქტიურად საუბარია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და არა მხოლოდ ტექნიკური პროგრესის შესახებ, მაგრამ ავტორი მთელ ამ მოვლენას მხოლოდ ტექნიკურ პროგრესს უწოდებს. შემდეგ იგი განმარტავს, რომ ტექნიკური პროგრესი არამარტო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაა, არამედ წარმოებისაც, ადამიანსა და ტექნიკას შორის არსებული კავშირების განვითარებაა წარმოების პროცესში[4].

ლ. ს. ბლიახმანის მიერ მოცემული განსაზღვრების თანახმად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არის სიახლე, რომელიც გულისხმობს წარმოების სრულყოფას ყოველი მისი ელემენტის ჩათვლით: შრომის საშუალებების, შრომის საგნის, მუშახალის, შრომის პროდუქტისა და შრომის ორგანიზაციის მეცნიერული ცოდნის მატერიალიზაციის საფუძველზე[5].

ასეთი განსაზღვრება აშკარად გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაიგივებას წარმოებრივ პროგრესთან, უფრო ზუსტად კი, ამ ცნების მეორე ნაწილს, ე. ი. ტექნიკურ პროგრესს, და წარმოებრივ პროგრესს ავტორი მეტისმეტად აფართოებს. ტექნიკურ პროგრესში მას შეჰყავს წარმოების ყველა ელემენტი: შრომის საშუალებები, ე. ი. ტექნიკა, წარმოების ტექნოლოგია, წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია, წარმოების მართვა, შრომის პროდუქტი, მუშახალი. რა თქმა უნდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროცესში წარმოების ყველა ეს ელემენტი ვითარდება, მაგრამ ტექნიკა არ მოიცავს ყველა ამას. როდესაც საუბარი ტექნიკურ პროგრესს ეხება, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ თვით ტექნიკა — შრომის საშუალებები და წარმოების ტექნოლოგია, რომლის გაუმჯობესებაც განუყოფელია შრომის საშუალებების განვითარებისაგან. ტექნიკური პროგრესი აგრეთვე გულისხმობს შრომის საგნის სრულყოფას. რაც შეეხება წარმოების მართვას, მუშახალს, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციას, ტექნიკური პროგრესი მათზე ახდენს გავლენას, მაგრამ ისინი, როგორც უკვე აღინიშნა, არ წარმოადგენენ ტექნიკის ელემენტებს.

ტექნიკური პროგრესის წარმოებრივ პროგრესთან გაიგივება იმ მიზეზით, რომ ტექნიკა (წარმოების საშუალებები) წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, იმას ნიშნავს, რომ ასევე შეიძლება მეცნიერების განვითარების გაიგივება ტექნიკურ პროგრესთან, რადგან იგი არის ამ უკანასკნელის საფუძველი. ასეთი გაიგივება წარმოადგენს მიზეზისა და შედეგის გაიგივებას, გაერთიანებას. წარმოებრივი პროგრესის მიზეზი ხომ ტექნიკური პროგრესია, ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიზეზი კი თანამედროვე პირობებ-

[3] Семибратов В. Г. Диалектические закономерности технического прогресса. Конспект лекций. Л., 1971, с. 11.

[4] იქვე.

[5] Бляхман Л. С. Экономика научно-технического прогресса. М., 1979, с. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, როდესაც მიმდინარეობს მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის პროცესი, მეცნიერების განვითარებაა. თუ შეიძლება ტექნიკური პროგრესის გაიგივება წარმოებრივ პროგრესთან, ასევე შეიძლება მეცნიერების განვითარების გაიგივება ტექნიკურ პროგრესთან და, საბოლოოდ, წარმოებრივ პროგრესთან. გამოდის, რომ ცნებების „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის“ ნაცვლად შეიძლება ცნების „წარმოებრივი პროგრესის“ გამოყენება. ასეთი მიდგომის შედეგად მთელი ციკლი „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“ თავსდება მის ერთ რგოლში — „წარმოებაში“.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით რიგ ავტორს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შედგება სამი რგოლისაგან — მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოებისაგან[6].

წარმოება არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების ასპარეზი და არა რგოლი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაში შექმნილი ტექნიკა გამოიყენება წარმოებაში, აქ ხორციელდება ახალი ტექნიკის შექმნის ბოლო ეტაპები — სიახლეთა პირველადი ათვისება, ტექნიკური ათვისება, ეკონომიკური ათვისება, მათი გავრცელება და ამოქმედება. ახალი ტექნიკის წარმოებაში გამოყენება არის თვით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საბოლოო მიზანი და დანიშნულება, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ წარმოება, უფრო ზუსტად, წარმოებრივი პროგრესი ჩაითვალოს ამ მოვლენის შემადგენელ რგოლად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შედგება მხოლოდ ორი რგოლისაგან — მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისაგან. წარმოება კი, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების გამოყენების სარბიელი, ციკლის „მეცნიერება — ტექნიკა — წარმოება“ ერთ-ერთ განუყოფელ რგოლს წარმოადგენს. ამ ციკლის ჩამოყალიბება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, როგორც ერთიანი მოვლენის, შედეგია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, როგორც ერთიანი მოვლენა, დამახასიათებელია მხოლოდ თანამედროვე ეპოქისათვის. მანამდე მისი რგოლები — მეცნიერების განვითარება და ტექნიკური პროგრესი — მიმდინარეობდნენ ცალ-ცალკე, ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, როგორც მოვლენის, არსი, საჭირო იქნება თვით ამ რგოლების განხილვა.

მეცნიერების ფუნქციაა ბუნებისა და საზოგადოების შესახებ ცოდნის დაგროვება, მათ საფუძველზე კანონთა და კანონზომიერებათა შემეცნება და იდეების წარმოქმნა, თეორიების შემუშავება, მათი შემდგომი განვითარება და, ბოლოს, გამოყენებითი კვლევის წარმოება. არსებული თეორიების განვითარებასა და დახვეწასთან ერთად, რაც მუდმივად მიმდინარეობს, აგრეთვე ხდება ახალი იდეებისა და თეორიების წარმოქმნა. მაშასადამე, გამოდის, რომ მეცნიერებისათვის ნორმალური მდგომარეობაა მუდმივი განვითარება, რაც ორი — ევოლუციური და რევოლუციური გზით ხორციელდება. თუ ევოლუციური განვითარება მიმდინარეობს ყოველთვის, რევოლუციურ განვითარებას ადგილი აქვს მხოლოდ ცალკეულ პერიოდებში.

ევოლუციური განვითარება მოიცავს ახალი ჰიპოთეზების შექმნას, ბუნებაში არსებული, მანამდე უცნობი, მოვლენების აღმოჩენას და მათ შესახებ

[6] Общественное развитие и НТР. Под ред. И. И. Леймана. Л., 1982, с. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნის გენერირებას, მათ განზოგადებას უკვე არსებული მეცნიერული თეორიების ფარგლებში.

ამავე დროს, მეცნიერების ევოლუციური განვითარებისათვის დამახასიათებელია ერთი თვისება, რომელიც მდგომარეობს მის ზოგიერთ ეტაპზე შინაგან წინააღმდეგობათა წარმოქმნასა და ზრდაში.

რა არის ამ წინააღმდეგობათა შინაარსი?

მეცნიერების ევოლუციური განვითარების პროცესში დგება მომენტი, როდესაც ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ მიღებული და დაგროვებული მონაცემები ვერ თავსდებიან შესწავლილი კანონებისა და კანონზომიერებათა, არსებული მეცნიერული თეორიების ფარგლებში. ამ ფაქტობრივი მონაცემების ახსნა შეიძლება მხოლოდ ახალი მეცნიერული იდეების წარმოქმნისა და სათანადო თეორიების შემუშავების გზით, რომელთა საფუძველში იქნება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მანამდე უცნობი კანონებისა და კანონზომიერებათა აღმოჩენა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ზემოხსენებული წინააღმდეგობათა დაძლევა. ასეთი აღმოჩენა თავისთავად წარმოადგენს რევოლუციურ გადატრიალებას. გადატრიალება კი იწვევს მეცნიერების სათანადო დარგის მეთოდოლოგიის ცვლილებას, მეცნიერული აზროვნების ახალი მეთოდის შემუშავებას. ხდება, როგორც ი. ლიორენცევიჩი აღნიშნავს, გაბატონებული თეორიებისა და კანონების მსხვრევა ახალი მონაცემების ნაკადის მოქმედების ქვეშ, რომლებიც დაგროვებული იქნა მეცნიერების ევოლუციური განვითარების პერიოდში[7]. ასე მოხდა უპირველეს ყოვლის ფიზიკაში, განაგრობს ი. ლორენცევიჩი, რომლის აღმოჩენებმაც გამოიწვიეს მეცნიერთა აზროვნების გარდაქმნა, მიკრო — და მაკროსამყაროს კანონების იგივეობაში დარწმუნებულობის უარყოფა[8].

მეცნიერებაში მომხდარ გადატრიალებებს შეუძლია მოიცვან არა მარტო მისი ცალკეული მხარეები და დარგები, არამედ ცვლილებები შეიტანონ მეცნიერული ცოდნის მთელ სისტემაშიც. ასეთ შემთხვევაში მეცნიერების ცალკეულ დარგებში მომხდარი გადატრიალებები შეიძლება გადაიზარდოს რევოლუციად მთელი მეცნიერების მასშტაბით. ასეთი რევოლუცია კი იწვევს გაბატონებული მეცნიერული ცნებებისა და კატეგორიების სისტემის შეცვლას, როდესაც ისინი არ შეესაბამება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ახლად მიღებულ მონაცემებს.

ასეთი იყო იმ რევოლუციის ხასიათი, რომელიც მოხდა მეცნიერებაში XIX და XX სს. მიჯნაზე. ამ რევოლუციის პროცესში ექსპერიმენტულად დამტკიცდა მატერიის ატომისტური სტრუქტურის თეორია, აღმოჩენილ იქნა ელექტრონი და სხვა ელემენტარული ნაწილაკები, რადიოაქტივობა და რენტგენული გამოსხივება, შეიქმნა ფარდობითობის თეორია, კვანტური მექანიკა და ა. შ. ბუნების ახლად აღმოჩენილი კანონები არ თავსდებოდნენ იმ დროისათვის გაბატონებულ შეხედულებებში ბუნების კანონთა და კანონზომიერებათა შესახებ.

ამ აღმოჩენებმა შემდგომში გამოიწვიეს მეცნიერების მთელი რიგი დარგების განვითარება და ახალი დარგების წარმოქმნა. ეს დარგებია რადიოელექტრონიკა, კიბერნეტიკა, ატომური ფიზიკა და სხვ. რევოლუციამ გამოიწვია

---

[7] Общественное развитие и НТР. Под ред. И. И. Леймана· Л., 1982, с. 14.

[8] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნების საფუძველში მდებარე თვისებებისა და პროცესების აღმოჩენა და გამოკვლევა, საგნებსა და მოვლენებს შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგანპირობებათა გამოაშკარავება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეორე რგოლი — ტექნიკის განვითარება, ანუ ტექნიკური პროგრესი, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს თვით შრომის საშუალებების და ტექნოლოგიის სრულყოფას. არსებული ტექნიკური საშუალებების (მანქანები და მექანიზმები, იარაღები) და ტექნოლოგიების სრულყოფის გარდა, იგი გულისხმობს პრინციპულად ახალი ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური პროცესების შექმნას.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მეცნიერებამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ახალი, ბუნებაში არარსებული მასალების შექმნა, ტექნიკური პროგრესი მოიცავს აგრეთვე ახალი შრომის საგნის შექმნას.

ანალოგიურად მეცნიერების განვითარებისა ტექნიკის პროგრესს გააჩნია როგორც ევოლუციური, ასევე რევოლუციური განვითარების პერიოდები. ევოლუციური პერიოდები გაცილებით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე რევოლუციური. ევოლუციური განვითარება წარმოადგენს შრომის საშუალებების თანდათანობით გაუმჯობესებას, სრულყოფას, ტექნიკურ სიახლეთა შემუშავებას, არსებული, ე. ი. ტრადიციული, ადრინდელი ტექნიკური ან ორგანიზაციული პრინციპის მიხედვით და მის ფარგლებში.

ტექნიკის რევოლუციური განვითარება არის ნახტომისებრი, რევოლუციური ხასიათის ხარისხობრივი ცვლილებების შეტანა მასში ახალი ტექნიკური პრინციპის გამოყენების საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, დამყარებულია მეცნიერების სათანადო დარგში მომხდარ რევოლუციურ გადატრიალებაზე.

ახალი ტექნიკური პრინციპის შემოღების მიზეზი, რომელიც იწვევს ტექნიკის რევოლუციურ განვითარებას, შემდეგში მდგომარეობს.

ტექნიკური საშუალებების თანდათანობითი სრულყოფის შესაძლებლობანი, გამოყენებაში მყოფი ტექნიკური პრინციპის მიხედვით, უსაზღვრო არ არის. დგება მომენტი, როდესაც ეს შესაძლებლობანი ძირითადად ამოწურულია, და ტექნიკის შემდგომი მნიშვნელოვანი სრულყოფა ტრადიციული გზით, რომელიც დააკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნას შრომის მწარმოებლურობის შემდგომ ზრდაში, შეუძლებელი ხდება. ასეთ ვითარებაში ტექნიკის სათანადო დარგებში იქმნება რევოლუციური სიტუაციები, რომელთა არსიც წარმოადგენს წინააღმდეგობას არსებული ტექნიკური პრინციპის მიხედვით და მის ფარგლებში შრომის საშუალებების შემდგომი სრულყოფის შეუძლებლობასა და შრომის მწარმოებლურობის ზრდაში საზოგადოების მოთხოვნას შორის. ეს წინააღმდეგობა კონკრეტულად იმაში ვლინდება, რომ გამოყენებაში მყოფი მანქანათა ოჯახის ყოველი ახალი ნიმუში, შთანთქავს რა წარმოების პროცესში სულ უფრო მზარდ შრომის რაოდენობას, ამავე დროს ამცირებს მისი ექსპლუატაციის ეფექტს, რაც მწარმოებლურობის ნამატის, მარგი ქმედების კოეფიციენტის და სხვა მაჩვენებლების შემცირებაში გამოიხატება.

ამ წინააღმდეგობის დაძლევის ერთადერთი გზაა მხოლოდ ტექნიკური გამოგონების გამოყენება, რის შედეგადაც შეიქმნება ახალი ტექნიკური საშუალებები სულ სხვა ტექნიკური პრინციპის საფუძველზე, რაც ბუნების მანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე გამოუყენებელი ძალების და მოვლენების წარმოების სამსახურში ჩაბმას გულისხმობს და ჩვეულებრივად შრომის მწარმოებლურობის არნახულ ზრდას იწვევს.

ტექნიკის განვითარების ისტორიაში არაერთხელ ჰქონდა ადგილი ასეთ გადატრიალებებს. მკვეთრ ხასიათს ატარებდნენ ენერგეტიკაში მომხდარი გადატრიალებები — ორთქლის ძრავის, შემდეგ ელექტროძრავის გამოგონება და ბოლოს ატომური ენერგიის გამოყენებაზე გადასვლა. ეს იყო ხარისხობრივად ახალ ტექნიკურ პრინციპებზე თანამიმდევრული გადასვლა ენერგეტიკის განვითარებაში. ასევე ხარისხობრივად ახალ ტექნიკურ პრინციპებზე გადასვლას ნიშნავდა მუშამანქანის და ავტომატის შემოღება.

როგორც ზემოთ ითქვა, ადრე მეცნიერება და ტექნიკა ვითარდებოდნენ ცალ-ცალკე, ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად. ტექნიკური საშუალებები ძირითადად იქმნებოდა ემპირიული ძიების გზით. გამოგონებების უმეტესი ნაწილი არ ემყარებოდა მეცნიერულ ცოდნას, რის ძირითადი მიზეზიც მდგომარეობდა მეცნიერების ჩამორჩენილობაში ტექნიკასთან შედარებით. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ გამოგონებების ავტორების დიდი ნაწილი წარმოადგენდა ოსტატებს, რომელთაც არ გააჩნდათ თეორიული მომზადება.

მეცნიერებას არ შეუსრულებია მწარმოებლური ძალის როლი პირველ სამრეწველო რევოლუციაშიც, უფრო ზუსტად რომ ითქვას, ეს როლი მეტად უმნიშვნელო იყო. პირველი სამრეწველო რევოლუციის ამოსავალ რგოლს წარმოადგენდნენ მხოლოდ თვით ტექნიკური გამოგონებები (ორთქლის ძრავის, მუშამანქანისა და სხვ.). მხოლოდ XIX საუკუნეში ნამდვილად იწყება მეცნიერების გადაქცევის პროცესი საზოგადოების მწარმოებლურ ძალად.

მეცნიერებასა და ტექნიკას შორის ურთიერთობა მკვეთრად შეიცვალა XIX—XX სს. მიჯნაზე ბუნებისმეტყველებაში მომხდარი რევოლუციის შედეგად. რევოლუციის პროცესში მომხდარი აღმოჩენები, როგორც უკვე აღინიშნა, ვერ თავსდებოდნენ იმ დროისათვის მეცნიერებაში გაბატონებულ კანონთა და კანონზომიერებათა ფარგლებში. ამ კანონებსა და კანონზომიერებებს დაუპირისპირდა ახლად აღმოჩენილი კანონები და კანონზომიერებანი. ამავე დროს ნათელი გახდა, რომ მათი გამოყენების საფუძველზე შექმნილ შრომის საშუალებებს გაცილებით უფრო მაღალი მწარმოებლურობა ექნება, ვინემ ტრადიციულ მანქანებსა და მექანიზმებს. თავი იჩინა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ თავის თანამიმდევრული განვითარების შედეგად ტექნიკა იმდენად გართულდა, რომ ემპირიული გზით მისი სრულყოფის შესაძლებლობანი, შეიძლება ითქვას, ძირითადად ამოიწურა. რჩებოდა ტექნიკური საშუალებების სრულყოფის ერთი გზა — მეცნიერული რევოლუციის პროცესში აღმოცენებული იდეების გამოყენება.

სათანადო პირობების მომწიფების შემდეგ, რაც მოიცავდა ახალი თეორიების გაღრმავებას, მეცნიერების ახალი, ტექნიკური დარგების ჩამოყალიბებას, გამოყენებითი კვლევების ჩატარებას, საჭირო ტექნიკური ბაზის შექმნას, რასაც ნახევარი საუკუნე დასჭირდა, ამ იდეების პრაქტიკაში რეალიზაცია შესაძლებელი გახდა, და დაიწყო მეცნიერული რევოლუციის გადაზრდა ტექნიკურ რევოლუციად. ამ მოვლენას კი ეწოდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. მის საფუძველშია მეცნიერების საზოგადოების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის პროცესი.


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ითქვას, რომ გადატრიალებები მეცნიერებაში არ ამოიწურება XIX-XX სს. მიჯნაზე მომხდარი რევოლუციის მსვლელობაში გაკეთებული აღმოჩენებით. მეცნიერება დღესაც ხასიათდება დიდი რევოლუციური აღმოჩენებით. ამ აღმოჩენების იდეები, რა თქმა უნდა, გამოიყენება ახალი ტექნიკის შექმნისათვის, რაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ საუბრის უფლებას გვაძლევს როგორც ერთიანი მოვლენის და არა მხოლოდ ტექნიკური ან სამრეწველო რევოლუციის შესახებ.

ვითარდებოდნენ რა წარსულში მეცნიერება და ტექნიკა ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, რევოლუციები მათ განვითარებაში ხდებოდა დროში დაუმთხვევლად. ამჟამად რევოლუცია მეცნიერების რომელიმე დარგში იწვევს რევოლუციას წარმოების სათანადო დარგში. მეცნიერების ზეგავლენით იქმნება ტექნიკური პროგრესის ახალი მიმართულებები, რაც იწვევს ახალ წარმოებათა და მრეწველობის მთელი დარგების აღმოცენებას. ასეთებია, მაგალითად, ლითონის დამუშავების ახალი მეთოდები — ელექტროფიზიკური და ელექტროქიმიური, ფხვნილის მეტალურგია, სალაზერო წარმოება, კვანტური გენერატორების, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების შექმნა, ბიოტექნოლოგია და ა. შ.

ამ დარგებისა და წარმოებების შექმნა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერების მიღწევათა გარეშე, რადგან მათ საფუძველში მდებარე ცოდნის მოპოვება და დაგროვება შეუძლებელი იქნებოდა ემპირიული გზით, მეცნიერების გარეშე. ამავე დროს საჭიროა ითქვას, რომ ტექნიკაც, თავის მხრივ, ახდენს გავლენას მეცნიერების განვითარებაზე, რითაც დასტურდება ფ. ენგელსის მიერ ნათქვამი, რომ „თუ... ტექნიკა მნიშვნელოვან ზომით დამოკიდებულია მეცნიერების მდგომარეობაზე, გაცილებით უფრო მეტი ზომით მეცნიერებაა დამოკიდებული ტექნიკის მდგომარეობაზე და მოთხოვნებზე“[9]. საქმე ისაა, რომ ტექნიკის განვითარების მუდმივი საჭიროება აყენებს მეცნიერების წინაშე ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რითაც ასტიმულირებს მის განვითარებას.

მეცნიერების უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაქცევის შედეგად იქმნება ციკლი „მეცნიერება-ტექნიკა-წარმოება“, და მთელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, როგორც ერთიანი მოვლენა, შეიძლება დაყოფილ იქნას ხუთ ურთიერთდაკავშირებულ ფაზად: 1. ფუნდამენტური კვლევა-ძიება; 2. გამოყენებითი კვლევა; 3. ტექნიკური შემუშავებები და ცდისეული წარმოება; 4. სიახლეთა პირველადი ათვისება (ტექნიკური და ეკონომიკური); 5. სიახლეთა გავრცელება[10].

ფუნდამენტური კვლევა-ძიების დანიშნულებაა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებისა და კანონზომიერებათა, აგრეთვე ობიექტური მოვლენების გამოვლენა, შესწავლა და სისტემატიზაცია. ამ საქმიანობის პირველი ეტაპი წარმოადგენს მხოლოდ მეცნიერულ ინფორმაციას, რომელიც მოიცავს მათ აღწერილობას. მეორე ეტაპზე ხდება იმ მოვლენათა, კანონთა, კანონზომიერებათა და პრინციპების შერჩევა, რომელთა გამოყენება წარმოებაში შესაძლებელი იქნება უახლოეს მომავალში.

---

[9] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 39, с. 174.

[10] Бляхман Л. С. Экономика научно-технического прогресса. с. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოყენებითი კვლევის ფაზაში ხდება ფუნდამენტური კვლევის შედეგად შერჩეული კანონთა, კანონზომიერებათა, პრინციპების პრაქტიკული გამოყენების გზების ძიება, შემდეგ — დარგობრივი ინფორმაციის შემუშავება, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიური რეგლამენტების, ტექნიკურ დავალებათა, მესამე ფაზაში, რომელსაც ეწოდება ტექნიკური შემუშავებები, გამოზადებას.

მესამე ფაზაში, რომელსაც ეწოდება ტექნიკური შემუშავებები, გამოყენებითი კვლევის მონაცემების საფუძველზე მზადდება მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაცია ახალ ნაკეთობებზე, რომლებიც უნდა აითვისოს წარმოებამ, ან არსებულ ნაკეთობებზე მათი სრულყოფის მიზნით.

ტექნიკური შემუშავებების შემადგენელი ნაწილებია საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საპროექტო და საორგანიზაციო შემუშავებები. საკონსტრუქტორო შემუშავებების მეოხებით იქმნება ახალ ნაკეთობათა ნიმუშები, ტექნოლოგიურის კი — ახალი ტექნოლოგიური პროცესები. რაც შეეხება საპროექტო შემუშავებებს, ისინი ემსახურება ახალი ობიექტების მშენებლობას, საორგანიზაციო — წარმოებისა და მართვის ახალი სისტემების ორგანიზაციის ჩამოყალიბებას.

ამავე ფაზაში შედის ცდისეული წარმოება—ახალ ნაკეთობათა დამზადება და მათი გამოცდა (ექსპერიმენტის ჩატარება).

სიახლეთა პირველად ათვისებაში შედის ტექნიკური და ეკონომიკური ათვისება. ტექნიკური ათვისება მოიცავს ახალ ნაკეთობათა ინდივიდუალურ წარმოებას, რომლებიც საჭიროა ერთეულ ეგზემპლარად, ახალ ნაკეთობათა სერიული გამოშვების ათვისებას, ახალ ნაგებობათა ექსპლუატაციაში ჩაბარებას, ახალი მეთოდების პრაქტიკული გამოყენების ათვისებას და ა. შ. ყველა ეს მოითხოვს მთელი რიგი სამუშაოების ჩატარებას — პროექტის შემუშავებას, მაგალითად ტექნოლოგიურისა, სათანადო ფასების, ტექნიკური პირობების, სტანდარტების და სხვ. შემუშავებას და დამტკიცებას, სათანადო აღჭურვილობის კონსტრუირებასა და დამზადებას, ახალ ნაკეთობათა წარმოებისათვის გაწყობილობის შეკვეთას, დამზადებასა და დამონტაჟებას, შენებლობის მომზადებას, სათანადო კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და ა. შ.

სიახლეთა ეკონომიკური ათვისების პროცესში ხდება პროექტის მიერ გათვალისწინებული ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების მიღწევა, პირველ ობიექტზე, რომლებიც განპირობებულია დავალებით. ეს მაჩვენებლებია თვითღირებულება, რენტაბელობა, შრომის მწარმოებლურობა, ფონდუკუგება, მასალატევადობა, საპროექტო სიმძლავრის მიღწევა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მეხუთე ფაზა — სიახლის გავრცელება არის მისი ეკონომიკური ათვისება საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბით ყველა საწარმოში, სადაც კი ეს ათვისება ეფექტს გამოიწვევს. აქ შედის სიახლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სათანადო დოკუმენტაციის ტირაჟირება და ა. შ. ამ ეტაპზე ხშირად აქვს ადგილი დამატებითი შემუშავებების ჩატარებას, რის გამოც შეიძლება იგი ჩაითვალოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემადგენელ ნაწილად როგორც მისი საბოლოო ფაზა.

ასეთია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შინაარსი, მისი შემადგენელი ნაწილები და მათი თანამიმდევრობა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურაში მოცემული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მრავალი განსაზღვრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებიდან ყველაზე მართებულად მიგვაჩნია ვ. ვიბორნოვისა და ვ. მავრიშჩევის მიერ მოცემული: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი — ეს არის დროში განვითარებადი დიალექტიკურად ურთიერთდაკავშირებული მეცნიერული ცოდნის წარმოებისა და მისი პრაქტიკული გამოყენების პროცესი“[11]. ამ განსაზღვრებიდან აშკარად ჩანს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველია მეცნიერული ცოდნა ბუნების კანონების, კანონზომიერებათა და მოვლენების შესახებ, რომელიც მიიღება თეორიული კვლევის შედეგად. ამ ცოდნის მოპოვების საბოლოო დანიშნულებაა პრაქტიკული გამოყენება, რომელიც მდგომარეობს ახალი ტექნიკის შექმნაში. მაშასადამე, ასკვნიან ზემოხსენებული ავტორები, ტექნიკა არის მეცნიერული ცოდნის რეალიზაციის ფორმა, სიტყვის ვიწრო გაგებით კი — სამი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ელემენტის ერთობლიობა — შრომის საშუალებებისა, შრომის საგნებისა და წარმოების ტექნოლოგიური პროცესებისა. ე. ი. ამ განსაზღვრებაში „პრაქტიკული გამოყენება“ აერთიანებს ტექნიკის შექმნას და მის გამოყენებას წარმოებაში, მაგრამ ეს გაერთიანება არ ნიშნავს გაიგივებას.

В. В. БУЧУКУРИ

## К ВОПРОСУ О ПОНЯТИИ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Резюме

Научно-технический прогресс — понятие, возникшее в результате характерного для современной эпохи процесса развития науки и техники в их взаимосвязи. Этот процесс представляет собой такое взаимное сближение науки и техники и, более того, взаимопроникновение, которое означает превращение науки в непосредственную производительную силу общества.

В настоящее время в экономической, философской и социологической литературе встречаются многочисленные определения понятия научно-технического прогресса, нередко резко отличающиеся друг от друга. Для одних из них научно-технический прогресс сводится лишь к совершенствованию средств труда, в других — к техническому прогрессу, в третьих — к производственному прогрессу.

Мы исходим из того, что научно-технический прогресс состоит из двух звеньев — развития науки и технического прогресса, которые находятся в тесном взаимодействии. При этом наука, являясь основой развития техники, сохраняет в этом двуедином процессе свою относительную самостоятельность. Что же касается производства, оно выступает как арена действия научно-технического прогресса, практического использования его результатов.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

[11] Выборнов В. И., Маврищев В. С. Экономическая эффективность промышленного производства. Минск, 1973, с. 169.

„მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1991, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით კურტანიძე

# საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების ფაქტორები 1980-1990 წლებში

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის საჭიროა ეკონომიკური, სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური, ეკოლოგიური ფაქტორების კომპლექსური შესწავლა და შეფასება, შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური ზრდის შემდეგი ფაქტორები: ხალხთმოსახლეობა და შრომითი რესურსები; ეკონომიკის სტრუქტურა; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; არასაწარმოო ინფრასტრუქტურა; ბუნებრივი რესურსები, წარმოებისა და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ორგანიზაცია და მართვა.

ყველა ამ ფაქტორთა დინამიკის თავისებურებების შესწავლა და გადმოცემა სცილდება საჟურნალო სტატიის ფარგლებს, ამის გამო აქ ახლა განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ ზოგიერთი ფაქტორის გავლენას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაზე.

რესპუბლიკაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, მათი დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, სამუშაო ძალის თვისებრივი შემადგენლობა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

1980-1990 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელი გაუარესდა. ამაღლდა სიკვდილიანობის დონე, შემცირდა შობადობა და მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა შრომითი რესურსების ზრდის ტემპების შემცირებაში, 1980-1989 წლებში მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების საშუალო წლიური რიცხოვნობა პრაქტიკულად არ გაზრდილა. მომავალშიც მსგავსი ტენდენციაა მოსალოდნელი. შრომითი რესურსების ზრდა ძირითადად ხორციელდება მოსახლეობის ნაწილის საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობიდან გამოთავისუფლების ხარჯზე.

იმ პირობაში, როცა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა სტაბილურია, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით პრიორიტეტი შრომითი რესურსების განათლებულობის დონის, პროფესიული მომზადებისა და სხვა თვისებრივი მახასიათებლების ამაღლებას ენიჭება. განვიხილოთ დასაქმებულთა სოციალური სტრუქტურა (ცხრილი 1).

რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში ეს ცვლილებები საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული ცვლილების შედეგია. დასაქმებულთა სტრუქტურაში შეიმჩნევა მუშების ხვედრითი წილის ზრდის მდგრადი ტენდენცია. მცირდება კოლმეურნეთა რიცხოვნობა არა მხოლოდ შეფარდებით, არამედ აბსოლუტურადაც. ამასთან, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასა და აგროსამრეწველო ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ხდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშათა რაოდენობის გაზრდა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება სავსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

საქართველოს რესპუბლიკის მუშების, მოსამსახურეების და კოლმეურნეთა საშუალო წლიური რიცხოვნობა (პროცენტობით მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა რიცხოვნობასთან)[1]

| შრომითი რესურსების შემადგენლობა | წლები | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1970 წ. | 1980 წ. | 1985 წ. | 1988 წ. | 1989 წ. |
| მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| მათ შორის: | | | | | |
| მუშები და მოსამსახურეები | 81,1 | 87,7 | 89 | 89,9 | 90,8 |
| აქედან: მუშები | 56,6 | 60,4 | 61,5 | 61,7 | 62,7 |
| კოლმეურნეები, რომლებიც დასაქმებულნი არიან კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში | 18,9 | 12,3 | 11,0 | 10,1 | 9,2 |

ბით კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ ეს ეხება უწინარეს ყოვლისა უშუალოდ სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში დასაქმებულებს. მთლიანად კი, იმ დარგების გათვალისწინებით, რომლებიც ემსახურებიან სოფლისმეურნეობრივ წარმოებას და შედიან აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში, მათი ხვედრითი წილი პერსპექტივაში რამდენადმე იზრდება.

1980-1990 წლებში დასაქმებულთა სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიდიდა მოსამსახურეთა ხვედრითი წილი. ეს აიხსნება უწინარეს ყოვლისა არასაწარმოო დარგთა, განსაკუთრებით კი მომსახურების სფეროს განვითარებით. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ მოსამსახურეთა რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, (განსაკუთრებით მატერიალური წარმოების სფეროში (მათ შორის მართვის აპარატში) ყოველთვის არ არის დაკავშირებული წარმოების ინტერესებისათვის მათ ეფექტიან გამოყენებასთან.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა სოციალური სტრუქტურა მუდამ სრულყოფას განიცდის, რაც რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებითა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით არის განპირობებული.

შრომითი პოტენციალის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მოსახლეობის ტერიტორიული სტრუქტურა. მოსახლეობის სხვა სტრუქტურებისაგან განსხვავებით, ტერიტორიული სტრუქტურა მართვადია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია (აგრეთვე თავადაც ზემოქმედებს) ეკონომიკის ტერიტორიულ სტრუქტურას, საწარმოო ძალთა რაციონალურ განლაგებას, ადგილობრივ სანედლეულო რესურსების ეკონომიკურ ბრუნვაში შეყვანას, ხალხურ რეწვას, საკურორტო მშენებლობასა და ტურიზმის განვითარებაზე.

თანამედროვე პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ტერიტორიული სტრუქტურა (ცხრილი 2), არც ეკონომიკური და არც სოციალური მხარით არ შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად.

---

[1] აქ და შემდეგშიც მოტანილი სტატისტიკური მონაცემები გაანგარიშებულია საქართველოს ერესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის დინამიკა (პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან)

| წლები | მოსახლეობა | |
|---|---|---|
| | ქალაქის | სოფლის |
| 1970 | 47,8 | 52,2 |
| 1979 | 51,9 | 48,1 |
| 1989 | 55,7 | 44,3 |

ცხრილიდან ჩანს, რომ არსებით ცვლილებებს აქვს ადგილი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობას შორის. ეს არის კანონზომიერი პროცესი და სხვადასხვა ზომით დამახასიათებელია როგორც სსრ კავშირისათვის, ისე მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობის ზრდა და სოფლის მოსახლეობის შემცირება უნდა მიმდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მოთხოვნებთან ორგანულ კავშირში. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურა კი, ქალაქის საწარმო ძალთა უფრო სწრაფი განვითარების გამო, ასახავს აღნიშნულ ტენდენციას. ამას ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკის გა-

ცხრილი 3

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქის დასახლების განაწილება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით (წლის დასაწყისისათვის)

| ქალაქის დასახლების რაოდენობა | მოსახლეობის რიცხოვნობა (ათ. კაცი) | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1970 წ. | 1979 წ. | 1988 წ. | 1989 წ. |
| ქალაქის დასახლება—სულ | 2239,7 | 2600,4 | 2915,7 | 2991,3 |
| მათგან მცხოვრებთა რიცხოვნობით, ათ. კაცი: | | | | |
| 3—მდე | 69,4 | 61,7 | 55,7 | 51,3 |
| 3—4,9 | 67,7 | 73,4 | 66,1 | 56,4 |
| 5—9,9 | 154,1 | 149,5 | 179 | 208,1 |
| 10—19,9 | 199,8 | 251,5 | 223,1 | 213,6 |
| 20—49,9 | 398,2 | 381,7 | 425,3 | 453,1 |
| 50—99,9 | 98,2 | 56 | 114 | 118,4 |
| 100—249,9 | 363,3 | 560,6 | 642 | 647,6 |
| 500—999,9 | 889 | — | — | — |
| 1 მლნ. და მეტი | — | 1066 | 1210,5 | 1243,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებამ, რომელიც ითვალისწინებდა ძირითადი კაპიტალური დაბანდების გამოყოფას მძიმე ინდუსტრიის დარგთა განვითარებისათვის.

თანამედროვე პერიოდში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის სწრაფი ზრდისა და შესაბამისად სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირების პირობებში არ მიმდინარეობს სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდა. სოფლის მოსახლეობის შრომითი რესურსების შემცირების გამო ფერხდება ადგილობრივი წარმოებისა და რეწვის განვითარება. ქალაქის მოსახლეობა განაწილებულია აგრეთვე უკიდურესად არათანაბარზომიერად (ცხრილი 3).

რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავმოყრილია ქ. თბილისში. აქ ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის 1/5. ქალაქის მოსახლეობა იზრდება უფრო სწრაფად ვიდრე რესპუბლიკის მოსახლეობა. მარტო 1979-1889 წლებში დედაქალაქის მოსახლეობა გაიზარდა 13,6%-ით. ქალაქის მოსახლეობის უფრო სწრაფი ზრდა განპირობებულია არა იმდენად მოსახლეობის ბუნებრივი მატებით, არამედ ძირითადად მოსახლეობის მექანიკური მოძრაობით. მიუხედავად იმისა, რომ წარმოებს ქ. თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდის შეჩერების ღონისძიებანი, იგი სხვადასხვა მიზეზებით კვლავ გრძელდება. ყოველივე ეს ქმნის საბინაო, სატრანსპორტო, ეკოლოგიურ და სხვა პრობლემებს. ამავე დროს ხდება მოსახლეობის რიცხოვნობის აბსოლუტური შემცირება მრავალ პატარა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში. პატარა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მეურნეობის ვიწროპროფილიანი სტრუქტურა ზღუდავს შრომითი რესურსების დასაქმებას, სამუშაო ადგილის არჩევის შესაძლებლობას, რის შედეგადაც ადგილი აქვს მოსახლეობის არასასურველ მიგრაციას. ყოველივე ეს შესამჩნევად ამცირებს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, ვერ ხორციელდება რესპუბლიკის რაიონებში თანამედროვე საშუალო და მცირე საწარმოების, მსხვილ საწარმოთა ფილიალების შექმნა; ადგილი აქვს მსხვილ სამრეწველო ცენტრების მექანიკური ზრდის ტენდენციას. ამიტომ ეკონომიკური განვითარების კონცეფცია უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს მოსახლეობის უფრო რაციონალური ტერიტორიული განლაგებიდან. ექვს გარეშე საშუალო და განსაკუთრებით პატარა ქალაქში საწარმოთა განლაგების მიზანშეწონილობა, მაგრამ თანამედროვე სამრეწველო საწარმოები უნდა განლაგდეს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების მიზნით, საჭირო ნედლეულისა და სხვა სახის რესურსების გათვალისწინებით. აუცილებელია ქუთაისისა და თბილისის გარე ზონის საშუალო და პატარა ქალაქების დაჩქარებული განვითარება. ეს უნდა განხორციელდეს სოციალურ-კულტურული პოტენციალის (სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ტერიტორიული სამეცნიერო ცენტრების განლაგება, დონის ამაღლების გზით, მათში მომპოვებელი და გადამამუშავებელი დარგების საწარმოების განლაგებით, საკურორტო და ტურისტული მეურნეობის განვითარებით, აგრეთვე აგროსამრეწველო გაერთიანებათა ცენტრების შექმნით. უნდა აღორძინდეს რესპუბლიკის წინათ მიტოვებული მთიანი და მთისწინა რაიონები.

ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს განათლება, მაღალკვალიფიციური კადრები. საქართველოში ადგილი აქვს მოსახლეობის კულტურისა და განათლების დონის ამაღლებას. ეს კონკრეტულ გამო-

ხატულობას პოულობს უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და ზოგადი განათლების მუშაკთა ხვედრითი წილის ამაღლებაში (ცხრილი 4).

ც ხ რ ი ლ ი 4

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების რიცხოვნობა (მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო წლიური რიცხოვნობა—100 %)

| წლები | ს უ ლ | მათ შორის | |
|---|---|---|---|
| | | უმაღლესი განათლებით | საშუალო სპეციალური განათლებით |
| 1970 | 17,7 | 10,1 | 7,6 |
| 1980 | 21,8 | 12,7 | 9,1 |
| 1985 | 23,8 | 14 | 9,8 |
| 1988 | 25,8 | 15,1 | 10,6 |
| 1989 | 27,5 | 16,2 | 11,3 |

მოტანილი მონაცემები მუდმივად იცვლება. მაღლდება განათლების მქონე პირთა ხვედრითი წილი. მთლიანად საბჭოთა კავშირში 1988 წელს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთა ხვედრითი წილი შეადგენდა 28,7%-ს (მათ შორის უმაღლესი განათლების 12,4%-ს). როგორც ჩანს დასაქმებული მოსახლეობის განათლების მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია, იგი წარმოადგენს ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალური გარდაქმნების შედეგს. ეს დადებითი მოვლენაა და საჭიროა უფრო რაციონალურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული კადრების განათლებულობის პოტენციალი. ამ ფაქტორის გავლენით საქართველოში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და მომავალშიც უნდა განვითარდეს.

მანქანათმშენებლობის ისეთი დარგები როგორიცაა: ელექტროტექნიკური, ელექტრონული, რადიოტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობა, რობოტმშენებლობა. ამ დარგების განვითარება რესპუბლიკის ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა. სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებების შექმნა სხვადასხვა დარგებში საშუალებას იძლევა სწრაფად დაინერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და რაციონალურად იქნეს გამოყენებული მაღალკვალიფიციური მუშაკები. შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ცხოვრების დონის გამოთანაბრების საკითხს როგორც რესპუბლიკათშორის, ისე შიდარესპუბლიკურ დონეზე. არ უნდა იყოს მკვეთრი სხვაობა მათ შორის. ეს უწინარესად შეეხება ხელფასსა და მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს, რომელთა სიდიდეები ორგანულად არის დაკავშირებული წარმოებულ და გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალთან. განსახილველ პერი-

ოდენ ნათლადაა გამოკვეთილი განსხვავება საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მუშა-მოსამსახურეების საშუალო თვიურ ხელფასს შორის.

1980 წელს საქართველოს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 14 პროცენტული პუნქტით ჩამორჩებოდა სსრ კავშირის შესაბამის მაჩვენებლის, 1988 წელს კი ჩამორჩენამ შეადგინა 15 პროცენტული პუნქტი.

კიდევ მეტი განსხვავებაა კოლმეურნეთა საშუალო თვიურ ხელფას შორის. საქართველოს რესპუბლიკაში იგი სსრ კავშირის მხოლოდ 78,8%-ს შე-

ც ხ რ ი ლ ი 5

საქართველოს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ფულადი ხელფასი სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით (სსრკ-100 %)

| სახალხო მეურნეობის დარგები | წ ლ ე ბ ი | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1970 | 1980 | 1985 | 1988 |
| მრეწველობა (სამრეწველო-საწარმოო პერსონალი) | 89,0 | 91,6 | 93,9 | 90,6 |
| მ ა თ შ ო რ ი ს: | | | | |
| მუშები | 90,6 | 93,9 | 97 | 95 |
| მოსამსახურეები | 82,3 | 81,9 | 80,2 | 79,7 |
| სოფლის მეურნეობა | 73,9 | 74,7 | 75,8 | 75,6 |
| მათგან საბჭოთა მეურნეობები, სამეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები | 71,3 | 72,3 | 73,1 | 74,3 |
| მშენებლობა | 96,7 | 104,3 | 110,1 | 101,9 |
| მათგან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები: | | | | |
| მუშები და მოსამსახურეები სულ | 96,5 | 107,3 | 113,8 | 102,6 |
| მ ა თ შ ო რ ი ს: | | | | |
| მუშები | 99,4 | 111,5 | 118,8 | 115,7 |
| მოსამსახურეები | 84,7 | 84 | 81,2 | 73 |
| ტრანსპორტი | 82.8 | 81,1 | 82,1 | 77,2 |
| რკინიგზის | 95,9 | 85,1 | 85,3 | 79.1 |
| საწყლოსნო | 92,5 | 69,4 | 81,8 | 85,5 |
| საავტომობილო | 78,7 | 79,6 | 81,5 | 76,9 |
| კავშირგაბმულობა | 87,3 | 83,7 | 86,1 | 82,3 |
| ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და გასაღება; დამზადება | 89,3 | 91,8 | 91,2 | 85,6 |
| საბინაო კომუნალური მეურნეობა; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება | 87,1 | 86,7 | 86,7 | 81,2 |
| ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სოციალური უზრუნველყოფა | 91,1 | 84,9 | 84,2 | 78 |
| მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება | 90,8 | 88,1 | 84,1 | 78,9 |
| მმართველობის ორგანოების აპარატი | 90,4 | 87,7 | 87,3 | 81,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადგენდა. არსებითი სხვაობაა აგრეთვე ისეთ მაჩვენებელთა შორის როგორიცაა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი სახალხო მეურნეობაში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან მისაცემლებისა და შეღავათების ჩათვლით.

ასე მაგალითად, 1980 წელს ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკა სსრ კავშირს ჩამორჩებოდა 12,4 პროცენტული პუნქტით, ხოლო 1988 წელს საქართველოს რესპუბლიკა 16,6 პროცენტული პუნქტით ჩამორჩა სსრ კავშირის შესაბამის მაჩვენებელს.

შრომითი პოტენციალის ეფექტიანობა თავის ასახვას ძირითადად მის მატერიალურ სტიმულებში პოულობს. ვაჩვენოთ თუ რა მდგომარეობაა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში (ცხრილი 5).

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიურ ხელფასს შემცირების ტენდენცია აქვს საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით, მაგრამ სხვადასხვა დარგებში სხვადასხვანაირი ტენდენციით ხასიათდება. ეს მაჩვენებლები იზრდება მხოლოდ მშენებლობის დარგში, ისიც მხოლოდ მუშათა ხელფასი. განსაკუთრებით ძლიერ დაირღვა თანაფარდობა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში მოსამსახურეთა ხელფასში, ტრანსპორტზე. ყოველივე ეს ძალზე სერიოზულ პრობლემად მიგვაჩნია რესპუბლიკისათვის ვინაიდან იგი ამცირებს მოსახლეობის აქტივობას. ამ უარყოფითი მოვლენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის ეკონომიკის სტრუქტურის განვითარებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე. წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონე განაპირობებს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას. რესპუბლიკის წინაშე დგას როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა დარგობრივ და ტერიტორიულ ჭრილში. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მცირდებოდა ეროვნული შემოსავლის ზრდა შრომის ნაყოფიერების ამაღლების შედეგად. მხოლოდ 1988 წელს იქნა მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად ეროვნული შემოსავლის ნამატი. 1985 წელს 1970 წელთან შედარებით საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 2,2-ჯერ. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი წინ უსწრებდა ფონდშეიარაღების მაჩვენებელს 11 პროცენტული პუნქტით. საქართველოში შრომის ნაყოფიერება 1980-1985 წლებში უფრო ინტენსიურად იზრდებოდა ვიდრე სსრ კავშირში მთლიანად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის დინამიკა არათანაბარზომიერია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. ასე მაგალითად, შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიური ტემპი მრეწველობაში 1981-1985 წლებში შეადგენდა 2,1%-ს, სოფლის მეურნეობაში 2,3%-ს და მშენებლობაში 2,8%-ს. 1986-1989 წლებში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება არ გაზრდილა, იგი კვლავ 2,1%-ს შეადგენდა. სოფლის მეურნეობაში შემცირდა 1%-მდე და მშენებლობაში 2,4%-ის ტოლი იყო. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების დონე საქართველოში 1985 წელს შეადგენდა სსრ კავშირის შესაბამისი მაჩვენებლის, 86%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობის — 45%-ს. ასეთი გართულებული მდგომარეობა განპირობებულია ძირითადად წარმოების დაბალი ტექნიკური დონით. საწარმოო აპარატის მაღალი ტემპებით გაზრდას არ ახლავს წარმოების მექნიზაციისა და ავტომატიზაციის შესაბამისი ამაღლება. მრეწვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში ხელით შრომის დონე შეადგენდა 53%-ს, ხოლო მშენებლობაში და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში კიდევ უფრო მაღალი იყო.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ორი ტენდენცია შეინიშნება. ერთი — მრეწველობაში უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით და შრომის ნაყოფიერების არსებითი ჩამორჩენა სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და მშენებლობაში და მეორე, რაზედაც განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი, — შედარებით მაღალი შრომის ნაყოფიერება იმ დარგში, სადაც უშუალოდ არ იწარმოება ეროვნული შემოსავალი, არამედ ხდება მისი მხოლოდ ღირებულებითი სიდიდის ზრდა. ასე მაგალითად, შრომის ნაყოფიერება აღნიშნულ დარგებში 6,18--ჯერ მაღალი იყო, ვიდრე სოფლის მეურნეობაში, 6,42-ჯერ მაღალი, ვიდრე ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 1,95-ჯერ მაღალი — ვიდრე მშენებლობაში, ხოლო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 1,47-ჯერ 1983 წლის დონესთან შედარებით. მოტანილი მონაცემები მოწმობენ იმას, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება უფრო მეტი ზომით ამაღლდა არა მისი იმ დარგებში გაზრდით, რომლებიც უშუალოდ აწარმოებენ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, არამედ მიმოქცევის ხარჯზე.

საქართველოს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება მაღალია ვიდრე შესაბამისი საკავშირო მაჩვენებელი, ასე მაგალითად, მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის ხვედრითი წილი მაღალია (1,45-ჯერ 1980 წ.), ვიდრე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხვედრითი წილი (1,21-ჯერ). ეს ფაქტორი გავლენას ახდენს მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო-თვიურ ხელფასებს შორის გარკვეულ განსხვავებაზე, რომელიც ვლინდება საკავშირო და რესპუბლიკური მაჩვენებლების შედარებისას. აქ ეტყობა გარკვეულ როლს ასრულებს ცვლის კოეფიციენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლის კოეფიციენტი სსრ კავშირის მასშტაბით 1970-1988 წლებში შემცირდა 1,42-დან 1,37-მდე. საქართველოსათვის ასეთი ტენდენცია დამახასიათებელი იყო 1980-1989 წლებში. ამჟამად ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა რამდენადმე ჩამორჩება საკავშირო დონეს. ცვლის კოეფიციენტის ამაღლების პრობლემა — ეს არის დასაქმების, შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენების, მომუშავეთა რიცხოვნობასა და სამუშაო ადგილის შესწორების პრობლემა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ადგილი აქვს შემოსავლების შრომის ნაყოფიერების ზრდაზე წინსწრების ტენდენციას. ასე მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკაში საშუალო ხელფასის მატებამ შრომის ნაყოფიერების მატების 1%-ზე 1981-1985 წლებში მრეწველობაში შეადგინა 1,5%. სოფლის მეურნეობაში 1,98% და მშენებლობაში 2,45%. საკავშირო მაჩვენებლებია შესაბამისად 1,06, 0,89 და 0,89%. 1986-1989 წლებში ეს მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და საქართველოს მრეწველობაში მან შეადგინა 1,48%, სოფლის მეურნეობაში 0,94% და მშენებლობაში 0,96%. კავშირის მასშტაბით კი გაიზარდა და შესაბამისად 1,7, 1,0 და 1,1% შეადგინა.

მსგავსი ტენდენცია — შემოსავლების წინმსწრები ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შედარებით შეიმჩნევა ისეთი მაჩვენებლის მიხედვითაც როგორიცაა მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო ფულადი ხელფასი, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობაში, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან მოსახლეობის მიერ მიღებული მისაცემლები და შეღავათები.

რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითად ფონდებს. მათი მდგომარეობით (უწინარეს ყოვლისა ძირითადი საწარმოო ფონდების) შესაძლოა ვიმსჯელოთ რესპუბლიკის ეკონომიკურ პოტენციალზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონეზე. ვინაიდან გაფართოებული კვლავწარმოების ყველა დანარჩენი ელემენტები უშუალოდ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული ძირითად ფონდებზე მთლიანად, და, კერძოდ ძირითად საწარმოო ფონდებზე. სწორედ მათში ვლინდება უწინარეს ყოვლისა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები. თანამედროვე პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის საწარმოო ძირითადი ფონდები შეადგენენ მთელი ძირითადი ფონდების 66,6%-ს.

საწარმოო ძირითადი ფონდები ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. ძირითად საწარმოო ფონდებს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნულ სიმდიდრეში 38,2% უკავია საბრუნავ საშუალებებს კი 22,1%.

1980-1990 წლებში, ვერ იქნა დაძლეული რესპუბლიკის საწარმოო ძირითადი ფონდების ხვედრითი წილის ჩამორჩენა სსრ კავშირის ძირითადი ფონდების ღირებულებაში. 1988 წელს რესპუბლიკის ხვედრითმა წილმა სსრ კავშირის ძირითად საწარმოო ფონდების ღირებულებაში შეადგინა 1,38%, 1980 წელს კი იგი იყო 1,42%. საქართველოს მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულებამ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგინა საშუალო საკავშირო დონის დაახლოებით 65%. განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში, სადაც შრომის ფონდშეიარაღების დონის მიხედვით სა-

ცხრილი 6

საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდების სტრუქტურის დინამიკა
(მთელი ძირითადი ფონდები—100 %)

| ძირითადი ფონდები | წლები | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1975 წ. | 1980 წ. | 1984 წ. | 1990 წ. |
| შენობები და ნაგებობანი | 51,7 | 54,4 | 53,1 | 51,4 |
| გადამცემი მოწყობილობა | 13,8 | 11,5 | 10,6 | 10,7 |
| მანქანები და მოწყობილობანი | 31,9 | 30,9 | 33,1 | 34,5 |
| მათგან: | | | | |
| ძალოვანი მანქანები და მოწყობილობანი | 6,7 | 6,4 | 6,4 | 7,3 |
| მუშა მანქანები და მოწყობილობანი | 24,4 | 23,8 | 25,9 | 26,3 |
| გამზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოები | 0,8 | 0,7 | 0,8 | 0,9 |
| სატრანსპორტო საშუალებანი | 1,3 | 1,5 | 1,6 | 1,7 |
| სხვა ძირითადი ფონდები | 1,3 | 1,7 | 1,6 | 1,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია სსრ კავშირში. ძირითადი საწარმოო ფონდების ტექნოლოგიური სტრუქტურა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (ცხრილი 6).

ძირითადი ფონდების სტრუქტურაში ყველაზე მეტი ხვედრითი წილი უკავია შენობებს და ნაგებობებს, გადამცემ მოწყობილობას. ისინი შეადგენენ ძირითადი ფონდების ღირებულების თითქმის 2/3-ს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის (მანქანები და მოწყობილობანი) ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მცირეა (დაახლოებით 32%) ვიდრე სსრ კავშირის მრეწველობაში ანალოგიური მაჩვენებელი (38,6%), ამასთან რესპუბლიკის მრეწველობაში მანქანებისა და მოწყობილობების წილად მოდიოდა მთელი ძირითადი ფონდების 25%-მდე, ხოლო სსრ კავშირში 28,4%. წარმოების ავტომატიზაციის დონის მნიშვნელოვან ჩამორჩენაზე მეტყველებს გამზომი და მარეგულირებელი ხელსაწყოების უკიდურესად დაბალი ხვედრითი წილი.

საქართველოს რესპუბლიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ძირითად ფონდებს. სოფლის მეურნეობის ძირითადი ფონდების სტრუქტურაში მნიშვნელოვან ხვედრით წილს იკავებს აგრეთვე შენობები და ნაგებობანი, ხოლო გადამცემი მოწყობილობის, მანქანებისა და მოწყობილობის ხვედრითი წილი არ აღემატება 12%-ს. მაღალ ხვედრით წილს იკავებს მრავალწლიანი ნარგავები (30%-მდე). ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის უფრო მაღალი ხვედრითი წილი არის მშენებლობაში. 1975 წლიდან 1983 წლამდე ძირითადი ფონდების სტრუქტურაში შენობებსა და ნაგებობების ხვედრითი წილი გაიზარდა 24%-დან 31%-მდე, ხოლო მანქანები და მოწყობილობები — 48%-დან 52%-მდე.

საქართველოს რესპუბლიკაში მწვავედ დგას ძირითადი საწარმოო ფონდების რაციონალურად გამოყენების საკითხი. თუ ყურადღებას მივაქცევთ ფონდტევადობის მაჩვენებელს იგი იზრდება, რაც ამცირებს წარმოების ეფექტიანობას. მართლაც 1989 წელს 1980 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 132%, საწარმოო ძირითადმა ფონდებმა — 158%, 1989 წელს 1985 წელთან შედარებით შესაბამისად 106 და 114%. ეს ტენდენცია გრძელდება, რაც საბოლოო ჯამში იწვევს არა მარტო მრეწველობის, არამედ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემცირებას. ხელი ტემპით იზრდებოდა შრომის ნაყოფიერება მისი ენერგო და ელექტროშეიარაღების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში. ასე მაგალითად, 1989 წელს 1980 წელთან შედარებით მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები გაიზარდა 1,6-ჯერ შრომის ნაყოფიერება 1,2-ჯერ, ენერგოშეიარაღება 1,2-ჯერ, ელექტროშეიარაღება 1,1-ჯერ, სამრეწველო საწარმოო პერსონალი 1,1-ჯერ. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მრეწველობის განვითარებაში აქტიურად მოქმედებდა კვლავწარმოების ექსტენსიური ფაქტორები. შრომის ენერგოშეიარაღების ზრდის ჩამორჩენა, ძირითადი ფონდების ზრდასთან შედარებით, იმაზე მიუთითებს, რომ იზრდება შენობებისა და ნაგებობების მოცულობა და სწრაფად არ იზრდება ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილი. მსგავსი სიტუაცია მნიშვნელოვნად ამაღლებს ფონდტევადობის მაჩვენებელს და, მაშასადამე, ამცირებს მისი გამოყენების ეფექტიანობას. (საქართველოს შრომის ელექტროშეიარაღება მნიშვნელოვნად დაბალია საკავშირო დონეზე, მრეწველობაშია 70,6%, ხოლო სოფლის მეურნეობაში 29,8%.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980-1990 წლებში მუდმივად ეცემოდა ფონდუკუგების დონე (1989 წელს შეადგინა 1980 წლის დონესთან შედარებით 79%). მხოლოდ 1988 წელს მოხერხდა ამ ტენდენციის შეჩერება. 1980-1989 წლებში საქართველოს ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 1,2-ჯერ, ხოლო საწარმოო ძირითადი ფონდები 1,5-ჯერ. ეს მდგომარეობა აიხსნება საწარმოო სიმძლავრეების არაეფექტიანად გამოყენებისა და სამრეწველო ობიექტების არადროული ათვისების შედეგად.

ეკონომიკის ზრდა, ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინვესტიციური პოლიტიკით. კაპიტალური დაბანდების პროცესი უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებას და ამით განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს. კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის განსაზღვრული სტრუქტურის ფორმირების ძირითად იარაღსაც წარმოადგენენ, უზრუნველყოფენ აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებების მატერიალიზაციას. განვიხილოთ სახალხომეურნეობრივ კომპლექსებში ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის დინამიკა (ცხრილი 7).

ცხრილი 7

საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა სახალხო მეურნეობის ცალკეული კომპლექსების მიხედვით (1976—1980 წ.წ.)

| სახალხო მეურნეობის კომპლექსები | საშუალოდ წელიწადში | |
|---|---|---|
| | 1981—1985 | 1985—1989 |
| სულ სახალხო მეურნეობაში | 1,30 | 1,10 |
| მათ შორის კომპლექსების მიხედვით: | | |
| სათბობ-ენერგეტიკული | 0,68 | 0,53 |
| მეტალურგიული | 1,48 | 0,86 |
| მანქანათმშენებლობის | 2,66 | 1,99 |
| ქიმიურ-სატყეო | 1,20 | 0,82 |
| მშენებლობის | 1,32 | 1,70 |

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგებიდან ყველაზე უფრო მეტად გაიზარდა მანქანათმშენებლობის დარგში ძირითადი ფონდები. დანარჩენ დარგებში კი ეს მაჩვენებელი საშუალოზე დაბალი იყო. ეს ჩანს აგრეთვე ახალი მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ხარჯზე უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეების მოქმედებითი შეყვანიდანაც. 1986-1989 წლებში მოქმედებაში იქნა შეყვანილი მნიშვნელოვანი სიმძლავრეები მეცხოველეობისა და საკვებწარმოებისათვის მანქანებისა და მოწყობილობების, ძალური ტრანსფორმატორების, სატვირთო ავტომობილებისათვის სათადარიგო ნაწილების წარმოებაზე. სათბობ-ენერგეტიკულ და მეტალურგიულ კომპლექსებში სიმძლავრეები სწრაფი ტემპით გაიზარდა 1976-1985 წლებში. შემდგომ წლებში, იმის გამო, რომ სახალხო მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციფიკური დარგებისათვის შრომის იარაღების წარმოების ხვედრითი წილი შედარებით დაეცა, ამ დარგებშიც სიმძლავრეების ზრდის ტემპი შენელდა. საჭიროა გაძლიერდეს შრომის იარაღების წარმოება მოცემული დარგებისათვის. ეს კი საჭიროებს შესაბამისი კაპიტალური დაბანდებების გამოყოფას. ამ მიზნისათვის საჭიროა ამაღლდეს რესპუბლიკის კაპიტალური დაბანდების ხვედრითი წილი როგორც საერთო კაპიტალურ დაბანდებაში, ისე სსრ კავშირის მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებებში. აღსანიშნავია, რომ 1985-1990 წლებში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის ჩამორჩენის ტენდენცია, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს. სახელდობრ კაპიტალური დაბანდების ზრდის ტემპმა საქართველოს სახალხო მეურნეობაში უნდა გაუსწროს საკავშირო მაჩვენებელს.

კაპიტალური დაბანდებების მოცულობები იზრდებიან აბსოლუტურად მაგრამ არათანაბარზომიერად. 1985-1990 წლებში შეიმჩნევა კაპიტალური დაბანდებების მოცულობა ზრდის ტემპების შემცირება. აქ საჭიროა აღინიშნოს ის, რომ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორებისაკენ შემობრუნების ამსახველი მთავარი მომენტია ეროვნული შემოსავლისა და კაპიტალური დაბანდებების მოცულობათა თანაფარდობა. უკანასკნელი ხუთწლედების განმავლობაში კაპიტალური დაბანდება უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა ეროვნული შემოსავლის ზრდასთან შედარებით, რაც მოწმობს ფონდტევადი ტიპის გაფართოებულ კვლავწარმოებას.

განსახილველ პერიოდში მუდმივად ირღვეოდა ის პრინციპი, რომ კაპიტალური დაბანდებების გეგმების შესრულება და ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანა შათანაწყობილად უნდა ვითარდებოდეს. კაპიტალურმა დაბანდებებმა მნიშვნელოვნად გადააჭარბა ძირითაი ფონდების მოქმედებაში შეყვანას, რაც უკიდურესად არაეფექტურია. აქ ვლინდება კაპიტალური დაბანდებების გაფანტვა უამრავ ობიექტებზე, რაც აფერხებს ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის ტემპებს და იწვევს დაუმთავრებელი მშენებლობის ზრდას.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციური პოლიტიკის ორიენტაციას წარმოების სტრუქტურის რაციონალიზაციის დაჩქარებაზე. ეს შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს კაპიტალური დაბანდებების მოქმედი საწარმოებისა და წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისათვის საჭირო ძირითადი ფონდების გამოყენებით. ციფრობრივი მონაცემები მოწმობენ, რომ სახსრები, რომლებიც გამოყოფილია შრომის საშუალებების სრულყოფასა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციაზე გამოისყიდება საშუალოდ 3-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ანალოგიური საწარმოო სიმძლავრეების შექმნა ახალი მშენებლობის გზით. მშენებლობის ვადები მცირდება 27%-ით, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების ვადები 2-ჯერ და მეტად. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, სახელდობრ იზრდება ტექნიკური გადაიარაღებისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებანი. ეს კარგი ტენდენციაა. თანაც უფრო სწრაფი ტემპით იზრდება ეს მაჩვენებელი საქართველოში, ვიდრე სსრ კავშირში.

კაპიტალურ დაბანდებათა სახალხო მეურნეობის კომპლექსებში განაწილების ცვლილებაზე ბევრად არის დამოკიდებული სტრუქტურული ძვრების შესაძლებლობანი პრაქტიკაში, საწარმოო სიმძლავრეების მოდერნიზაციის ტემპები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მასშტაბები. საქართველოს რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის სახალხომეურნეობრივ კომპლექსებში კაპიტალური დაბანდებების განაწილების მდგომარეობა ასეთია (ცხრილი 8).

ც ხ რ ი ლ ი 8

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობის ცალკეული კომპლექსის მიხედვით (პროცენტობით)

| სახალხო მეურნეობის კომპლექსები | 1981—1985 წ. | 1986—1989 წ. | 1988 წ. | 1989 წ. |
|---|---|---|---|---|
| კაპიტალური დაბანდებანი სულ | 100 | 100 | | 100 |
| მათ შორის კომპლექსების მიხედვით: | | | | |
| სათბობ-ენერგეტიკული | 7,3 | 8,2 | 7,8 | 10,6 |
| მეტალურგიული | 2,1 | 1,7 | 1,5 | 2,4 |
| მანქანათმშენებელი | 7,9 | 6,6 | 7,4 | 2,8 |
| ქიმიურ-სატყეო | 2,7 | 2,5 | 2,4 | 3,3 |
| სამშენებლო | 5,0 | 7,9 | 4,2 | 17,6 |

მითითებულ წლებში ამ კომპლექსების განვითარებისათვის გამოიყო მრეწველობის მთელი კაპიტალური დაბანდების უდიდესი ნაწილი. ამასთან ერთად ეს პერიოდი (1976-1989 წ. წ.) ხასიათდებოდა ცალკეული დარგების მიხედვით კაპიტალური დაბანდებების არსებითი ცვლილებით, რასაც არ შეიძლება არ მოეხდინა გავლენა მრეწველობის განვითარების ტემპებსა და სტრუქტურაზე. უწინარეს ყოვლისა შეიმჩნევა ამ კაპიტალური დაბანდებების ხვედრითი წილის არსებითი ამაღლება, რომელიც მიმართული იყო სათბობ-ენერგეტიკული და მშენებლობის კომპლექსის განვითარებისათვის.

კაპიტალური დაბანდების დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც ძირითადად რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულების განსაზღვრელია არსებითად სწორად ასახავს ეკონომიკურ პოლიტიკასა და კაპიტალური დაბანდებების გამოყენების გზებს განვითარების თანამედროვე ეტაპზე. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კაპიტალური დაბანდებანი მანქანათმშენებლობის დარგში უნდა იყოს რამდენადმე მაღალი არსებითთან შედარებით, ამას მოითხოვს რესპუბლიკის ეკონომიკური ზრდის ამოცანები.

შესასწავლი პერიოდი ხასიათდებოდა კაპიტალური დაბანდების ცალკეული დარგების მიხედვით არსებითი ცვლილებებით. შესამჩნევია კაპიტალური დაბანდებების მუდმივი შემცირება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. 1980-1985 წლებში ამ დარგებში კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 1,3-ჯერ. ამდენივე იყო მთლიანად სახალხო მეურნეობაში, 1,9-ჯერ გაიზარდა კაპიტალური დაბანდება ტრანსპორტის დარგში და 1,4-ჯერ კავშირგაბმულობაში. ეს აიხსნება საწარმოო ინფრასტრუქტურის სწრაფი ზრდით. კაპიტალური დაბანდების დარგობრივი სტრუქტურა გაუმჯობესდება მრეწველობაში მისი ხვედრითი წილის ამაღლებით და აგროსამრეწველო კომპლექსის ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებით. განსახილველ პერიოდში არსებითი ცვლილებაა კაპიტალურ დაბანდებათა ტერიტორიულ სტრუქტურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. რესპუბლიკის რაიონთა ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური დაბანდების ტერიტორიული სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხს.

Д. А. КУРТАНИДЗЕ

## ФАКТОРЫ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ГРУЗИНСКОЙ РЕСПУБЛИКИ В 1980—1990 ГОДАХ

Резюме

Рассмотрены факторы развития экономики республики. На основе анализа статистических данных выявлена взаимозависимость и взаимодействие факторов экономического роста, установлены их тенденции и закономерности. Особое внимание уделяется факторам трудовых ресурсов, производственных фондов, капитальных вложений и организации и управления общественного производства.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და ქართული ეკონომიკური აზრის განყოფილებამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი გოგნაძე

# სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სარეალიზაციო ფასების დიფერენციაციის საფუძვლები

მეურნეობრიობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლა ფასწარმოქმნის რადიკალური რეფორმის გარეშე შეუძლებელია. სამეურნეო ანგარიშიანი ურთიერთობის დროს ფასი მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების წარმართველი და მარეგულირებელია.

დღეისათვის სასოფლო სამეურნეო საწარმოებში შრომითი დანახარჯების ანაზღაურება საშუალო ზონალური თვითღირებულების საფუძველზე დადგენილი ფასებით მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ ზონის საწარმოების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ნებისმიერი პროდუქციის წარმოებისათვის მკვეთრად განსხვავებულია. როგორ მივაღწიოთ ამ შემთხვევაში, რომ ყველა სასოფლო სამეურნეო საწარმოს შევუქმნათ თანაბარი ეკონომიკური პირობები სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობებისათვის? „როგორც ცოცხალი, ისე განივთებული შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები, მიზანშეწონილია განისაზღვროს არა ზონის საშუალო დანახარჯების, არამედ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მიხედვით დაჯგუფებული მეურნეობების მიხედვით ცალ-ცალკე, რისთვისაც ყოველი ჯგუფის მეურნეობისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების განსაზღვრის საფუძველი უნდა იყოს მეურნეობაში ფორმირებული შრომის ფაქტიური დანახარჯები"[1].

მოყვანილი აზრი ხერსონის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელს ე. მამედოვსა და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ნ. გრიგორაშს ეკუთვნის. ჩვენ ვიზიარებთ დასახელებული ავტორის ნააზრევს იმ ნაწილში, რომ ზონალური დანახარჯები არ გამოადგება ზონის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დასადგენად, ზონის ბუნებრივი პირობების მეტად მრავალფეროვნებისა და არსებითი განსხვავებულობის გამო, ამიტომ იგი თვით სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მიხედვით უნდა იქნეს გამოანგარიშებული. ამავე დროს მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების საფუძველი უნდა გახდეს არა მეურნეობაში გაწეული ფაქტიური შრომითი დანახარჯები, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული საწარმოო ნორმატივები. ამგვარად გაანგარიშებულ საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს ცალკეული სახის პროდუქციის მიხედვით (ნორმატიულ თვითღირებულებას) უნდა დაემატოს ნორმატიული დანახარჯების 30-40%-ი დარგის რენტაბელობისათვის, რაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში

---

[1] А. Р. К. экономика, управления, 1988 г. № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითდაფინანსებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების საფუძველს შექმნის. რაც შეეხება მოგების პროცენტების (30—40) სიდიდეს იგი რაიმე მყარ მეცნიერულ საფუძვლებს არ ექვემდებარება, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ეს შეუძლებელია. ამდენად დასახელებული პროცენტის სიდიდე სავარაუდო გაანგარიშებას, პრაქტიკულ დაკვირვებასა და პროგნოზირებას ექვემდებარება. ვფიქრობ, რომ ზონაში და სასურველია მთელ რესპუბლიკაში, პრივილეგირებული დარგი და კულტურა ამ თვალსაზრისით არ უნდა არსებობდეს. მაგალითად თუ დავადგენთ, რომ ყურძნის ნორმატიულ დანახარჯებს მოგების უზრუნველსაყოფად დავუმატებთ ამ დანახარჯების 40%-ს იგივე პროცენტი უნდა დაემატოს ყველა სხვა დანარჩენ პროდუქციას ფასების გაანგარიშებისას. სასურველი იქნება მოგებისათვის პროცენტის სიდიდე ერთნაირი იყოს მთელ რესპუბლიკაში, რაც იმის პირობა იქნება რომ ყველა დარგს განვითარების თანაბარი ეკონომიკური პირობები შეექმნება. რაც შეეხება იმას თუ რა მასშტაბით უნდა იქნეს ესა თუ ის პროდუქცია წარმოებული, ამას სამომხმარებლო ბაზარი დაარეგულირებს. მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საბაზრო ფასებზე დაყრდნობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის ფასების დადგენა. ეს რომ ასე მოხდეს საბაზრო მეურნეობის პირობებში იმერეთის ზონაში და საერთოდ მევენახეობის მიმართულების რაიონებში ყველანი მთელ ფართობზე ყურძენს გააშენებდნენ და ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგები როგორიცაა მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მემარცვლეობა საერთოდ აღარ იწარმოებოდა. ეს მოხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ სამარკო ღვინო და შამპანიური ღვინო საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს ხუთმაგად და ზოგჯერ მეტად ანაზღაურებს, ვიდრე რძე, ხორცი, ბოსტნეული, მარცვლეული. ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების მთლიანად რესპუბლიკის გარედან შემოტანა, რამდენადაც იაფად არ უნდა შევიძინოთ იგი მიზანშეუწონლად და არასაიმედოდ მიგვაჩნია. არის სხვა მიზეზებიც რომლებიც ზონაში მხოლოდ ერთი დარგის განვითარების უფლებას არ მოგვცემს. მართალია სპეციალიზაცია და მისი დადებითი მხარეები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ სპეციალიზებული დარგის შეთანაწყობით აუცილებლად ოპტიმალური დონით უნდა განვავითაროთ პირველი მოთხოვნილების მწარმოებელი დარგები. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის და სახელშეკრულებო ფასების გაანგარიშების საფუძველი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უნდა გახდეს ნორმატიული შრომითი და მატერიალური დანახარჯები, ხოლო ზოგიერთი დარგიდან მიღებული დიდი მოგება რომელიც დარგისა და კულტურების თავისებურებით არის გამოწვეული და არა დამატებითი შრომისა და მატერიალური დანახარჯებით (ყურძენი, ციტრუსი და სხვა) უნდა მოხმარდეს ისეთი დარგების განვითარებას, რომელსაც ნაკლები მოგების მოტანა შეუძლია მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ასეთივე წესით უნდა დაუდგინდეს სახელშეკრულებო ფასები საწარმოო ერთეულებსა და ცალკეულ შემსრულებლებს გამომდინარე მათზე მიმაგრებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. შესყიდვის ფასების დასაბუთებულობა რომ არადამაკმაყოფილებელია და სამეურნეო ანგარიშიანობასთან შეუთავსებელი გვიდასტურებს ცხრილი I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4

სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების შეფასება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტიანობის მიხედვით 1989 წლის მდგომარეობით

| კოლმეურნეობების დასახელება | მოსავლიანობის მიხედვით | | დანახარჯების უკუგების მიხედვით | | მიმაგრებული სახნავი | მიმაგრებული ვენახი | ერთი ბალის ფულადი შეფასება მან-ში | ერთი ჰა სახნავის შეფასება მან-ში | ერთი ჰა მრავალწლიანი ნარგ. შეფასება მან. | მთელი სახნავის შეფასება მან-ში | მთელი მრავალწლიანი ნარგ. შეფასება მან-ში | მრავალწლიანი ნარგ. და სახნ. ჯამური შეფასება ათას მანეთებში |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სიმინდი | ვენახი | სიმინდი | ვენახი | | | | | | | | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1. სოფ. II სვირის ლენინის | 89 | 68 | 89 | 68 | 294 | 190 | 18 | 1602 | 1224 | 471 | 233 | 704 |
| 2. სოფ. II სვირის სტალინის | 89 | 68 | 89 | 68 | 320 | 159 | ,, | 1602 | 1224 | 513 | 195 | 708 |
| 3. ცხრაწყაროს | 61 | 90 | 61 | 90 | 115 | 121 | ,, | 1098 | 1620 | 126 | 196 | 322 |
| 4. კლდეეთის | 73 | 83 | 73 | 83 | 66 | 107 | ,, | 1314 | 1494 | 87 | 160 | 247 |
| 5. ტაბაკინის | 60 | 80 | 60 | 80 | 66 | 97 | ,, | 1080 | 1440 | 72 | 140 | 212 |
| 6. ალავერდის | 63 | 80 | 63 | 80 | 86 | 80 | ,, | 1134 | 1440 | 98 | 115 | 213 |
| 7. ფუთის | 69 | 92 | 69 | 92 | 120 | 125 | ,, | 1242 | 1656 | 149 | 207 | 356 |
| 8. ილემის | 56 | 87 | 56 | 87 | 110 | 82 | ,, | 1008 | 1556 | 111 | 128 | 356 |
| 9. ძირულის | 66 | 76 | 66 | 76 | 83 | 79 | ,, | 1188 | 1368 | 99 | 108 | 239 |
| 10. ქვედა საზანოს კეცხოველის | 67 | 93 | 67 | 93 | 111 | 60 | ,, | 1206 | 1674 | 134 | 100 | 207 |
| 11. ,, ,, რუსთაველის | 63 | 89 | 63 | 89 | 224 | 79 | ,, | 1134 | 1602 | 259 | 127 | 381 |
| | | | | | | | | | | | | 3823 |

ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების მიწის კადასტრის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი I-ის მონაცემებიდან ირკვევა, რომ 1 ჰა ვენახის შეფასება საკადასტრო მონაცემებით დანახარჯების უკუგების საფუძველზე მარტო ზესტაფონის რაიონის II კოლმეურნეობაში მერყეობს 1224 მანეთიდან 1674 მანეთამდე. სიმინდზე კი 56 მანეთიდან 89 მანეთამდე. ბუნებრივია, რომ VIII ქვეზონის (იმერეთის მაღლობისა და რაჭა ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონის განვითარებული მეცხოველეობით) სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შედარებისას ერთი ჰექტარი ვენახის შეფასების სხვაობა ბევრად მეტი იქნება. ასევე უფრო დიდი იქნება ვენახებისა და მარცვლეული კულტურების ერთი ჰექტრის საკადასტრო მონაცემებით შეფასების სხვაობა თვით სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შიგნით საწარმოო ქვედანაყოფებისა და თითოეული ნაკვეთის მიხედვით შედარებისას. მიუხედავად ამისა შესყიდვის ფასები ყურძენზე, სიმინდის მარცვალზე, ბოსტნეულზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ერთნაირია. ზონის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის. ეს კი ეწინააღმდეგება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში თანაბარი ეკონომიკური პირობების შექმნასა და მათ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. შესყიდვის ფასები ხშირად არა თუ ქმნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების თვითდაფინანსების პირობებს, არამედ ხარჯთანაზღაურების საშუალებასაც კი ვერ იძლევა. იხილეთ ცხ. 2.

ცხრილი 2

| სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასახელება | ერთი ტ. პროდ. სახ. შესყ. ფასი მან. | ერთი ტონა პროდ. თვითღ. მან-ში | შესყიდვის ფასის გადახრა თვითღირებულებიდან |
|---|---|---|---|
| 1. ყურძენი | 550 | 763 | =213 |
| 2. სამარცვლე სიმინდი | 130 | 229 | —99 |
| 3. ჩაი | 1100 | 1162 | —62 |
| 4. რძე | 400 | 662 | —262 |
| 5. მსხ. რქ. პირ. ხორცი ცოცხალი წონა | 2000 | 9148 | —7148 |
| 6. მსხ. რქ. პირ. ხორცი როდინაულის მეურნეობის კომპლექსის გარდა | 2000 | 5937 | —3937 |
| 7. ღორის ხორცი | 2200 | 4283 | —2083 |

თვითღირებულება და სახელმწიფო შესყიდვის ფასები ერთ ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე 1986-1988 წლებში საშუალოდ ერთ წელიწადში ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მან-ში. (15 კ-ბა და 2 საბ. მ). მონაცემებიდან ირკვევა, რომ ზესტაფონის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში 1986—1988 წლებში წარმოებული ვერცერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტი სახელმწიფო შესყიდვის ფასებით ვერ ანაზღაურებს ამ პროდუქციაზე გაწეულ დანახარჯებს და პროდუქციის თვითღირებულებები ბევრად სჭარბობს სახელმწიფო შესყიდვის ფასს. მაგალითად ერთი ტონა ყურძნის

ცხრილი შედგენილია წლიური ანგარიშებისა და პრეისკურანტების საფუძველზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სახელმწიფო შესყიდვის ფასი იყო 550 მანეთი, ფაქტიური თვითღირებულება კი 763 მანეთი, რაც 213 მანეთით ანუ 39%-ით მეტია სახელმწიფო შესყიდვის ფასზე. სამარცვლე სიმინდის თვითღირებულება აღემატება სახელმწიფო შესყიდვის ფასს 99 მანეთით 1,8-ჯერ, ჩაის 62 მანეთით ანუ 5%-ით, რძის 262 მანეთით ანუ 66%-ით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცია 7148 მანეთით ანუ 3,6-ჯერ.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის თვითღირებულების გაძვირებაში, რაც ძირითადად გამოწვეულია როდინაულის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსის უკიდურესად ცუდი მაჩვენებლებით, როგორც ცხრილიდან ირკვევა, ამ მეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის რაოდენობისა და მისი თვითღირებულების გამორიცხვისას რაიონის შესაბამისი მაჩვენებლებიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაიონის თვითღირებულება სახელმწიფო შესყიდვის ფასებთან შედარებით თითოეულ ტონაზე 7148 მანეთიდან 3937 მანეთ მეტობამდე დადის, ამ შემთხვევაშიც კი მსხვილფეხას ხორცის თვითღირებულება მისი შესყიდვის ფასს 2-ჯერ აღემატება.

თვითღირებულებების ასეთი გადამეტება შესყიდვის ფასებზე გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით: არარეალური შესყიდვის ფასებითა და დაბალი მოსავლიანობითა და პროდუქტიულობით. თავის მხრივ, მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის დაბალი დონე გამოწვეულია ისევ შესყიდვის არარეალური ფასებით, რამდენადაც იგი მინიმალურადაც ვერ ანაზღაურებს სოფლის მეურნეობაში გაწეულ ურთულეს შრომას, და უდარდელი და არაკომპეტენტური მართვით, ხელმძღვანელი კადრების დაბალი პროფესიონალიზმით. ამ მაჩვენებლების ამაღლება კი ძირითადად დამოკიდებულია ნორმალურ და შეუზღუდავ პირად ინიციატივაზე დამყარებული შრომის ორგანიზაციაზე, და მაღალ მატერიალურ დაინტერესებაზე. ეს კი ყოველმხრივ დასაბუთებული სახელშეკრულებო ფასების გარეშე ყოვლად შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ფასებზე, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებზე, იმდენი ფაქტორი მოქმედებს, რომ მათი მეცნიერულ დონეზე დასაბუთება და ზუსტად გაზომვა გაძნელებულია. ამ მხრივ სავსებით ვიზიარებთ აკადემიკოს შატალინის ჯგუფის აზრს, რომლებიც აღნიშნავენ „რატომ უნდა იყვნენ ადამიანები დარწმუნებულები, რომ ფასების სახელმწიფო კომიტეტის მორიგი პრეისკურანტები მოგვცემენ სამართლიან ან სამართლიანთან მიახლოებულ ფასებს, თუ ფასსახკომს აქამდე ეს ერთხელაც არ გამოსვლია? რა თქმა უნდა არ არის იმის გარანტია, რომ თავისუფალი საბაზრო ფასებიც ერთბაშად გახდება სამართლიანი. მაგრამ ბაზარი მათ ადრე თუ გვიან დააწესებს, ხოლო ადმინისტრაციული კონტროლი და მათი ცენტრალიზებული მმართველობა — არასოდეს. მაშინაც კი, როდესაც მთავრობა ახერხებს ადმინისტრაციული წესით შეინარჩუნოს ამა თუ იმ საქონლის დაბალი ფასები (მეტადრე დეფიციტური სახეობისა), მომხმარებელს, როგორც წესი, გულის მოსაოხებლად ისღა დარჩენია, რომ იფიქროს, დაბალი ფასები სადღაც კიდევ არსებობსო. ეს საქონელი მეტწილად არ იყიდება, ანდა მოსახლეობის პრივილეგირებული ფენების კუთვნილება ხდება“[2].

---

[2] გაზ. კომუნისტი, 11 სექტემბერი, 1990 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღნიშნული ნააზრევი ყველასათვის გასაგები ცხოვრებისეული ჭეშმარიტებითაა გადმოცემული. ამდენად იგი კომენტარსაც აღარ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასებზე არ უნდა არსებობდეს სახელმწიფო მონოპოლია და პროდუქტების ფასები სწორედ სამომხმარებლო ბაზრით უნდა დარეგულირდეს. ამავე დროს, აუცილებლად მიგვაჩნია განსაკუთრებით სადღეისოდ და უახლოეს მომავალში, სასოფლო სამეურნეო საწარმოებს გააჩნდეს სახელმძღვანელოდ ყოველმხრივ დასაბუთებული საანგარიშსწორებო ფასები, როგორც დამამზადებლებთან ისე საწარმოო ერთეულებთან და მოიჯარადეებთან ანგარიშსწორებისათვის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიგასამეურნეო საანგარიშწორებო ფასებს საწარმოს შიგნით იჯარული წესით მუშაობისას, რაც ვერ მოხერხდება მიწის ხარისხობრივი შესწავლის გარეშე.

სწორედ საანგარიშსწორებო ფასებმა უნდა გამოათანაბროს ცუდი და კარგი მიწების მქონე საწარმოო ერთეულები თუ ცალკეული შემსრულებლები, მიეცეთ მათ მაღალნაყოფიერი შრომის შემთხვევაში ხარჯების გამოსყიდვისა და პირადი მოთხოვნების ისეთად დაკმაყოფილების საშუალება, როგორც ამას ისინი იმსახურებენ მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომა გამოიყვანს სოფლის მეურნეობას უკიდურესი მდგომარეობიდან, პენსიონრებსა და შრომისუუნაროებს შეცვლის ენერგიული შრომისუნარიანი პროფესიონალები, ხოლო პენსიონერებისა და არაშრომისუნარიანების შრომა რეზერვის სახით ჩადგება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სამსახურში.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენ მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ერთმანეთთან ურთიერთკავშირში გადაისინჯოს საბითუმო, შესყიდვისა და საცალო ფასები და ტარიფები, როგორც ერთიანი მთელი, შეიქმნას ფასების ხარისხობრივად ახალი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებაზე, მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებაზე. ფასების სისტემა უნდა გახდეს შრომის დანახარჯებისა და მეურნეობრიობის დონის ჭეშმარიტი საზომი. სწორედ ფასების მეშვეობით უნდა მოხდეს კარგი და ცუდი ნაყოფიერების მიწებზე შრომისაკენ სწრაფვის თანაბარი პირობების შექმნა.

სახელმწიფოს მონოპოლია ფასებზე უნდა მოისპოს, მაგრამ ამავე დროს მას უნდა გააჩნდეს ფასებზე ზემოქმედების საშუალება და ამდენად უნდა არსებობდეს სახელმწიფო შესყიდვის ფასიც. ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ საორიენტაციო ფასის ხასიათი. მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფო შესყიდვის ფასის ზემოქმედების მიზანი, დადგენილი იქნას მისი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური აზრიც კი. დირექტიულად დადგინდება რა ფასი, ნებადართული უნდა იყოს რომ იგივე პროდუქტებზე ფასი განისაზღვროს საწარმოს დონეზე სახელშეკრულებო და საანგარიშსწორებო დანიშნულებით როგორც დამამზადებლებთან, ისე საწარმოო ქვედანაყოფებთან და მოიჯარადეებთან

მეორეს მხრივ, ფასის წარმოქმნის საფუძველზე უნდა მოხდეს საწარმოს საკალკულაციო ელემენტები. აღსანიშნავია რომ დღემდე ფასწარმოქმნის ორგანოები გაურბიან ასეთი, ვითომ ხარჯიანი პრინციპით, ფასების განსაზღვრას — თვლიან, რომ ასეთი გაანგარიშება საბაზრო ფასებს დაუახლოვებს შესყიდვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასებს. ამავე დროს ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში ფასები განისაზღვრება სწორედ საჭირო დანახარჯების საფუძველზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთმა გაანგარიშებულმა ფასებმა გამოისყიდოს ნებისმიერი დანახარჯი. წარმატებას და მიზანს მიაღწევს ის საქონლის მწარმოებელი, რომელიც მინიმალური ფასებითა და დანახარჯებით აწარმოვა მაქსიმალური რაოდენობით ხარისხიანი პროდუქცია. ამიტომ საბაზრო მექანიზმი თავისთავად აიძულებს საქონლის მწარმოებელს მაღალეფექტიანი შრომის საფუძველზე ფასების შემცირებას. გარდა ამისა ფასებზე რეალური კონტროლი უნდა არსებობდეს არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების მხრიდან, რაც იმაში გამოიხატება, რომ თვით საწარმოებმა უნდა გააკონტროლოს თავიანთი პარტნიორებისა და კონკურენტების კეთილსინდისიერება. ყველაზე კარგად სწორედ ისინი მიხვდებიან ფასი ხელოვნურად არის შემცირებული თუ გაზრდილი. მათვე უნდა ჰქონდეთ ფასების დაუსაბუთებლად გაზრდის შემთხვევაში ეკონომიკური ზემოქმედების საშუალება ანტირეკლამის გზით, რომლის შედეგი იქნება ის, რომ არაკეთილსინდისიერად მომუშავე საწარმოები (ფასების ხელოვნურად ამაღლება ან ხარისხის გაუარესება) დაჰკარგავენ პროდუქციის მყიდველებს, რაც ასეთი საწარმოების ზარალსა და გაკოტრებას ნიშნავს. ასეთი ეკონომიკური ზემოქმედების მექანიზმი თვით საზოგადოების მხრიდან იმდენად ქმედითი და საიმედოა, რომ განვითარებულ და საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არ წარმოიქმნება სახელმწიფოს მიერ ფასებზე მონოპოლიის სწრაფვა.

სახელმწიფოს მხრიდან ფასებზე ზემოქმედებისათვის გამოყენებული უნდა იქნას გონივრული საგადასახადო სისტემა, რომლის გარეშე მათი მხრიდან შეუძლებელია საწარმოებისათვის მისაღები ეკონომიკური ზემოქმედება. ამიტომ ფასების განსაზღვრისას მასში შეტანილი უნდა იქნას გადასახადის ისეთი სიდიდე, რომელიც პროდუქციის ყველა მწარმოებელს შეუქმნის თანაბარ ეკონომიკურ პირობებსა და ერთნაირად დაავალდებულებს მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების გადასახდელად. ფასების სრულყოფის გარეშე საიჯარო და სხვა ნებისმიერი პროგრესული ფორმებით სამეურნეო-ანგარიშიანი პრინციპით მუშაობა შეუძლებელია, რადგანაც გაუმართლებლად დაბალი ფასები არ იძლევა ხარჯების გამოსყიდვისა და დაგროვების საშუალებას. არც გაუმართლებლად მაღალი ფასები არის ნაკლებად საშიში.

იმისათვის რომ თითოეულ სასოფლო სამეურნეო საწარმოს, მის ქვედანაყოფებსა და ცალკეულ შემსრულებლებს შეუქმნათ თანაბარი ეკონომიკური პირობები, დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ნიადაგის ბონიტირება ნაკვეთებისა და კულტურების მიხედვით, რამდენადაც მოსავლიანობის ნორმატივი უნდა გახდეს სახელშეკრულებო ფასების და, რაც უფრო მთავარია, მიწის დიფერენციალური რენტის მოცულობის უპირველესი და გადამწყვეტი საფუძველი. გასაგებია, რომ მიწის საკუთრებაში გაცემას და მის დროებით დაყოვნებას აქვს ობიექტური მიზეზები, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებლად და საგანგაშოდაც კი მიგვაჩნია, ის რომ მიწის ხარისხობრივი შესწავლისათვის, მისი ინვენტარიზაციისათვის დღემდე თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ეს ღონისძიება კი ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს, როგორც მცირემიწიან რესპუბლიკას და მითუმეტეს იმერეთის ზონას. მიწის ხარისხობრივი შესწავლა და მისი ინვენტარიზაცია შრომატევადი საქმეა და საკმაო დროსაც მოითხოვს, ამავე დროს კი იგი რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაწყვეტად არის აუცილებელი. კერძოდ: მიწების ხარისხობრივი მონაცემების სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფუძეველზე შეიძლება მხოლოდ მიწის განაწილება მოსახლეობაში სამართლიანობის პრინციპის დაცვით. მაგალითად მიუღებელი იქნება რომ მცირემიწიანობის პირობებში თითოეულ მოსახლეს დაუწესოთ მიწის მიცემის ნორმად 1 ჰა, როდესაც ცნობილია, რომ მეორე მოსახლისათვის მისაცემი იგივე მოცულობის მიწის ბუნებრივი ნაყოფიერება რამდენჯერმე ჩამორჩება ან აჭარბებს მის თანასოფლელზე გაცემული მიწის ბუნებრივ ნაყოფიერებას. ეს მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მიწის მოსახლეობაზე განაწილება უნდა მოხდეს მხოლოდ მისი ხარისხობრივი შესწავლის შემდეგ და ეს სამუშაო დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, და მოსახლეობაზე გასაცემ მიწის ნორმად უნდა დაწესდეს პირობითი მიწის ფართობი და არა ფიზიკური ჰექტრები.

მიწის ხარისხობრივი ინვენტარიზაცია განსაკუთრებით საჭიროა მიწის რენტის ობიექტურად განსაზღვრისათვის. ცნობილია, რომ მიწის ხარისხი მეტად მრავალფეროვანია. მ. შ. არსებობს განსაკუთრებით დაბალნაყოფიერი და რთული კონფიგურაციის მქონე მიწებიც. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი მიწების მაქსიმალური უკუგებით გამოყენებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ასეთ მიწებზე გადასახადი არ უნდა დაწესდეს და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიოს მოსახლეობას დაბალნაყოფიერი მიწების სტრუქტურული შემადგენლობის ასამაღლებლად. იგივე ღონისძიება უნდა იქნეს გატარებული ისეთი მიწების მიმართ, რომლებიც დაბალნაყოფიერი არ არის, მაგრამ მოუხერხებელი ტერიტორიული მდებარეობის გამო გამოუყენებელია. საერთოდ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის გადასახადის დადგენისას ცალკე გამოიკვეთოს გადასახადი ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხშირ შემთხვევაში, ცენტრალურ აგილებში არსებული უკიდურესად დაბალი ნაყოფიერების მიწების გაკეთილშობილება უფრო სასურველი და მომგებიანია ვიდრე მიუვალ ადგილებში არსებულ მაღალნაყოფიერი მიწებისა. მიწის ეს უმნიშვნელოვანესი თვისება აუცილებლად ცალკე გადასახადში უნდა სჩანდეს.

მიწის ხარისხობრივი ინვენტარიზაცია გადამწყვეტი პირობაა ასევე როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო და სახელშეკრულებო ფასების დადგენისა და ნორმატიული მოსავლიანობის გასაანგარიშებლად. მხოლოდ ნორმატიული გაანგარიშებანი უნდა დაედოს საფუძვლად სახელშეკრულებო ფასების გაანგარიშებას და არავითარ შემთხვევაში წინა წლებში ჩამოყალიბებული დანახარჯები. თუ რატომ, შევეცდებით მაგალითებით ახსნას. ამ მიზნით შევისწავლეთ იმერეთის ზონის ყველა რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფაქტიურად ჩამოყალიბებული თვითღირებულებები. იხ. ცხრ. 3.

როგორც მონაცემებიდან ირკვევა, იმერეთის ზონაში ყურძნის საშუალო თვითღირებულებამ 1986—1989 წლებში საშუალოდ ერთ წელიწადში შეადგინა ფაქტიურად 61,62 მანეთი. თუ ამ დანახარჯებს კანონზომიერად მივიჩნევთ და საწარმოებს შესყიდვის ფასების მეშვეობით თვითდაფინანსების პირობებსაც შევუქმნით, მივიღებთ ყურძენზე ასეთი სახელმწიფო შესყიდვის ფასებს. იხილეთ ცხრილი № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3

პროდუქციის თვითღირებულებები იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონაში (ქვეზონა) განვითარებული მეცხოველეობით

| რაიონების დასახელება | ერთი ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება საშუალოდ 1986—1989 წლებში. (მანეთებში) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ყურძენი | მარცვლეული | ბოსტნეული | ხილი | მსხ. რქ. პირ. ხორცი | ღორის ხორცი | რძე |
| 1. ხარაგაულის | 70,80 | 22,94 | 57,10 | 47,05 | 366,41 | 243,30 | 56,54 |
| 2. ბაღდადის | 59,36 | 18,24 | 35,86 | 38,73 | 689,43 | 279,64 | 56,53 |
| 3. ჭიათურის | 70,67 | 26,30 | 22,62 | 40,10 | 578,24 | 310,95 | 64,39 |
| 4. საჩხერის | 50,36 | 22,79 | 18,62 | 25,71 | 365,84 | 257,16 | 49,13 |
| 3. ვანის | 60,41 | 17,80 | 25,46 | 39,78 | 449,94 | 461,73 | 43,22 |
| 6. თერჯოლის | 70,71 | 19,88 | 39,69 | 44,09 | 621,52 | 401,52 | 56,17 |
| 7. ზესტაფონის | 62,66 | 22,98 | 36,47 | 45,01 | 746,31 | 436,27 | 60,11 |
| სულ ზონაში | 61,62 | 25,74 | 29,57 | 38,38 | 515,07 | 321,71 | 53,83 |

ცხრილი შედგენილია რაიონების სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშის მონაცემების საფუძველზე.

ცხრილი 4

| რაიონების დასახელება | ყურძნის საშუალო თვითღირებულება საშუალოდ 1986-1980 წლებში მანეთებში | სას. სამ. საწარმოს შესყიდვის ფასი 30% დანამატით თვით-ღირებულებაზე | საწარმოო ქვედანაყოფებისა და მოიჯარადეებისათვის საანგარიშ-სწორებო ფასი თვითღ-ზე 15% დანამატით |
|---|---|---|---|
| 1. ხარაგაულის | 70,80 | 92,04 | 91,42 |
| 2. ბაღდადის | 59,36 | 77,17 | 68,26 |
| 3. ჭიათურის | 70,67 | 91,87 | 81,27 |
| 4. საჩხერის | 50,36 | 65,47 | 57,91 |
| 5. ვანის | 50,41 | 78,53 | 69,47 |
| 6. თერჯოლის | 70,71 | 91,92 | 81,32 |
| 7. ზესტაფონის | 62,66 | 81,45 | 72,06 |
| საშუალოდ ქვეზონაში | 61,62 | 80,10 | 70,86 |

ყურძნის შესყიდვის ფასების გაანგარიშება დარგის 30% სავარაუდო რენტაბელობის პირობით 1986-1989 წლებში მიღწეულ თვითღირებულების საფუძველზედ VIII ზონის რაიონების მიხედვით:

ცხრილი 4-ის მონაცემებით ირკვევა, რომ ზონაში რაიონების მიხედვით, ყურძნის თვითღირებულება მერყეობს 50,36 მანეთიდან 70, 80 მანეთამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უფრო ღრმა ანალიზი კი იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ თვითღირებულების ასეთი განსხვავებების მიზეზები არის როგორც სუბიექტური ისე ობიექტური ხასიათის. მაგალითად ხარაგოულის რაიონში შედარებით რთული ნიადაგურ-კლიმატური პირობების გამო ყურძნის თვითღირებულების შედარებითი სიძვირე შეიძლება ობიექტურად მივიჩნიოთ, თუმცა ცუდი მეურნეობრიობის უარყოფითი შედეგებიც საკმაოდ დიდია. იგივე შეიძლება ითქვას ჭიათურის რაიონზედაც მაგრამ მსგავსად არ შეიძლება შეფასდეს სხვა მეურნეობის შედეგები. საჩხერის რაიონთან შედარებით უკეთესი კლიმატურ-ნიადაგობრივი პირობები აქვს ბაღდადის, ვანის, თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებს, მაგრამ სამწუხაროდ ყურძნის თვითღირებულება ამ რაიონებში ბევრად აღემატება საჩხერის რაიონის ყურძნის თვითღირებულებას. მაგალითად თუ საჩხერის რაიონში ერთი ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება 50,36 მანეთია, თერჯოლის რაიონში ეს მაჩვენებელი 70,71 მანეთს აღწევს, ბაღდადის რაიონში 59,36 მანეთს და ზესტაფონის რაიონში კი 62,66 მანეთია. არც ბაღდადის რაიონშია ბუნებრივი პირობები თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონებთან შედარებით უკეთესი, თვითღირებულება კითერჯოლის რაიონში 19 ხოლო ზესტაფონის რაიონში 6%-ით არის გაძვირებული ბაღდადის რაიონთან შედარებით. ანალიზიდან ისიც ირკვევა, რომ ზონალური თვითღირებულება სტიქიურად გაწეული დანახარჯების ნაერთია და დაშორებულია ეკონომიკის გონივრული მართვის შედეგებთან. ასეთ თვითღირებულებაში განივთებულია უყაირათობისა და არამეურნეობრიობის შედეგები. ასევე უმართებულოდ მიგვაჩნია ზონალური თვითღირებულების საფუძველზე დადგენილი შესყიდვის ფასებით იხელმძღვანელოს ყველა რაიონმა და სასოფლო სამეურნეო საწარმომ, ყველა მევენახემ. არც ის იქნება სწორი, რომ რაიონების მიხედვით გაწეული დანახარჯების საფუძველზე დაწესდეს შესყიდვის ფასები. ამ შემთხვევაში დაისჯება მატერიალურად ის საზოგადოებრივი მეურნეობები და რაიონები, რომლებმაც შედარებით მაღალეფექტიანად და გონივრულად იმუშავეს და სწორედ ამის შედეგად შეამცირეს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებები. ამის მაგალითად გამოგვადგება საკვლევი ზონიდან საჩხერის რაიონი. თუ კი ფაქტიური თვითღირებულებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ საჩხერის რაიონს უნდა დაუწესდეს ერთი ცენტნერი ყურძნის შესყიდვის ფასი 65,47 მანეთი; ზესტაფონის რაიონს 81,45 მანეთი ანუ 24%-ით მეტი. თუ კი ზონალურ ფასს ე. ი. 80,10 მანეთს ავიღებთ ყველა ზონისათვის სახელმძღვანელოდ, მაშინ შედარებით ცუდი ბუნებრივი პირობების მქონე რაიონები (ხარაგოულის, ჭიათურის) დაისჯებიან. მათი რენტაბელობის % მხოლოდ 11%-ს აღწევს, ნაცვლად თვითდაფინანსებისათვის სავარაუდო 30-40%-სა.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების დასაძლევად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ შესყიდვის ფასები დავადგინოთ არა მიღწეული თვითღირებულებების მიხედვით, არამედ ნორმატიული მეთოდებით, სადაც მეცნიერულ საფუძველზედ იქნება გაანგარიშებული თვითღირებულების შემადგენელი ყველა ელემენტი და მასზე მოქმედი ფაქტორები. კერძოდ პირველ რიგში უნდა დადგინდეს მიწის ხაყოფიერების ხარისხობრივი შეფასების შედეგად კულტურების მოსავლიანობა. იმერეთის ზონისათვის ყურძნის მოსავლიანობად დადგენილია 60 ცენტნერი ციცქის ჯიშზე, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მისი გაანგარიშება არ ეყრდნობა უტყუარ მონაცემებს, რადგანაც ზონის ნორმირებული მოსავლიანობის გაანგარიშება შეუძლებელია, თუ არ იქნა წინასწარ გაანგარიშებული, ზონაში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძავალი თითოეული ნაკვეთის მიხედვით მოსავლიანობა. ასეთი გაანგარიშება კი არ არსებობს. მანამ, სანამ სათანადო მეცნიერული ანალიზის საფუძველზედ დადგინდებოდეს ყურძნის მოსავლიანობები, ჩვენ შევეცდებით რაიონების ბუნებრივ ნიადაგობრივი პირობების გათვალისწინებით ე. ი. იმ განსხვავებების გათვალისწინებით, რაც ადვილად შესამჩნევია და მკვეთრად არის გამოკვეთილი რაიონების ადგილმდებარეობის და ბუნებრივ-ნიადაგობრივი პირობების მიხედვით მოსავლიანობაზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით, დავადგინოთ ყურძნის სავარაუდო მოსავლიანობები, რომელიც ასე წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი № 5).

ცხრილი 5

ყურძნის ნორმატიული მოსავლიანობის დადგენა რაიონების მიხედვით VIIIა ზონაში

| რაიონების დასახელება | ყურძნის ნორმატიული მოსავლიანობა ცენტნერებში | %-ში ზონის საშუალო მოსავლიანობის მიმართ |
|---|---|---|
| 1. ხარაგოულის | 45 | 74 |
| 2. ბაღდადის | 65 | 144 |
| 3. ჭიათურის | 45 | 74 |
| 4. საჩხერის | 60 | 98 |
| 5. ვანის | 60 | 98 |
| 6. თერჯოლის | 60 | 98 |
| 7. ზესტაფონის | 65 | 144 |
| საშუალოდ ზონალურად | 61 | 100 |

მოსავლიანობის ნორმატივების დადგენის შემდეგ სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს თვითღირებულების შემადგენელი ელემენტების ნორმატივები. ცნობილია, რომ თვითღირებულების სტრუქტურაში როგორც თავისი მოცულობით ასევე მნიშვნელობით წამყვანი ელემენტია შრომის ანაზღაურება. ამავე დროს თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ შრომის ანაზღაურების საფუძველი — დღეისათვის სოფლის მეურნეობაში მოქმედი სატარიფო და თანამდებობრივი განაკვეთები სავსებით მიუღებელი, უვარგისი და დამამცირებელიც კი არის. ამიტომ იგი თავის ფუნქციას ვერ ასრულებს და სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას ხელს უშლის. ხშირად მეცნიერ ეკონომისტები კრიტიკულად აფასებენ იმ ფაქტს, რომ შრომის ნაყოფიერება ამ ბოლო წლებში საგრძნობლად ჩამორჩება შრომის ანაზღაურებას. ეს ფაქტია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სხვა მიზეზებთან ერთად შრომის ნაყოფიერების შემცირების მიზეზია სწორედ შრომის უმდაბლესი ანაზღაურება და არა მისი დაუსაბუთებელი ზრდა. რა შრომის ნაყოფიერება და მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა უნდა მოვითხოვოთ მომუშავისაგან, რომელიც შვიდი საათის განმავლობაში მიწას თოხნის, საზღაურად კი 4,16 მანეთს ვპირდებით, მექანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზატორი იმავე დროში ხნავს, მცენარეებს შხამქიმიკატებით წამლავს და საზღაურად 5,33 მანეთს ვურიცხავთ. ასეთი ანაზღაურება, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს მომუშავეების საარსებო მინიმუმსაც კი. ამიტომ მსგავსი უსაფუძვლო ანაზღაურება ადამიანებს აქტიური მუშაობისაკენ კი არ უბიძგებს, პირიქით მათ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ამუხრუჭებს და იძულებულს ხდის რომ ადამიანებმა, კანონიერი თუ უკანონო გზით, სხვაგან ეძიონ საარსებო საშუალებები. კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ასეთი არაგონივრული მიდგომით შრომის ძირითადი ანაზღაურებისადმი, ვითომდა ძისი ეკონომიით რამდენჯერმე მეტს ვაგებთ მატერიალური, შრომითი რესურსები იხარჯება მაქსიმალურად, მაგრამ იმის გამო რომ არ ხდება შრომის დასაბუთებული ანაზღაურება და ამის საფუძველზე ადამიანთა ფაქტორის გააქტიურება, არავინ ცდილობს იშრომოს შრომის მაღალი ნაყოფიერებით. გამოხაკლის შემთხვევებში, წლიური შრომის ანაზღაურების მიხედვით, ერთ კაცდღეზე არც თუ ურიგო ანაზღაურებას ღებულობს მომუშავე, მაგრამ წლის ბოლოს მიღებულ შრომის დამატებით ანაზღაურებას, რომელიც დამოკიდებულია უამრავ ფაქტორებზე, არც თუ იშვიათად ცალკეული სუბიექტების სურვილზე (გეგმის ხელოვნურად შემცირება ან გაზრდა, პრემიის პირობების სუბიექტურად განსაზღვრა და სხვა მრავალი) არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სტიმულირებისათვის. შრომის ობიექტურ საზღაურს ადამიანები ყოველთვიურად უნდა ხედავდნენ და ღებულობდნენ და ეს შრომის ანაზღაურება ისეთი უნდა იყოს, რომ შეეძლოს მომუშავე საშუალო ინტენსიობის შრომის შემთხვევაში თავისი ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც შეეხება წლის ბოლოს ანაზღაურებას, საბოლოო შედეგებისათვის ის მართლაც დამატებითი უნდა იყოს და ამდენად ძირითად ანაზღაურებას არ უნდა აღემატებოდეს. ასეთ შემთხვევაში მუშაც ინტერესით იმუშავებს, შრომის ნაყოფიერებაც მაღალი იქნება და მუშას სამუშაოს მიტოვებაც დაენანება. დიახ! მომუშავეს სამუშაოს მიტოვება (შრომითი ხელშეკრულების მოშლა) უნდა უმძიმდეს. დღეისათვის კი კოლმეურნის კოლმეურნეობიდან გარიცხვა ღიმილის მომგვრელია მეტი რომ არაფერი ვთქვათ. სწორედ ამიტომ შრომას სოფლის მეურნეობაში დღემდე იძულებითი ხასიათი აქვს. სადღეისოდ ეს იძულებითი ბერკეტებიც შერყეულია და სავალალო შედეგებიც სახეზეა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ საკავშირო მთავრობის დადგენილებით 1991 წლიდან შემოღებული იქნა ახალი გაზრდილი შესყიდვის ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, თუმცა შრომის ანაზღაურების საფუძვლები, სატარიფო თანრიგები და განაკვეთები ჯერჯერობით ხელუხლებელია. შრომის ანაზღაურების და თვითღირებულების ყველა ელემენტის ნორმალიზაციისა და სრულყოფის გარეშე დადგენილი სახელმწიფო შესყიდვის ფასები ისევე ზერელედ და დაუსაბუთებელი შეიძლება იყოს, როგორც დღემდე არსებობდა. შევნიშნავთ იმასაც, რომ სრულყოფილი სატარიფო განაკვეთები და ოპტიმალური მოცულობის შრომის ანაზღაურება თავის აქტუალობას მნიშვნელოვან წილად შეინარჩუნებს შრომის ორგანიზაციის ნებისმიერი ფორმის დროსა და პირობებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა მევენახეობის დარგში არსებული თანრიგები და სატარიფო მეფასებები, მისი რიალურობა. შეიძლება ითქვას რომ მსხმოიარე ვენახი ყველა კულტურაზე მეტად მგრძნობიარე, საპასუხისმგებლო და შრომატევადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარგია. ამ დარგში შსრულებული სამუშაოების 80%-ში მომუშავეებს უწევს როგორც გონებრივი ისე ფიზიკურად მძიმე და არაბუნებრივ მდგომარეობაში სამუშაოს შესრულება. ყოველივე ეს შრომის თავისებურებები კი თეორიული და პრაქტიკული საფუძველი უნდა იყოს სამუშაოების თანრიგებად დაყოფა-დაჯგუფებისა. მიუხედავად ამისა მსხმოიარე ვენახში 25 ძირითადი ოპერაციიდან არც ერთი არ არის შეფასებული VI თანრიგით, მხოლოდ სამი სახის სამუშაოა შეფასებული IV თანრიგით, ორი I-ით და დანარჩენი სახის სამუშაოები შეფასებულია III თანრიგით. ამავე დროს, უახლესი სატარიფო განაკვეთებით მაქსიმალური შეფასება 7 საათიანი სამუშაო დღისა VI თანრიგით 6,20 მანეთია, მინიმალურის 3,75 მანეთი. აქედან გამომდინარე მევენახეობაში მომუშავეს ერთი ჰა სამექანიზაციო ვენახის მოვლის შემთხვევაში (60 ცენტნერი ყურძნის მოსავლიანობისას) მევენახეს უწევს 168 კაცდღის მუშაობა და 741 მანეთი შრომის ანაზღაურება, რაც კაცდღეზე გაანგარიშებით 4,31 მანეთს შეადგენს. ძნელი არ არის იმის გააზრება, რომ ეს თანხა მომუშავეს სახელმწიფო ფასებითაც კი პირადი გამოკვებისათვის ძლივს ეყოფა. სწორედ ამიტომ გახდა სოფლის მეურნეობაში შრომა სათაკილო, დამამცირებელი და იძულებითი. აქედან გამომდინარე ფასების ნორმატივის დადგენა არ შეიძლება ზერელედ. საჭიროა წინასწარ დავადგინოთ ყველა ის ნორმატივები რომელსაც მოიცავს პროდუქციის თვითღირებულებები და ფასები.

ჩვენ შევეცადეთ ამ მიზნით დაგვედგინა ხელფასის ნორმატივები, რისთვისაც არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, სამუშაოს სირთულის, ზონალური თავისებურებების, დარგის სირთულისა, ბუნებრივ და კლიმატური პირობების მიმართ მდგრადობის და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით დაგვეჯგუფებინა მსხმოიარე ვენახის სამუშაოები თანრიგებად, ასევე შესაბამისად შეგვედგინა ახალი სატარიფო განაკვეთები, რომელსაც ასევე საფუძვლად დაედო სამუშაოს სიმძიმე. არსებული ფინანსური შესაძლებლობები, ადამიანთა საარსებო მოთხოვნის მინიმუმი და მისი დაკმაყოფილების ფაქტიური წყაროები და სხვა. (იხ. ცხრილი 6.).

ცხრილი 6

მემცენარეობაში შესრულებული სამუშაოების სატარიფო შეფასების და საკვალიფიკაციო ცნობარი ჩვენი გაანგარიშების მიხედვით 7 საათიდან სამუშაო დღეში:

| სამუშაოს თანრიგი | სატარიფო კოეფიციენტი | სატარიფო ანაზღაურება | |
|---|---|---|---|
| | | ხელის სამუშაოებზე | სატრაქტორო სამუშაოებზე |
| I | 1 | 7 | 10 |
| II | 1,1 | 7,70 | 11 |
| III | 1,2 | 8,40 | 12 |
| IV | 1,3 | 9,10 | 13 |
| V | 1,4 | 9,80 | 14 |
| VI | 1,6 | 11,30 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა ჩვენს მიერ დადგენილი სატარიფო განაკვეთებით შრომის ანაზღაურება იზრდება 2,3-ჯერ და ერთ კაცდღეზე შრომის ძირითადი ანაზღაურების სახით უწევს 9,75 მანეთი. ერთ ცენტნერზე კი (60 ცენტნერი ყურძნის მოსავლიანობისას) 26 მანეთი.

ისიც აღსანიშნავია, რომ ფაქტიური დანახარჯების მიხედვით ერთ ცენტნერ ყურძენზე უწევს ხელფასის სახით საკვლევ ზონაში 30—40 მანეთი. ე. ი. ჩვენს მიერ ტარიფების 2,3-ჯერ გაზრდით საერთო დანახარჯები თითქმის არ იცვლება უკუგებას კი მოველით იმ გარანტიით და იმედით, რომ შრომის დაფასება და სწორად შეფასება, მშრომელებისათვის დამსახურებული შრომის ანაზღაურების მიცემა მატერიალური დაინტერესების, ძალდაუტანებელი და ხებაყოფლობითი შრომის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

ყურძნის ფასის დადგენის შემდეგი საანგარიშო მაჩვენებელია მატერიალური დანახარჯების ნორმატივები, რომელსაც გავიანგარიშებთ ამ შემთხვევაში არსებული ნორმების შესაბამისად და მივიღებთ, რომ სასუქებისა და შხამქიმიკატების სახით ერთ ჰა ვენახს ესაჭიროება 210 მანეთი.

რაც შეეხება საამორტიზაციო ანარიცხების, მიმდინარე რემონტის, ავტოტრანსპორტის, საერთო საწარმოო და საერთო სამეურნეო ხარჯების სიდიდის განსაზღვრისათვის დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სახელმძღვანელოდ მივიღოთ ფაქტიური დანახარჯები საერთო საწარმოო და სამეურნეო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე დანახარჯების სტრუქტურა, ერთი ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება და სახელშეკრულებო ფასი ასე წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 7.).

ცხრილი 7

ერთი ცენტნერი ყურძნის თვითღირებულება და სახელშეკრულებო ფასი
(60 ცენტნერი ყურძნის მოსავლიანობის პირობით)

| დანახარჯების სახე ერთ ჰა ვენახზე | დანახარჯების მოცულობა მან-ში | დანახარჯების მოსალოდნელი შემცირება მან-ში | მოსალოდნელი დანახარჯები მან-ში | 30% დანამატი რენტაბელობისათვის | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ძირითადი ხელფასი | 1580 | — | 1580 | X | ნორმატ. გაანგარიშ. |
| 2. სასუქები და შხამქიმიკატები | 210 | — | 210 | X | „ „ |
| 3. ამორტიზაცია | 248 | — | 248 | X | „ „ |
| 4. მიმდინარე რემონტი | 33 | — | 33 | X | ფაქტიური დანახარჯი |
| 5. ავტოტრანსპორტი | 173 | — | 173 | X | „ „ |
| 6. საერთო საწარმ. და სამეურნეო ხარჯები | 581 | 281 | 300 | X | „ „ |
| 7. სულ დანახარჯმბ | 3565 | 281 | 3284 | 54,73 | X |
| ერთი ცენტ. ყურძნის თვითღირებულება 60 ცენტნერი ყურძნის მოსავლიანობისას | 59,42 | X | 54,73 | 71,15 | X |

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცხრილი 7-ის მონაცემებიდან ირკვევა ხარჯთანაზღაურებისათვის ერთი ცენტნერი ყურძნის ფასი უნდა იყოს 60 ცენტნერი მოსავლიანობის შემთხვევაში 54, 73 მანეთი, ხოლო გაფართოებული კვლავწარმოებისათვის, სტიმულირების ფონდებისა და სხვა ღონისძიებებისათვის 30% დანამატით 71,15 მანეთი. გაანგარიშების შედეგად მივიღებთ, რომ მოსავლიანობის ყოველი 5 ცენტნერით მატებისას ან კლებისას ერთ ჰექტარზე შრომის ანაზღაურება ცვალებადობს 1,5%-ით. ამის გათვალისწინებით ყურძნის სახელშეკრულებო ფასი ნორმატიული მოსავლიანობის გათვალისწინებით ასე ჩამოყალიბდება:

ერთი ცენტნერი ყურძნის სახელშეკრულებო ფასები მოსავლიანობის გათვალისწინებით:

ცხრილი 8

ერთი ცენტნერი ყურძნის სახელშეკრულებო ფასები მოსავლიანობის გათვალისწინებით:

| ყურძნის მოსავლიანობა | მოსალოდნელი დანახარჯები ერთ ჰა-ზე | ერთი ცენტ. ყურძნის თვითღირებულება | ყურძნის ფასი სახ. სამ. საწარმოსათვის დამამზადებლებთან ანგარიშსწორებისათვის 30% დანამატით თითოეულზე | ყურძნის ფასი საწარმოო ქვედანაყოფებთან და მოიჯარადეებთან ანგარიშსწორებ. 15% დანამატით |
|---|---|---|---|---|
| 40-45 | 3415 | 80,35 | 104,46 | 92,40 |
| 46-50 | 3465 | 72,19 | 93,85 | 83,02 |
| 51·55 | 3515 | 66,32 | 86,22 | 76,27 |
| 56-60 | 3565 | 61,46 | 79,90 | 70,68 |
| 61-65 | 3610 | 57,30 | 74,49 | 65,90 |
| 66-70 | 3655 | 53,75 | 69,88 | 61,81 |
| 71-75 | 3700 | 50,68 | 65,88 | 58,28 |
| 76-80 | 3745 | 48,01 | 62,41 | 55,21 |
| 81-85 | 3835 | 46,20 | 60,06 | 53,13 |
| 86-90 | 3880 | 44,09 | 57,31 | 50,70 |
| 91-95 | 3925 | 42,20 | 54,86 | 48,53 |
| 96-100 | 3970 | 40,51 | 52,66 | 46,59 |

ცხრილი 8-ის მონაცემებიდან ირკვევა, რომ სახელშეკრულებო ფასების დადგენის საწყის მოსავლიანობად აღებულია 40 ცენტნერი, რადგანაც ვთვლით, რომ ნიადაგი თავისი ნაყოფიერებით, ნორმალური აგროტექნიკის პირობებში თუ კი ვერ უზრუნველყოფს ჰა-ზე გაანგარიშებით 40 ცენტნერი ყურძნის მიღებას, არ უნდა დაეთმოს ისეთ შრომატევად კულტურას როგორიცაა ვაზი.

თუ რამდენად შეუძლია ყურძენს და მის საბოლოო პროდუქტს ხარჯების ანაზღაურება მოვიყვანთ შემდეგ მაგალითს: ციცქა, რომელიც დარაიონებულია იმერეთის ზონაში, არის შამპანური ღვინომასალების პროდუქცია. თერჯოლის შამპანური ღვინოების ქარხნის მიხედვით, ერთი ლიტრი შამპანურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითღირებულება 1,42 მანეთია, საბითუმო ფასი 4,41 მანეთი, საცალო ფასი კი 17,33 მან.

ერთი ლიტრი ღვინომასალებისათვის იხდის შამპანური ღვინოების ქარხანა 1,14 მანეთს.

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, ყურძნის საბოლოო პროდუქტის შამპანური ღვინით მიღებული მოგების დაახლოებით 90% საცალო ვაჭრობიდან სარეალიზაციო ამონაგების გათვალისწინებით, ანუ ღვინის თვითღირებულების 12-ჯერ მეტი, მიდის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უშუალოდ ყურძნის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ყურძნის უშუალოდ მწარმოებელი ადამიანები და მათი სოფლის ინფრასტრუქტურა, მათი ეკონომიკა არასახარბიელო მდგომარეობაშია და სიღატაკის ზღვრამდეა მისული.

ცხრილ 8-ში მოცემული ყურძნის და სხვა სოფლის მეურნეობის სახელშეკრულებო ფასი უნდა განისაზღვროს მას შემდეგ, როდესაც დაზუსტდება სარეალიზაციო ფასები იმ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, რასაც მრეწველობა აწვდის სოფლის მეურნეობას. ამავე დროს აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ ასეთად დადგენილ ფასებს მეტი სტაბილურობა და სიმტკიცე უნდა ჰქონდეს, რისთვისაც ფასების გაანგარიშებისას მისი მოქმედების სავალდებულო დროც უნდა იყოს გათვალისწინებული და მხოლოდ ამ დროის შემდეგ უნდა იყოს ნებადართული ფასების გადასინჯვა სამრეწველო საქონლის იმ პროდუქციაზე რომელსაც სოფლის მეურნეობა აწვდის მრეწველობას. ასევე სტაბილური უნდა იყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფოს მიერ დადგენილი საორიენტაციო შესყიდვის ფასებიც. ვფიქრობთ, რომ 10 წელი მაინც უნდა გაძლოს ფასებმა უცვლელად და ამ დროის შემდეგ მოხდეს, როგორც სამრეწველო საწარმოების, ისევე სასოფლო სამეურნეო საწარმოების მიერ, ფასების გადასინჯვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ დადგინდება დასაბუთებული ფასები და ამდენად იგი ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას.

ზემოთ აღწერილი (იხ. ცხ. 8) ყურძნის სახელშეკრულებო ფასის დადგენის ანალოგიურად, მსგავსი მიდგომით უნდა მოხდეს სახელშეკრულებო ფასების დიფერენცირება სხვა დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურების, სასოფლო სამეურნეო საწარმოების, მოიჯარადეების განკარგულებაში არსებული მიწის ხარისხის გათვალისწინებით.

ასეთად გაანგარიშებული სახელშეკრულებო ფასებში განივთებული მოგების არანაკლები 50%-სა უნდა მიეცეს უშუალოდ მოიჯარადეს, საწარმოო ერთეულს ან ცალკეულ მევენახეს, რათა მათ მაქსიმალურად იგრძნონ თავიანთი მაღალმწარმოებლური შრომის სიკეთე, შეეძლოთ მატერიალური წახალისების ფონდების ჩამოყალიბება და მოხმარება, წარმოების სრულყოფა და რიგი სოციალური საკითხების გადაწყვეტა, გარკვეული სადაზღვევო ფონდების შექმნა არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებით მიყენებული ზარალის ასახაზღაურებლად. მაგალითად ცხრილი 8-დან გამომდინარე, თუ სასოფლო-სამეურნეო საწარმო დამამზადებლებისაგან მიიღებს 104,46 მანეთს, რაც თვითღირებულებას 30% გაზრდით არის მიღებული 30% რენტაბელობისათვის. საწარმოო ქვედანაყოფი, მოიჯარადე და სხვა ფორმით მომუშავე უშუალოდ ყურძნის მწარმოებელს მიეცემა თითოეულ კგ. საბაზისო შაქრიანობის ხარისხოვან ყურძენში 92,40 მანეთი. ე. ი. თვითღირებულებაზე რენტაბელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის 30% დანამატიდან 50% ანუ 15% ეძლევა უშუალოდ ყურძნის მწარმოებელს, და 15% დარჩება თვით სასოფლო სამეურნეო საწარმოს გაფართოებული კვლავწარმოებისათვის და სტიმულირების ფონდების შესაქმხელად.

ფასების მეშვეობით მოგების ასეთი გადანაწილება ხელს შეუწყობს ძირეულ შრომით კოლექტივებში ინიციატივიან შრომას, ორგანიზაციული ნიჭის სრულყოფასა და დახვეწას, მშრომელთა ეკონომიკურად გაძლიერებას რაც საბოლოო ანგარიშით შრომის ორგანიზაციის უფრო სრულყოფილ ფორმებში გადაზრდის პირობა და საშუალება გახდება.

Л. ГОГНАДЗЕ

## ОСНОВЫ ДИФФЕРЕНЦИАЦИИ РЕАЛИЗАЦИОННЫХ ЦЕН НА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЕ ПРОДУКТЫ

Резюме

Проанализирована необоснованность действующих до сих пор реализационных цен, составных элементов реализационных цен, особенно зарплаты и тарифной ставки.

Установлено, что развитию сельского хозяйства серьезно мешает государственный диктат цен (государственные, договорные) на сельскохозяйственные продукты.

Основой для установления цен на каждый сельскохозяйственный продукт должно быть качество земли, нормальные затраты и прибыль на 30—40% в случае нормального хозяйствования. Такой подход создаст одинаковые материальные условия для развития сельскохозяйственного производства, подлинного хозяйственного расчета.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან მარშავა

# ვაჭრობის ზემოქმედების ფორმები და მეთოდები მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებაზე

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ბაზრის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს კონსტრუქციული ზომების მიღების აუცილებლობას ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მსუბუქი მრეწველობის საქონლის ბაზრის მდგომარეობის ანალიზი ადასტურებს, რომ აუცილებელია საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება.

უკანასკნელ პერიოდამდე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის უპირატეს მიმართულებას წარმოადგენდა ამ დარგის საწარმოებისათვის დიდი რაოდენობის შიგაუწყებრივი გეგმური მაჩვენებლების დაწესება, მათ შორის გაუმჯობესებული ხარისხის ახალი პროდუქციის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასებში რეალიზებული, განსაკუთრებით მოდური ნაწარმის, გამოშვების მოცულობისა და ხვედრი წონის დავალებები და აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სათანადო ქვედარგებში პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოების დავალებები. ასე მაგალითად, ტრიკოტაჟის საწარმოებისათვის 1990 წლამდე პერიოდისათვის დამტკიცებულია დავალებები 17 პოზიციის მიხედვით, მათ შორის დავალება ტრიკოტაჟის მრეწველობის საკავშირო მოდელების სახლის, საერთო საკავშირო გაერთიანების „სოიუზპრომვნედრენიე"-ს მოდელების ათვისებისა. „ზევიდან" დაგეგმილი მაჩვენებლების საერთო რიცხვი, რომელიც შეეხება საქონლის ხარისხის ამაღლებასა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, 20 დასახელებას აღემატება.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის ამოქმედებით ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების დავალებები კანონსაწინააღმდეგო ხდება. მაგრამ, მიუხედავად მიღებული კანონისა, განსაკუთრებით მოდური და გაუმჯობესებული ხარისხის ნაწარმის გამოშვების რეგლამენტაციის პრაქტიკა გრძელდება. ეს კი ეწინააღმდეგება ეკონომიკის მართვის ძირფესვიანად გარდაქმნის მიმართულებას, ზღუდავს საწარმოების დამოუკიდებლობას.

დირექტიულად დაწესებული დავალებების საფუძველზე საქონლის ხარისხის მართვის ძირითად ნაკლს წარმოადგენს მოუქნელობა, შეფასების მკაფიო კრიტერიუმების უქონლობა, მართვის გაბერილი აპარატი, შესაბამისი მაჩვენებლების დასაგეგმავად და გასაკონტროლებლად საწარმოთა მიერ ეკონომიკური დაინტერესების უქონლობა, დაუინტერესებლობა დადგენილ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით, ხარისხის მართვის პროცესიდან მომხმარებლების ჩამოშორება.

აუცილებელია დაგეგმვის სისტემის სრულყოფა სტრატეგიული მიმართულებების გაძლიერების საფუძველზე საშუალოდ მომხმარებლებზე და მწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ებლებზე ოპერატიული ფუნქციების გადაცემითა და დაგეგმვის პროცესში ვაჭრობის როლის გაფართოებით.

ასორტიმენტის კონკრეტულ სახეობაზე მიზნობრივი ორიენტაცია მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების დიფერენცირებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა კონცენტრირებულად და კომპლექსურად გადაწყდეს ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის, წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, ნედლეულითა და მასალებით უზრუნველყოფის, აუცილებელი კადრების მომზადების საკითხები. უაღრესად საჭიროა ასორტიმენტული კონცეფციების შემუშავებაში ვაჭრობის წარმომადგენელთა მონაწილეობა ბაზრის პერსპექტული ტევადობის მოცემული საქონლის ასორტიმენტის ოპტიმალური დიაპაზონის კვალიფიციური განსაზღვრისათვის და ა. შ.

ასორტიმენტული კონცეფციების შემუშავება ვაჭრობისა და მრეწველობის მართვის ორგანოების — რესპუბლიკური და საკავშირო სამინისტროების მთავარი სამმართველოების ფუნქციაა, ვინაიდან ასორტიმენტული კონცეფციების რეალიზაცია შეიძლება ცალკეული საწარმოების კონცეფციების ჩარჩოებს გარეთ განხორციელდეს. მაგალითად, ახალ წარმოებათა შექმნა, იმპორტული შესყიდვები, სახელმწიფო დაკვეთების ფორმირება და ა. შ. შესაძლებელია ასორტიმენტული კონცეფციების შემუშავებაც მართვის რეგიონალურ დონეზე — მხარეების, ოლქების ჩარჩოებში. ამ შემთხვევაში კოორდინატორების როლში უნდა მოგვევლინოს საოლქო (სამხარეო) საბჭოების აღმასკომები.

ასორტიმენტული კონცეფციების ძირითადი მიზანია ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში მოთხოვნისა და მიწოდების მოცულობითი და სტრუქტურულ-ასორტიმენტული დაბალანსების მიღწევა, საინფორმაციო საფუძვლის შექმნა სავაჭრო ორგანიზაციების დაკვეთების შესადგენად და მიმწოდებელთა საწარმოო პროგრამების ფორმირებისათვის.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მიუხედავად მიღებული დირექტიული დადგენილებებისა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამეურნეო კავშირების ეფექტიანობა კვლავაც დაბალია. წარმოების გეგმები, როგორც მოცულობის მიხედვით, ასევე ასორტიმენტულ-სტრუქტურულ ჭრილში, შედის ძალაში არა ვაჭრობის განაცხადების საფუძველზე, არამედ მიმწოდებელთა ინტერესებიდან გამომდინარე. ეს კი განისაზღვრება შიგაუწყებრივი დირექტიული დავალებების შესრულების შეფასებისა და სტიმულირების მოქმედი სისტემით.

ხშირად მიწოდებისა და მოთხოვნის შეუსაბამობის მიზეზია არა ნედლეულის ან სიმძლავრეთა უკმარისობა, არამედ საწარმოების საქმიანობის მართვის არსებული სისტემა, სამეურნეო მექანიზმი.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამეურნეო კავშირები წარმოადგენენ არსებული სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში მოქმედ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და ვაჭრობისა და მრეწველობის მართვის ორგანოებს შორის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად წარმოების გეგმების ფორმირების, ბითუმი ყიდვა-გაყიდვის, სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ქსელში მიწოდებისა და რეალიზაციის ორგანიზაციის პროცესში.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამეურნეო კავშირების სისტემა მოიცავს საქმიანობის შემდეგ სახეობებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოთხოვნილების შესწავლა და მოსახლეობის მოთხოვნის პროგნოზირება;

— საქონლის წარმოებასა და მიწოდებაზე განაცხადებისა და დაკვეთების შედგენა;

— საქონლის წარმოების დაგეგმვა;

— საქონლის საბითუმო ბაზრობების ჩატარება და მიწოდების ხელშეკრულებების გაფორმება;

— მიწოდების ხელშეკრულებების რეალიზაცია, მოსალოდნელი ურთიერთპრეტენზიების რეგულირება;

— საქონლის რეკლამა;

— სხვადასხვა ურთიერთმომსახურების გაწევა და ა. შ.

მუშაობის თითოეული აღნიშნული მიმართულების ეფექტიანობა და საერთო საბოლოო შედეგი — მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება — უშუალოდაა დამოკიდებული სამეურნეო მექანიზმის თავისებურებებსა და ფუნქციონირების ეფექტიანობაზე, რომლის ფარგლებშიც წარმოებს სამეურნეო კავშირების რეალიზაცია.

სამეურნეო მექანიზმი — ეს იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაცია, სამეურნეო პროცესების რეგულირება და წარმოების საშუალებებზე საკუთრების რეალიზაცია. ეს ეკონომიკური ინტერესების შეთანხმების მექანიზმია.

მოქმედი სამეურნეო მექანიზმის ნაკლოვანებათა პირდაპირი შედეგია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის რეალური ქმედითი უკუკავშირის არარსებობა, მოსახლეობის მსუბუქი მრეწველობის მაღალხარისხოვანი საქონლით დაუკმაყოფილებლობა.

თანამედროვე პირობებში გაფართოვდა და გართულდა ვაჭრობის ამოცანები მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ხარისხის დონის შეფასების საქმეში და მათი წარმოებაში დანერგვის პროცესში.

პროდუქციის მიკუთვნება ისეთი კატეგორიებისადმი როგორიცაა — „გაუმჯობესებული ხარისხის ახალი ნაწარმი“ და „განსაკუთრებით მოდური ნაწარმი“, ფაქტიურად ნიშნავს პროდუქციის ხარისხის დონის შეფასების სისტემის დეცენტრალიზაციას, მწარმოებელი საწარმოების უფლებათა გაფართოებას შეფასების საქმეში, რაც გულისხმობს სავაჭრო საწარმოების როლის ამაღლებას (და არა ვაჭრობის მართვის ორგანოების) ასორტიმენტის შეფასების საკითხების გადაწყვეტაში, ნაწარმის ხარისხისა და ფასების ურთიერთმიმართებაში.

განსაკუთრებით მოდური ნაწარმის ხარისხის დონე, რომლის რეალიზაციაც წარმოებს სახელშეკრულებო ფასებით, განისაზღვრება თვით დამამზადებელი საწარმოების მიერ და შემდგომში მათი შეთანხმება ხდება მხოლოდ მყიდველთან — სავაჭრო ორგანიზაციასთან.

ნაწარმის ხარისხისადმი მოთხოვნათა დონე ფასის 15%-ით დანამატისას ასევე ერთობლივად განისაზღვრება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებების მიერ საწარმოს სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც სამხატვრო ტექნიკური საბჭოს მიერ ნაწარმის ხარისხის დონე განისაზღვრება იმ ნაწარმის სახით, რომელიც საჭირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების ფასზე 30 პროცენტამდე და უფრო მეტ დანამატს, საკითხი განხილულ უნდა იქნას დარგის სამხატვრო ტექნიკური საბჭოს სხდომაზე.

ამრიგად, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დამოკიდებულება, ნაწარმთა ხარისხის დონის შეფასებისას, ერთდროულად დაკავშირებულია საქონლის ფასების დონის განსაზღვრასთან, მათი გამოშვების ეკონომიკურ სტიმულირებასთან. მაგრამ არ არის განსაზღვრული ამ პროცესში ვაჭრობის მონაწილეობისა და უფლებამოსილების საკითხები. თუკი ადრე ვაჭრობის უფლებები მკაფიოდ იყო განსაზღვრული ამჟამად მოქმედი ხარისხის კატეგორიებზე ნაწარმთა მიკუთვნების რეგლამენტირება, ასეთ უფლებებს აღარ ითვალისწინებს, უფრო მეტიც ვაჭრობის წარმომადგენელთა მონაწილეობა არ არის სავალდებულო.

ვაჭრობის მონაწილეობა აუცილებელია აგრეთვე ისეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორიცაა სტანდარტების სრულყოფის საფუძველზე საწარმოო პროგრამების ფორმირება, რომელიც გვევლინება საწარმოებისა და ქვედარგების სამხატვრო-ტექნიკური საბჭოების საქმიანობის შეფასებისა და სრულყოფის ნორმატიული ბაზის სახით, ვინაიდან ამჟამად სწორედ ეს ორგანოები ახორციელებენ იდეის ატესტაციას.

იმ სტანდარტების სრულყოფის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მსუბუქი მრეწველობის ხარისხის დონისა და ასორტიმენტის ფორმირების საფუძველს, საჭიროა განხორციელდეს ტექნიკური სტანდარტების გადასინჯვა მომხმარებლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლების გამოყოფის თვალსაზრისით, რომლებიც უზრუნველყოფენ ისეთი სამომხმარებლო თვისებების მაღალ დონეს როგორიცაა — ფუნქციონალობა, საიმედობა მოხმარებაში, ეკონომიურობა, ერგონომიურობა, ე. ი. ისეთ თვისებებს, რომლებიც შეიძლება გაერთიანებულ იქნენ ტერმინით „კეთილთვისება“.

ამავე დროს, კონკრეტული ნაწარმის სახსტანდარტებში შეიძლება გამოყოფილ იქნას მოთხოვნები სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური მაჩვენებლების ჯგუფის სამომხმარებლო ნიშნებისადმი. ამასთან მოთხოვნები იმ პროდუქციის მიმართ, რომელიც სერიულად გამოდის, მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ აზრს.

სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური მაჩვენებლები უნდა შეფასდეს სპეციალური სახსტანდარტების საფუძველზე, ნაწარმის შემუშავებისა და მათი წარმოებაში გაშვების მომზადების ეტაპზე, ე. ი. ასორტიმენტის ფორმირების ეტაპზე. ასეთმა სახსტანდარტებმა უნდა განსაზღვრონ შეფასების მეთოდიკა ნაწარმის მსხვილი ჯგუფების (ფეხსაცმელს, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტექსტილური ნაწარმის) მიხედვით და დააწესონ ხარისხის დონის შეფასების საქმეში გარდა დამამზადებელი საწარმოსა, სავაჭრო და სამოდელო ორგანიზაციებისა და საწარმოების ექსპერტების მონაწილეობა.

სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური მაჩვენებლების შეფასების მეთოდიკად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შეფასების ბალური სისტემა.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ასორტიმენტზე და ხარისხზე ვაჭრობის ზემოქმედების დამატებით ფორმად, მათი სერიული წარმოებისათვის მომზადებისას, შეიძლება დავასახელოთ მსუბუქი მრეწველობის საქონლის ნიმუშების გამოფენები. ასეთი გამოფენების ჩატარება საქონლის საბითუმო გაყიდვის ბაზრობებამდე თებერვალ-მარტში, 2-3 თვით ადრეა გათვალისწინებული ზემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



დგომი ორგანოს დადგენილებით. ჯერჯერობით ასეთი გამოფენების როლი ასორტიმენტისა და ხარისხის სრულყოფის პროცესში არაა გარკვეული. ჩვენი აზრით, ასეთი გამოფენები ეფექტური იქნება ასორტიმენტის დათვალიერების სახით, იმ ნაწარმთა სახეების მიხედვით, რასაც უშვებენ საქონელმწარმოებლები მოცემულ რეგიონში, მხარეში, ოლქში, რესპუბლიკაში. დათვალიერებები უფრო მაღალ რეგიონალურ დონეზე, როგორც წესი, ეფექტს არ იძლევა.

გამოფენა-დათვალიერებების ორგანიზატორები უნდა იყვნენ ვაჭრობის საოლქო (სამხარეო) სამმართველოები საბითუმო ვაჭრობის ადგილობრივი საწარმოების აქტიური მონაწილეობით — შესაბამისი სასაქონლო სპეციალიზაციით — სამკერვალო ნაწარმი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, ბეწვეულის ნაწარმი.

დათვალიერებების ორგანიზაცია მიზანშეწონილია არა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, არამედ ნაწარმთა სახეობების მიხედვით. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ შევაფასოთ ნაწარმთა ასორტიმენტის სისრულე, რომლებიც შემუშავებულია რეგიონის საწარმოებში, უზრუნველყოფს აუცილებელ პირველად ინფორმაციას ნაწარმთა შემოზიდვისა და გაზიდვის ოლქთაშორისი, რესპუბლიკათაშორისი მიწოდებების მიხედვით და იმპორტის გზით შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

ვინაიდან ჩვენი სოციალისტური ბაზარი არაა საკმაოდ განვითარებული, მსუბუქ მრეწველობაში კი არ არის სარეზერვო სიმძლავრეები, მიმწოდებლების მიერ ბაზრის მონოპოლიზაციის დონე ძალიან მაღალია. სამრეწველო კოლექციების წინასწარი მომზადების ეტაპზე ამ პრინციპებით ვაჭრობის მონაწილეობა რჩება მიმწოდებლებზე ზემოქმედების აუცილებელ ფორმად, რათა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის იყოს შესაბამისობა.

კოლექციების დამოუკიდებელი ფორმირების უფლება მიცემული აქვს ბელორუსიისა და მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის რიგ საწარმოებს. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მთელი პასუხისმგებლობა მსუბუქი მრეწველობის საქონლის ასორტიმენტის ფორმირებაზე და ხარისხის ამაღლებაზე უნდა დაეკისროს უშუალოდ თვით საქონელმწარმოებლებს, სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს. მაგრამ ასორტიმენტზე და ხარისხზე ვაჭრობის ზემოქმედების როლი მეურნეობრიობის ახალ პირობებში კი არ უნდა შესუსტდეს არამედ უნდა განხორციელდეს ახალი ფორმებით.

განსაკუთრებით მოდური ნაწარმით ვაჭრობის თანამედროვე ორგანიზაციის მდგომარეობის გამოკვლევა იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ასეთი ვაჭრობის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა შეიძლება არსებითად ავამაღლოთ უნივერსალური ასორტიმენტის რეგიონალური საბითუმო-საცალო გაერთიანებების (ფირმების) შექმნის ხარჯზე, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან მსუბუქი მრეწველობის განსაკუთრებით მოდური ნაწარმის საქონელმოძრაგების პროცესის ორგანიზაციაში დაკვეთების განლაგებიდან საცალო გაყიდვის ორგანიზაციამდე.

ასეთი ფირმების შექმნა საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ შემდეგი ამოცანები:

1. გავატაროთ ერთიანი სასორტიმენტო პოლიტიკა, შევიმუშაოთ განსაკუთრებით მოდური ნაწარმის კომპლექსური კოლექცია — ფეხსაცმელიდან დაწყებული ქუდებით დამთავრებული. ამასთან მიმწოდებლებად შეიძლება გვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლინებოდნენ სხვადასხვა საწარმოები, რომლებიც მუშაობენ ერთიანი ესთეთიკური იდეით.

2. გავატაროთ ფასის ერთიანი პოლიტიკა. შევწყვიტოთ სახელშეკრულებო ფასის შესახებ ოქმების შეთანხმების პრაქტიკა ნაკლებად მომთხოვნ მყიდველებთან, ასევე მაღალი ფასის გავრცელების პრაქტიკა დიდი ტირაჟის ნაწარმზე, რომლებიც შეეხება მცირე პარტიებსა და შერჩევით მყიდველებს. საკუთარი სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს, კვალიფიცირებული საქონელმცოდნეების არსებობა საშუალებას იძლევა კომპეტენტურად გადავწყვიტოთ სახელშეკრულებო ფასების შესაბამისობის საკითხი, ნაწარმთა სამომხმარებლო თვისებების დონისა და მოსახლეობის მოთხოვნის დონისადმი.

3. საბითუმო-საცალო გაერთიანებები განახორციელებენ განსაკუთრებით მოდური ნაწარმის ოლქთაშორის და რესპუბლიკათაშორის კომერციულ გაცვლას. ამასთან გადაწყვეტილი იქნება ორი ამოცანა:

ა) ადგილობრივ მიმწოდებელ საწარმოებს საშუალება ეძლევათ გაადიდონ ძალზე მოდური ჯგუფის ნაწარმთა გამოშვების ტირაჟი, რაც გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მაჩვენებლებს;

ბ) ნაწარმთა ასორტიმენტი უფრო მრავალფეროვანი იქნება თუკი ადგილობრივი მიმწოდებლების ნაწარმთა რეალიზაციის ტირაჟი და სხვა რეგიონების ნაწარმზე მათი გაცვლა შემცირდება.

4. საბითუმო-საცალო გაერთიანებას უნდა მიეცეს საგარეო ბაზარზე პირდაპირი გასვლის უფლება როგორც საქონლის, ნედლეულისა და მასალების შესასყიდად, ასევე თავისი ასორტიმენტული კონცეფციისა და მიმწოდებელთა შესაბამისი დაინტერესების უზრუნველსაყოფად.

5. საბითუმო-საცალო გაერთიანების ფარგლებში განსაკუთრებით მოდური ნაწარმის რეალიზაციის კონცენტრაცია საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ მომსახურების კულტურა, უზრუნველვყოთ შესაბამისი რეკლამის ორგანიზაცია; გავაფორმოთ მაღაზიების ქსელი მაღალ მხატვრულ დონეზე, ერთიან სტილში.

6. ძალიან მოდური ნაწარმის შესყიდვის კონცენტრაცია საშუალებას მოგვცემს უფრო ეფექტურად გადავლახოთ მონოპოლიური ტენდენციები განსაკუთრებით მოდური ნაწარმის წარმოებაში, არ დავუშვათ ფასების დაუსაბუთებელი ზრდა, საშუალებას მოგვცემს შევქმნათ თანაბარი პირობები ასორტიმენტის, გამოშვების მოცულობისა და განსაკუთრებით მოდური ნაწარმის ფასების საკითხების გადაჭრის საქმეში.

საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის და ფართოდ მოდური ნაწარმის ვაჭრობა ხორციელდება უპირატესად სპეციალიზირებული საბითუმო-საცალო გაერთიანებების მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К. М. МАРШАВА

# ФОРМЫ И МЕТОДЫ ВОЗДЕЙСТВИЯ ТОРГОВЛИ НА РАСШИРЕНИЕ АССОРТИМЕНТА И ПОВЫШЕНИЕ КАЧЕСТВА ИЗДЕЛИЙ ЛЕГКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Резюме

Отмечается, что разработка ассортиментных концепций — функция органов управления торговли и промышленности. Основная цель ассортиментных концепций — достижение объемной и структурно-ассортиментной сбалансированности спроса и предложения на определенных сегментах рынка, создание информационной основы для составления заказов торговых организаций и формирования производственных программ поставщиков.

Проанализировав современное состояние вопроса, автор приходит к выводу, что отнесение продукции к категориям «новые изделия улучшенного качества» и «особо модные изделия» фактически означает децентрализацию системы оценки уровня качества, расширение прав производственных предприятий, что предполагает повышение роли торговых предприятий в решении вопросов оценки ассортимента, увязке качества с установлением цен на изделия. Уровень качества особо модных изделий, реализуемых по договорным ценам, определяется самими предприятиями — изготовителями и согласовывается затем только с покупателем — торговой организацией.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალა უშვერიძე

# მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების მაჩვენებლების დინამიკაზე

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდეგი ძირითადი მიმართულებები გამოიყოფა: დარგის პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის სრულყოფა, მანქანებისა და ტექნიკური დანადგარების სისტემის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, ავტომატიზაცია, მექანიზაცია და სხვ. წარმოების სტრუქტურის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს დარგში გაერთიანებული საწარმოთა რენტაბელობის ამაღლება. შრომის მწარმოებლურობის, მატერიალური რესურსების ეკონომიის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და ძირთადი საწარმოო ფონდების ზრდის საფუძველზე. კაპიტალურ დაბანდებათა დარგობრივი სტრუქტურა დაკავშირებულია წარმოების შიგადარგობრივი მოცულობების ზრდასთან, რომლებიც დინამიკურ დარგთაშორის მოდელებში განისაზღვრებიან.

მოდელის აგებისას ხელმძღვანელობდნენ სტანდარტულ ნიშან-თვისებათა კლასიფიკაციით, კერძოდ: 1. დინამიკურობა; 2. სისტემის მკაცრი დეტერმინულობა; 3. დისკრეტულობა; 4. წრფივი ფუნქცია. № 1 ცხრილში მოყვანილია მოდელის ბლოკ-სქემა, რომელშიც აისახება მსუბუქი მრეწველობის დარგის დინამიკა. დეტერმინირებულ სისტემაში წინასწარ უტყუარად შეიძლება აღიწეროს მათი განხორციელების საჭირო და საწყისი პირობები. ისეთი სტოხასტური ამოცანები, რომლებიც განპირობებული დიდი რაოდენობის შემთხვევითი ფაქტორების მოქმედებით, არ არის განხილული.

ცხრილი 1.

დარგთაშორისი ურთიერთქმედების მოდელი

| | | |
|---|---|---|
| დარგთაშორისი ურთიერთ-მოქმედების მოდელი | კაპიტალურ დაბანდებათა დარგობრივი სტრუქტურა | |
| მსუბუქი მრეწველობის მასალათა წარმოება | აღწარმოებითი სტრუქტურა | საწარმოო მოწყობილობის მოდერნიზაცია |
| | ტექნოლოგიური სტრუქ-ტურა | |
| | მოთხოვნა მსუბუქი მრეწვე-ლობის ქვედარგების პროდუქციაზე | |
| | საერთო პროდუქცია | |
| | სარეალიზაციო პროდუქციის საერთო მოცულობა | |

ეროვნული
ბიბლიოთეკა



განვიხილოთ ცხრილი 2,3. იმ ფაქტორებიდან, რომლებიც მოქმედებენ მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარებაზე, აღსანიშნავია შრომის ნაყოფიერების საბოლოო მაჩვენებლის ფორმულირების სისტემის თანამამრავლები ($x_1$, $x_2$, $x_3$, $x_4$), რომლებიც კორელაციის დადებითი კოეფიციენტებით გამოირჩევიან. დისპერსია და ვარიაცია x და y ფაქტორებს შორის, შედეგობრივი შინათვისებების გათვალისწინებით მსუბუქი მრეწველობის დარგებში დროის უმოკლეს პერიოდში აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს და ტოლია $S^2_x$= 0.0026-ის, ნარჩენი დისპერსიის მაქსიმალური სიდიდე ტოლია $S=0.11407$, შესაბამისად დისპერსიის მაქსიმალური სიდიდე $S^2_y=0.025$-ს. ფიშერის კრიტერიუმი $F=0.4613$, რეგრესიის მაქსიმალური კოეფიციენტი $R=0.5804$ და შერეული კორელაციის კვადრატი $R^2=0.3368$, უცვლელი შეფასების მაქსიმალური სტანდარტული გადახრა $S_{xv}=0.1068$.

$x_1$, $x_2$ $x_3$, $x_4$ ფაქტორების მულტიკოლინეარობის შემთხვევაში რეგრესის კოეფიციენტების წრფივი შეფასების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან დისპრესია იზრდება, ხოლო პარამეტრების ნიშნები მერყეობს.

მსუბუქი მრეწველობის დარგებისა და საწარმოების განვითარების პროგნოზების ურთიერთკავშირის მიზნით, გამოიყენება კომპლექსური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს დარგის საწარმოო სისტემის ელემენტებს შორის როგორც პირდაპირ, ასევე უკუკავშირებსაც. დარგობრივი პროგნოზების საფუძველს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობის კომპლექსური განვითარების ამსახველი ძირითადი საბალანსო მაჩვენებლები: დარგის პროდუქციის მაჩვენებლები (შესადარებელ ფასებში), მათ შორის პროდუქციის გამოშვება 1 მან. დანახარჯებზე გადაანგარიშებით, ძირითადი და პროგრესული ნომენკლატურის პროდუქციის სტრუქტურა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სა-

ცხრილი 2

ერთფაქტორიანი რეგრესიის პარამეტრული შეფასება, რომელიც აღწერს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ძირითად მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის დინამიკას 1987-88 წლებში.

| მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულება (წრფივი) | დისპერსია, რომლითაც განისაზღვრება საერთო ვარიაცია | დისპერსია, რომლითაც განისაზღვრება ვარიაცია ფაქტორებს შორის | დანარჩენი დისპერსია | ფიშერის კრიტერიუმი |
|---|---|---|---|---|
| y=0,01+1,98 * X | $S_y^2=0,0007$ | $S_x^2=0,000014$ | $S^2=0,00032$ | $F=0,4613$ |
| y=0,017+0,089 * X | $S_y^2=0,002$ | $S_x^2=0,008298$ | $S^2=0,00081$ | $F=0,2826$ |
| y=0,943+0,368 * X | $S_y^2=0,025$ | $S_x^2=0,002606$ | $S^2=0,11407$ | $F=0,2285$ |
| y=0,001+0,601 * X | $S_y^2=6\cdot10^{-6}$ | $S_x^2=9\cdot10^{-7}$ | $S^2=3\cdot10^{-6}$ | $F=0,3669$ |
| y=0,154+0,908 *X | $S_y^2=5,84\cdot10^{-4}$ | $S_x^2=3,8\cdot10^{-4}$ | $S^2=3,73.10^{-4}$ | $F=0,1392$ |
| y=0,027+0,035 * X | $S_y^2=1,62\cdot10^{-3}$ | $S_x^2=1,52\ 10^{-3}$ | $S^2=7,34.10^{-4}$ | $F=0,2065$ |
| y=0,102+0,227 * X | $S_y^2=2,39\cdot10^{-2}$ | $S_x^2=2,73\cdot10^{-3}$ | $S^2=1\cdot10^{-2}$ | $F=0,2705$ |
| y=0,162+0,568 * X | $S_y^2=3,1\cdot10^{-3}$ | $S_x^2=1,03\cdot10^{-3}$ | $S^2=1\cdot10^{-3}$ | $F=0,01$ |

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ტრიკოტაჟის, წინდებისა და ტყავის ნაწარმის დარგებით გამოირჩევა.

ცხრილი 3

კორელაციური ანალიზი

| | დამოკიდებულების სახეობა | კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტი | შერჩევითი კორელაციის კვადრატი | უცვლელი შეფასების სტანდარტული გადახრა |
|---|---|---|---|---|
| 1987—88 | წრფივი | $R=0,1501$ | $R_2^9=0,0225$ | $\check{s}_{xy}=0,0179$ |
| | | $R=0,3519$ | $R_2=0,1238$ | $\check{s}_{xy}=0,0285$ |
| | | $R=0,3202$ | $R_2=0,1025$ | $\check{s}_{xy}=0,1068$ |
| | | $R=0,3938$ | $R_2=0,155$ | $\check{s}_{xy}=0.0016$ |
| | | $R=0,2551$ | $R_2=0,065$ | $\check{s}_{xy}=0.0175$ |
| | | $R=0,3451$ | $R_2=0,119$ | $\check{s}_{xy}=0,1005$ |
| | | $R=0,5804$ | $R_2=0,3368$ | $\check{s}_{xy}=0,0318$ |

სამკერვალო წარმოების დარგებში გამოიყენება სახელმწიფო სტანდარტები ამ დარგების შემდეგ პროდუქციაზე, ქსოვილები, ნაქსოვი ნაწარმი, სუფთა შალის და ნახევრადშალის ნაწარმი, აბრეშუმის ქსოვილი, ნახევრადაბრეშუმისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმი, სხვა სახეობის ქსოვილები და ნაწარმი. მათი ნომენკლატურა განისაზღვრება ჰიგიენური და ესთეტიკური დანიშნულებისა და უნიფიკაციის მაჩვენებლების საფუძველზე.

მსუბუქ მრეწველობაში წარმოების ტექნოლოგიური დონის მაჩვენებელია პროგრესული ტექნოლოგიით გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წონა, მათი სიმძლავრე, დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის მოწყობილობებად დაყოფა.

მსუბუქი მრეწველობის ქვედარგებისა და წარმოების ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლებია: შრომითი და მატერიალური რესურსების, საწარმოო ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანი გამოყენების მაჩვენებლები. დარგის ტექნიკური პოტენციალის გამოყენების დონის მაჩვენებელია: ძირითადი და საწარმოო პროცესების და დამხმარე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაჩვენებლები; მატერიალური რესურსების, გამოყენების დონის მაჩვენებლებია ნედლეულისა და მასალების ხვედრითი დანახარჯები, მათი ხარისხის პარამეტრები, პოლიმერული მასალები, სხვადასხვა სახეობის მასალების გამოყენების დარგობრივი სტრუქტურა, ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების დონე განისაზღვრება კაპიტალური დაბანდებების მოცულობითა და ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებლებით. ამ დარგში შრომითი რესურსების გამოყენების დონის მაჩვენებლებია: შრომის მწარმოებლურობისა და შრომატევადობის მაჩვენებლები.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზემოთ აღწერილი სისტემა ახასიათებს მსუბუქი მრეწველობის წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სის ყველა ძირითად მიმართულებას და აგრეგირების თითოეული განსახილველი დონისათვის შეიძლება მისი დეტალიზება. მსუბუქი მრეწველობის ძირითად მაჩვენებლებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენის შეფასებაში იგულისხმება გამოკვლევათა შემდეგი რიგი: დარგის განვითარების ტექნიკურ და ეკონომიკურ ძირითად მიმართულებათა ანალიზი, დარგის განვითარების მრავალდონიანი სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დასაბუთება, ძირითად მაჩვენებელთა დინამიკის ანალიზი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იმ ფაქტორების მოქმედება და დასაბუთება, რომლებიც გავლენას ახდენენ მსუბუქი მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაზე, რაოდენობრივი შეფასება ამ ფაქტორების ზემოქმედებისა დარგის განვითარების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. საწარმოებისა და დარგთაშორისი კავშირების თავისებურებანი გავლენას ახდენს ახალი ტექნიკის საწარმოო-დამამზადებლის ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ფორმირებაზე და მათი განხორციელება შესაძლებელია სამი მიმართულებით:

1. საწარმოს საწარმოო მოწყობილობის განახლება, მისი შეცვლა ფიზიკური ან მორალური გაცვეთის გამო;
2. ახალი, უფრო იაფი მანქანების გამოყენება გავლენას ახდენს გამოსაშვები პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე.
3. ხელფასის ეკონომიის ხარჯზე მუშაკთა რაოდენობის შემცირება.

ახალ მეთოდიკაში ტექნიკის აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტისა და ახალი მანქანების წარმოებაზე გაწეული დანახარჯები შეცვლილია ფასებით. ფასის ზედა ზღვარი გამოითვლება აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტის მიხედვით, ხოლო ფასების ქვედა ზღვარი ახალ ტექნიკაზე განისაზღვრება ისე, რომ ფასები ბალანსირდებოდეს დროის ყოველ წუთში მოთხოვნილების დონეზე (ფასების ზედა ზღვარი) ეს არის კლებადი რიგი. ყველა არსებულ სიდიდეებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე, შეირჩევა 1 პარამეტრი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე. იხილეთ (ცხრილი 2, 3).

А. И. УШВЕРИДЗЕ

## ВЛИЯНИЕ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА НА ДИНАМИКУ РАЗВИТИЯ ПОКАЗАТЕЛЕЙ ОТРАСЛЕЙ ЛЕГКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Резюме

Проблема экономической оценки результатов НТП заключается в том, чтобы увязать технические, технико-экономические и экономические показатели функционирования всех отраслей легкой промышленности. Для каждой отрасли направления НТП имеют свое содержание. При прогнозировании учитываются как общие, так и частные направления НТП: разработка и внедрение прогрессивной технологии; снижение материалоемкости; создание комплексной механизации; широкое внедрение вычислительной техники.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სისტემური კვლევის ლაბორატორიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართალი

ქეთევან მჭედლიშვილი

## კიდევ ერთხელ სამართლებრივ ვაკუუმზე

სისხლის სამართლის კოდიფიკაციის იდეა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებში წარმოიშვა. რუსმა მემარცხენე ესერებმა, რომლებიც რევოლუციის შემდგომ პირველ ხანებში იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შედიოდნენ, თავიანთი ხანმოკლე მოღვაწეობის პირველივე თვეებში რუსეთის 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულდების მიხედვით „საბჭოთა სისხლის სამართლის 1918 წლის სჯულდების“ პროექტი შეიმუშავეს (მემარცხენე ესერები იუსტიციის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში იყვნენ 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის მარტამდე. მემარცხენე ესერი შტეინბერგი ამ ხნის განმავლობაში იუსტიციის სახალხო კომისარი იყო)[1].

„საბჭოთა სისხლის სამართლის 1918 წლის სჯულდების“ პროექტის შესავალში გადმოცემული იყო მემარცხენე ესერების შეხედულებანი სამართალზე, სამართლის მიზნად ისინი საყოველთაო მშვიდობას მიიჩნევდნენ, ავითარებდნენ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას და ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო სამართალს უნდა ექვემდებარებოდეს. დანაშაული პროექტში ფორმალური ნიშნით იყო განსაზღვრული, საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის გათვალისწინების გარეშე. შეცვლილი იყო სასჯელთა სისტემა. მემარცხენე ესერებმა უარყვეს როგორც ძველი, მეფისდროინდელი სასჯელთა სისტემა, ასევე სასჯელები, რომლებიც რევოლუციის პირველ ხანებში გამოიყენებოდა დამხობილი კლასების მიმართ და ახალ სასჯელთა სისტემაში მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა და პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა გაითვალისწინეს. მემარცხენე ესერები ცდილობდნენ სასამართლო რეპრესიების შესუსტებას. ოქტომბრის რევოლუციის პირველივე თვეებში ისინი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათ მიერ იუსტიციის სახალხო კომისარიატში მუშაობის დროს, 1917 წლის 19 დეკემბერს გამოცემულ ინსტრუქციაში „რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ“, რევოლუციურ ტრიბუნალებს უფლება ერთმეოდათ კონტრრევოლუციონერთა და სხვა დამნაშავეთა მიმართ სიკვდილით დასჯა გამოეყენებინათ. სიკვდილით დასჯას არც მათი ახალი, 1918 წლის ესერული სჯულდება ითვალისწინებდა.

მემარცხენე ესერების საკანონმდებლო საქმიანობა, მიმართული სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანიზაციისაკენ ბოლშევიკების მიერ შეფასდა როგორც „წვრილბურჟუაზიული ლიბერალიზმი“, იდეოლოგიური დივერსია, ესერებს ბურჟუაზიული სამართლის რეცეფციაში დასდეს ბრალი და პროექტი არ მიიღეს[2].

---

[1] Ш в е к о в Г. В. Первый советский уголовный кодекс. М., 1970, с. 105.

[2] იქვე, გვ. 108—113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდიფიკაციის საკითხი თუმცა 1918 წლის 15 აპრილის იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი მიმართულ წერილში ხელმეორედ წამოჭრა ლენინმა, მაგრამ იგი რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში, როგორც ბოლშევიკიურისტთა უმრავლესობა, კოდიფიკაციას მეორეხარისხოვნად თვლიდა. 1918 წლის 30 ნოემბრის დებულებით „რსფსრ სახალხო სასამართლოების შესახებ" ჩამოგდებული მთავრობის კანონების გამოყენება აიკრძალა, ახალი რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსი კი მხოლოდ 1922 წლის 24 მაისს მიიღეს. ახალი სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკური დეკრეტებით, დეკრეტების არარსებობის შემთხვევაში — ბოლშევიკური მართლშეგნებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მასის რევოლუციურ „სამართალშემოქმედებას".

რევოლუციის შემდგომ პერიოდს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე ფრანგი იურისტი, შედარებითი სამართლის საფრანგეთის ცენტრის ხელმძღვანელი, სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი მარკ ანსელი სამოციან წლებში „სამართლებრივი ვაკუუმის" პერიოდს უწოდებდა. ამ შეხედულებას იზიარებდნენ ამერიკელი სოვეტოლოგები — ჰაროლდ ბერმანი და ჯონ ჰაზარდი. საბჭოთა სამართლის ანალიზის შედეგად ისინი ასკვნიდნენ, რომ ბოლშევიკებმა რევოლუციის შემდეგ „სამართლებრივი ვაკუუმი" შექმნეს, რომლის დროსაც ნიჰილიზმის და აპოკალიპტიციზმის, ანარქიზმის სული გაბატონეს მოწინააღმდეგეებზე უმოწყალოდ შურისძიებისათვის[3].

შვეიცარიელი იურისტი კურტ გასტეიგერი მიუთითებდა, რომ ბოლშევიკები მართლმსაჯულების განხორციელებას მართლწესრიგის გარეშე ცდილობდნენ და რომ ლენინის და მის თანამოაზრეთა შრომებით კომუნისტ-რევოლუციონერებს ექმნებოდათ განწყობილება, რომ ნებისმიერი წესრიგის დარღვევა, დასაშვებია და უმაღლესი იდეალი „კლასობრივი მტრების" განადგურებაა[4]. დასავლელ მეცნიერთა ამ შეხედულებას სოციალისტური ქვეყნების მეცნიერი იურისტები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ[5]. პროფ. ლ. როიტერი იშველიებდა ა. გერცენზონის მიერ 1937 წელს (!) ჩატარებულ გამოკვლევებს და ამტკიცებდა, რომ რუსეთში 1917-1921 წლებში 400-ზე მეტი სამართლებრივი ხასიათის დეკრეტი და დადგენილება იქნა მიღებული, რაც ყოველგვარ სამართლებრივ ვაკუუმს გამორიცხავდა[6].

ფაქტი, რომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში მრავალი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის დეკრეტი იქნა მიღებული, ჩვენი აზრით, რუსეთში სამართლებრივი ვაკუუმის არსებობას არ გამორიცხავს და ამერიკელი სოვეტოლოგების და დასავლელ მეცნიერ იურისტთა ამ შეხედულების უარსაყოფად ვერ გამოგვადგება. დეკრეტები და დადგენილებები უსისტემოდ, შემთხვევიდან შემთხვევამდე მიიღებოდნენ, ისინი მხოლოდ ამა თუ იმ ქმედობის დასჯადობის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და სასჯელი კი ტრიბუნალის ან სახალხო სასამართლოს მიერ უხდა განსაზღვრულიყო. დეკრეტები პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებდნენ,

---

[3] Г р и щ а е в М. И. Критика буржуазной правовой идеологии, М., 1964, с. 62.
[4] Г р и щ а е в М. И. указ. раб. с. 63-64.
[5] ლ. რ ო ი ტ ე რ ი, სადოქტორო დისერტაცია გვ. 5.
[6] Ш в е к о в В. указ. раб. с. 5; М. И. Грищаев, указ. раб. с. 62--64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი შეიცავდნენ მოწოდებას რევოლუციურად განწყობილი ხალხის მიმართ, გასწორებოდნენ მოწინააღმდეგეებს და არა დანაშაულის შემადგენლობის ზუსტ განსაზღვრას, დისპოზიციას[7].

სანქციები ამ დეკრეტებში აბსოლუტურად განუსაზღვრელი იყო: „რევოლუციურ სამართალში მიცემა, „სასტიკ პასუხისგებაში მიცემა“, „რევოლუციური ტრიბუნალის პასუხისგებაში მიცემა“, „რევოლუციური დროის კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა“, ამიტომაც მართლმსაჯულების განხორციელება მთლიანად მოსამართლის „რევოლუციურ სინდისზე“ იყო დამოკიდებული და თვითნებობასა და ძალადობას იწვევდა.

რუსეთის ფედერაციის ბოლშევიკური დეკრეტები, უდისპოზიციო და უსანქციო „ნორმები“ იყო არა სისხლის სამართლის კანონები ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არა პიროვნების თავისუფლების ქარტია, არამედ უსამართლობისა და ძალადობის დაკანონება და თუ ჩვენ მათ სისხლის სამართლის ნორმებს ვუწოდებთ, ამით თვითონ კანონის მნიშვნელობას გავაუფასურებთ. „თუ ჩვენ მხოლოდ ვილაპარაკებთ რევოლუციურ კანონიერებაზე, კანონები კი არ გვექნება, ეს ლაპარაკი ეფექტური სიტყვა იქნება და მეტი არაფერი“, შენიშნავდა იუსტიციის სახალხო კომისარი კურსკი მახვილგონივრულად[8].

რუსეთის რევოლუციის შემდგომ პირველ წლებში სისხლის სამართლის კოდექსის არარსებობას ზოგიერთი მეცნიერი ობიექტური მიზეზებით: ა) სტაბილური საზოგადოებრივი ურთიერთობების არარსებობითა და ბ) სამოქალაქო ომითა და სამხედრო კომუნიზმის არსებობით ხსნიდა. არავითარი ყურადღება არ ექცეოდა იმას, რომ ამ დროისათვის ბოლშევიკი იურისტები ყოველგვარი სისხლის სამართლის კოდექსის წინააღმდეგნი იყვნენ და სამართლებრივი ნიჰილიზმი საყოველთაოდ იყო გაბატონებული. „განსაკუთრებული წესების, კოდექსების გარეშე შეიარაღებული ხალხი უსწორდებოდა და უსწორდება თავის მჩაგვრელებს“, ნათქვამი იყო 1919 წლის რსფსრ სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისებში[9].

სისხლის სამართლის კოდექსის არარსებობას ა. პიონტკოვსკი კლასობრივი ბრძოლის საჭიროებით ხსნიდა. 1923 წელს იგი ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასის ხელისუფლებას თავისი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავება რევოლუციის შემდგომ პირველ პერიოდში არ შეუძლია, რადგან არაა ცნობილი, როგორ განვითარდება კლასობრივი ბრძოლა[10].

ოქტომბრის რევოლუცის შემდგომ პერიოდში რუსეთში სამართლებრივ ნიჰილიზმს ბოლშევიკ იურისტთა შორის ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა მესამე ყრილობაზე 1920 წელს ბოლშევიკ იურისტთა ერთი ნაწილი კვლავ გამოდიოდა სისხლის სამართლის კოდიფიკაციის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ „რევოლუცია ჯერ არ იყო დამთავრებული“[11].

---

[7] Ш в е к о в  Г. В. указ. раб. с. 120.

[8] ლ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საბჭოთა საქართველოს კანონმდებლობის ისტორია, (1921-1922 წწ.)., თბილისი, გვ. 37.

[9] К у р с к и й  О. И. Избранные статии и речи, 1948, с. 74.

[10] Уголовное право, история юридической науки, М., 1978, с. 14.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკთა დამოკიდებულება სისხლისსამართლებრივი კანონების მიმართ ყველაზე კარგად აისახა რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარეთა სრულიად რუსეთის II ყრილობის რეზოლუციაში „ტრიბუნალების მიერ დადგენილი სასჯელების ლიბერალიზმის საკითხის შესახებ“, სადაც მითითებული იყო, რომ განსაკუთრებული სისხლის სამართლის კოდექსის და სასჯელთა სკალის შემუშავება განსაზღვრული დანაშაულობებისათვის იმ საქმეებისათვის, რომლებსაც ტრიბუნალები განიხილავდნენ, პრინციპულად არ არის სასურველი“[12].

ამავე პერიოდში, საბჭოთა იუსტიციის მოღვაწეთა სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე სისხლის სამართლის კოდექსის საჭიროებაზე ცხარე კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ყრილობა აღიარებს სისხლის სამართლის ნორმათა კლასიფიკაციის საჭიროებას, სანქციის შესახებ საკითხის წინასწარი გადაწყვეტის გარეშე[13]. ამ ყრილობაზე გამართული კამათი კონკრეტული სანქციების საჭიროების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული სანქციების საჭიროების უარყოფა მრავალი ბოლშევიკის მიერ, კრილენკოს მტკიცებანი, რომ სანქციათა სისტემის შემუშავება, განსაზღვრული სანქციების გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსში ჯერჯერობით ადრეა, კურსკის მოთხოვნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ სანქციების მინიმუმს უნდა შეიცავდეს, კიდევ ერთხელ ცხადყოფდა ბოლშევიკ იურისტთა სამართლებრივ ნიჰილიზმს[14].

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ წლებში კოდიფიკაციას არანაკლები მიმდევარი ჰყავდა. მათი აზრით, სისხლის სამართლის კოდექსი უნდა ყოფილიყო არა კოდექსი ჩვეულებრივი „ბურჟუაზიული“ გაგებით, არამედ „სანიმუშო ინსტრუქცია“, „ცენტრის დირექტივა“, „სოციალისტური დასჯითი“ პოლიტიკის ძირითადი საფუძვლების გადმოცემა (მ. კოზლოვსკი, ი. ბერმანი). კოდიფიკაციის მხურვალე მხარდამჭერად გამოდიოდა ბოლო წლებში იუსტიციის სახალხო კომისარი დ. კურსკი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის შექმნას მოითხოვდა „დანაშაულის ზუსტი განმარტების გარეშე“. ნ. კრილენკო, ცნობილი ბოლშევიკი-თეორეტიკოსი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები სანქციებს არ უნდა შეიცავდნენ, უნდა დადგინდეს სასჯელთა ნუსხა და სასამართლოებს უფლება მიეცეთ სასჯელის თავისუფალი ამორჩევისათვის[15].

კოდიფიკაციას მხარს უჭერდა ლენინიც, მაგრამ ბოლშევიკურმა სამართლებრივმა ნიჰილიზმა ყველაზე უკეთ სწორედ ლენინის მიერ იუსტიციის სახალხო კომისარ კურსკისადმი მიწერილ წერილში იჩინა თავი. 1922 წლის 17 მაისს იგი კურსკის წერდა: „სასამართლომ ტერორი კი არ უნდა უარყოს,... არამედ უნდა დაასაბუთოს და დააკანონოს იგი პრინციპულად, ნათლად, გაუყალბებლად და შეულამაზებლად. საჭიროა *რაც შეიძლება ფართო ფორმულირება* (ხაზგასმა ჩვენია, ქ. მ.) რადგან მხოლოდ რევოლუციური მართლშეგნება და რევოლუციური სინდისი განსაზღვრავენ საქმით მისი მეტნაკლებად ფართოდ გამოყენების პირობებს[16].

---

[12] Уголовное право, история... там же. с. 198.

[13] Ш в е к о в Г. В., указ. раб. с. 128.

[14] Там же,

[15] Уголовное право история... указ. раб. с. 16.

[16] ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 421—422.
ამავე წერილში ლენინი განსაზღვრავდა ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის დანაშაულის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინის ამ წერილიდან ცხადი ხდება, რომ ის ბოლშევიკები, რომლებიც კოდიფიკაციის მომხრეები იყვნენ, სისხლის სამართალში ტერორის დასაბუთების და მისი დაკანონების საშუალებას ხედავდნენ და დანაშაულის შემადგენლობის რაც შეიძლება ფართოდ ფორმულირებით და კონკრეტული სანქციების უარყოფით, ანდა აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციებით (სასჯელის უმაღლესი ზომა) „რევოლუციურ მართლშეგნებას და რევოლუციურ სინდისს“ ფართო ასპარეზს უთმობდნენ ძალადობის განხორციელებისათვის.

სამართლებრივი ნიჰილიზმი, რომელიც როგორც კოდიფიკაციის მომხრეთა, ისე მოწინააღმდეგეთა შორის იყო გაბატონებული და საბჭოთა რუსეთის დეკრეტები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მრავალი საბჭოთა სამართალმცოდნის მიერ ასე ცხარედ გაკრიტიკებული თეზისი „სამართლებრივი ვაკუუმის“ შესახებ, მეცნიერულად სწორი და მახვილგონივრულია.

როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში? რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მეორე დღესვე, 1921 წლის 26 თებერვალს საქართველოს რევკომმა შექმნა „საგანგებო საგამოძიებო კომისია“ და 1921 წლის 3 აპრილს რევოლუციური ტრიბუნალები „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა წინააღმდეგ საბრძოლველად“. მართალია საგანგებო საგამოძიებო კომისია განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან (კონტრრევოლუცია, სპეკულაცია, საბოტაჟი, თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებები, ბანდიტიზმი) საბრძოლველად შეიქმნა, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დანაშაულებრივი ქმედობანი კანონით მაშინვე არ ყოფილა განსაზღვრული, 1921 წლის 3 აპრილის რევოლუციური ტრიბუნალების შესახებ დებულების მიღებამდე. რევოლუციური მთავრობის მიერ გამოცემულ 1921 წლის 26 თებერვლის № 1 ბრძანებაში მითითებული იყო, რომ საბოტაჟის მომწყობნი, წინააღმდეგობის გამწევნი და წესიერების დამრღვევნი რევოლუციური კანონების სიმკაცრით დაისჯებოდნენ, თუმცა აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედობანი ხელისუფლებამ მაშინვე არ განსაზღვრა.

მითითება ძველი, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა (საქართველოს რესპუბლიკის დეკრეტები, რუსეთის 1903 წლის სჯულდება) არგამოყენების თაობაზე 1921 წლის 30 ივლისამდე არ არსებობდა, თუმცა დამსჯელი ორგანოები ძველი კანონებით არ ხელმძღვანელობდნენ. 1921 წლის 30 ივლისის დებულებით სახალხო სასამართლოების შესახებ სასამართლოებს საქმეების გადაწყვეტისას საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბოლშევიკური დეკრეტებით უნდა ეხელმძღვანელათ, ხოლო ასეთის არარსებობის ან უსრულობის შემთხვევაში — სოციალისტური მართლშეგნებით (მუხლი 22). აიკრძალა განაჩენებსა და გადაწყვეტილებებში ჩამოგდებული მთავრობის კანონებზე მითითება (22 მუხლის შენიშვნა).

დისკუსია ძველი სისხლისსამართლებრივი კანონების გამოყენება-არგამოყენების ანდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის საჭიროების შესახებ სა-

---

შემადგენლობას („პროპაგანდა და აგიტაცია, რაც ობიექტურად ხელს უწყობს საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილს...) და წინადადებას იძლეოდა დამნაშავენი სიკვდილით დაესაჯათ (!), შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში კი თავისუფლების აღკვეთით ან საზღვარგარეთ გასახლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში არ გამართულა. ბოლშევიკ იურისტთა მიერ ეს საკითხები რუსეთის ფედერაციაში წყდებოდა.

საქართველოს სსრ-ს 1922 წლის კოდექსის მიღებამდე გამოცემული დეკრეტები, რომლებიც სისხლისსამართლებრივ ხასიათს ატარებდნენ, ისევე როგორც რსფსრ-ს პირველი წლების სისხლისსამართლებრივი ხასიათის დეკრეტები, არ იყო სამართლებრივი ნორმები საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობით. მათ, ისევე როგორც რუსულ დეკრეტებს, ახასიათებდათ დანაშაულის შემადგენლობის რაც შეიძლება ფართოდ განსაზღვრა, სადაც ძირითადად ქმედობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეფასებაზე იყო აქცენტი გადატანილი. განსაზღვრული სანქციები („უმაღლესი ხარისხის სასჯელი", „სასტიკ პასუხისგებაში მიცემა", „უდიდესი სასჯელი", რაც სიკვდილით დასჯას ნიშნავდა) არც პირველ ბოლშევიკურ დეკრეტებში და არც „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებებში", რომელიც 1921 წლის 5 ოქტომბერს მიიღო იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, ბრალის პრინციპი აღიარებული არ ყოფილა. პასუხისმგებლობის საფუძვლად პიროვნების საშიში მდგომარეობა იქნა აღიარებული. ამგვარად შეიქმნა და დაკანონდა რევოლუციური მთავრობის მიერ საყოველთაო განუკითხაობის ატმოსფერო და გაბატონდა რუსული ხიშტით ექსპორტირებული აპოკალიპტიციზმის სული—„სისხლის სამართლის ვაკუუმი" საქართველოშიც.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛЕ ВАН КАМ

# НЕКОТОРЫЕ ОСНОВНЫЕ ВОПРОСЫ ПРЕСТУПЛЕНИЯ ПО ВЬЕТНАМСКОМУ ПОСЛЕРЕВОЛЮЦИОННОМУ УГОЛОВНОМУ ПРАВУ В ПЕРИОД ДО ПРИНЯТИЯ ПЕРВОГО УГОЛОВНОГО КОДЕКСА (1945—1985 ГГ.)

Как известно, в результате победоносной Августовской революции 1945 г. и образования Демократической Республики Вьетнам (ДРВ) старые законы феодально-колониального государства были заменены новыми. «Уголовное право ДРВ явилось могучим орудием борьбы народно-демократического государства со всеми общественно опасными деяниями, направленными против нового строя или нарушающими установленный правопорядок»[1]. За весь 40-летний период (1945—1985 гг.) в силу различных обстоятельств вьетнамское послереволюционное уголовное законодательство не кодифицировалось. Настоящая статья посвящается только важнейшим особенностям некоторых, на наш взгляд, основных вопросов преступления по действовавшему в рассматриваемый период вьетнамскому уголовному праву.

## I

1. **Понятие преступления** не получило законодательного закрепления в какой-либо норме Общей части вьетнамского уголовного права до принятия УК 1985 г. Еще в 60-х годах об этом справедливо писал советский ученый-юрист И. А. Сперанский: «Уголовное право Демократической Республики Вьетнам еще не содержит специальной нормы, определяющей общее понятие преступления»[2]. Но различные нормативные акты, изданные в рассматриваемый период, создали уже **законодательную основу для формирования материального понятия преступления**. Именно в этих актах прежде всего раскрывалось общее свойство всех конкретных преступлений — их опасность для существовавших общественных отношений, ясно показывая, почему устанавливались запреты совершать уголовно наказуемые деяния.

Так, в первых же Декретах ДРВ, изданных на этапе после Августовской революции до полного запрещения применения старых законов (1945—1955 гг.), ясно и четко указывалось на материальное содержание преступных деяний. Например, в Декретах: № 45 от 9 октября 1945 г. «О запрещении экспорта риса, кукурузы,

---

[1] См.: Курс советского уголовного права, Общая часть, т. I, Уголовный закон, М., 1970, с. 268.

[2] Сперанский И. А. Некоторые вопросы уголовного права Демократической Республики Вьетнам. Ханой, 1964, с. 52 (на вьетнамском языке).

ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

бобов и зерновых продуктов»[3], №26 от 25 февраля 1946 г. «Об уголовной ответственности за разрушение общественного имущества»[4], №61 от 5 июля 1947 г. «О запрещении экспорта капитала»[5], №168 от 14 апреля 1948 г. «Об уголовной ответственности за азартные игры»[6], №68 от 18 июня 1949 г. «Об установлении охранительных правил ирригационных сооружений»[7], №106 от 15 июня 1950 г. «О всеобщей воинской обязанности»[8] и т. д., материальное понимание преступления выражалось в том, что такие деяния, как накопление продовольственных продуктов с целью спекуляции, разрушение общественного имущества, незаконный экспорт капитала, уклонение от воинской службы и т. д. приносили вред успешному ведению войны Сопротивления французским колонизаторам[9], укреплению народно-демократической власти и охране основ нового строя, тем самым в них раскрылась сущность общественной опасности всех деяний, признанных преступлениями. В этом плане следует упомянуть также два важных Декрета данного этапа (1945—1955 гг.): №133 от 20 января 1953 г. «Об уголовной ответственности за преступления против внутренней и внешней безопасности государства»[10] и №151 от 12 апреля 1953 г. «О санкциях против помещиков, нарушающих законы»[11]. Ст. 1 последнего Декрета гласит: «Декрет имеет целью охрану жизни и имущества населения, предупреждение актов саботажа, поддержание революционного порядка и укрепление народного единения в войне Сопротивления».

И на последующем этапе, т. е. после полного запрещения применения старых законов до принятия первого УК Вьетнама (1955—1985 гг.), материальное понимание и классовое содержание преступления яснее и конкретнее проявилось во многих нормативных актах страны. Так, ст. 7 Основного закона — Конституции ДРВ 1959 г. предусматривала: «Государством строго запрещается и карается всякое деяние, направленное против нации, против народно-демократического строя и против дела воссоединения Родины». В особенности следует отметить Указ от 10 октября 1967 г. «Об уголовной ответственности за контрреволюционные преступления»[12], который впервые дал **законодательное определение общего понятия контрреволюционного преступления** в его социальной норме (ст. 1): «Контрреволюционным преступлением признается деяние, направленное против Родины и народно-демократической власти...»

---

[3] Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1945, № 6, с. 48 (на вьетнамском языке).

[4] Там же, 1946; № 10, с. 140.

[5] Там же, 1947, № 9, с. 3.

[6] Там же, 1948, № 4, с. 5.

[7] Там же, 1949, № 6, с. 6.

[8] Там же, 1950, № 8, с. 170.

[9] Вьетнамский народ вел первую священную войну Сопротивления в течение 9 лет (1945—1954 гг.).

[10] Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1953, № 3, с. 16.

[11] Там же, № 4, с. 51, а также: Демократическая Республика Вьетнам. Конституции, законодательные акты, документы. М., 1955, с. 320; Уголовное законодательство зарубежных социалистических государств. М., 1957, с. 37.

[12] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I (1945—1974). Ханой, 1975, с. 193 (на вьетнамском языке).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Таким образом, важнейшим свойством всех преступных деяний являлась их **общественная опасность**. Именно вследствие их вредоносного характера, заключающегося в опасности деяний для интересов трудящихся и народно-демократического государства, вьетнамский законодатель рассматривал их преступными. Эта точка зрения законодателя была общепризнанной и в уголовно-правовой литературе страны рассматриваемого периода. Например, вьетнамский юрист Чан Кьем Ли писал: «Преступлением является общественно опасное деяние, посягающее на народно-демократический строй, нарушающее установленный правопорядок и подлежащее наказанию по уголовному закону»[13].

2. **Аналогия** была одним из основных институтов вьетнамского уголовного права рассматриваемого периода. В отличие от советского законодательства, до 1958 г., содержащего общую норму об аналогии (ст. 3 Основных начал 1924 г.), **применение аналогии** в некодифицированном законодательстве Вьетнама **устанавливалось специальными нормами некоторых уголовно-правовых актов**, посвященных борьбе с отдельными видами преступлений. Это означает, что специальные нормы допускали **применение закона по аналогии** в отношении общественно опасных деяний, прямо не предусмотренных упомянутыми актами. Например, такими нормами являлись: ст. 18 Декрета № 133 от 22 января 1953 г. «Об уголовной ответственности за преступления против внутренней и внешней безопасности государства», ст. 13 Декрета № 267 от 15 июня 1956 г. «Об уголовной ответственности за умыслы и деяния, посягающие на имущество государства, кооперативов или населения, либо препятствующие выполнению политики или плана культурного и хозяйственного строительства», ст. 20 Указа от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против личной собственности граждан» и др.

Кроме того, судебной практике Вьетнама этого периода была известна и **аналогия права**, т. е. «в случае, если суд не может применять никакого действующего уголовного закона по аналогии к совершенному какому-либо общественно опасному деянию, суд разберет уголовное дело по общим началам социалистического права, политике Партии и Правительства»[14]. Даже в Указании Верховного Суда № 772 от 10 июля 1959 г. «О прекращении применения старых законов колонизаторов и феодалов»[15] отмечалось: «Для разбирательства уголовных и гражданских дел надо применять законодательные акты ДРВ (законы, декреты, постановления, циркуляры...), политику Партии и Правительства, судебный прецедент местных судов и Верховного Суда».

Изучая аналогию в уголовном праве, следует отметить, что было много авторов, как вьетнамских, так и зарубежных, оправдывавших ее существование в законодательстве Вьетнама рассматриваемого периода. Так, И. А. Сперанский полагал, что «обстановка переходного периода требует своевременного подавления

---

[13] Чан Кьем Ли. Некоторые соображения о применении принципа сочетания кары с перевоспитанием в уголовном праве ДРВ. — В ж. «Юстиция», 1961, № 1, с. 44 (на вьетнамском языке).

[14] Сперанский И. А. Указ. работа, с. 56.

[15] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I (1945—1974). Ханой, 1975, с. 6 (на вьет. яз.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

контрреволюционеров и особенно классово враждебных элементов»[16]. А польский ученый-юрист, профессор И. Андреев писал: «В некодифицированном законодательстве аналогия является средством, содействующим упорядочению деятельности органов правосудия»[17]. Кстати, в СССР некоторые авторы, такие как Н. В. Крыленко[18], А. Я. Вышинский[19], М. Д. Шаргородский[20] и др.[21] также обосновывали необходимость аналогии в советском уголовном законодательстве до его кодификации 1958 г.

Однако с точки зрения **законности** и исходя из общепризнанного принципа международного права об **уголовно-правовой защите прав человека**, мы полагаем, что все соображения, оправдывающие «необходимость» аналогии, являются неубедительными и необоснованными. Ведь еще в 1948 г., закрепляя «важнейший демократический принцип nullum crimen sine lege — как ядро принципа законности в сфере уголовного права»[22], Всеобщая декларация прав человека ООН (п. 2 ст. 11) провозглашает: «Никто не может быть осужден за преступление на основании совершения какого-либо деяния или за бездействие, которые во время их совершения не составляли преступления по **национальным законам** или по **международному праву**»[23] (наш курсив — Л. В. К.).

Таким образом, согласно вышеупомянутой Декларации прав человека, «к выполнению которой должны стремиться все народы и все государства»[24], при признании какого-либо деяния преступлением необходимо руководствоваться **только уголовным законом**, действующим во время его совершения, **а не «политикой»** какой-либо правящей партии и правительства. Кстати, напомним, что именно руководствуясь «политикой» (а на самом деле — классовыми интересами) тогдашней партии нацистов, Закон гитлеровской Германии от 18 июня 1935 г. отменил ст. 2 УК 1871 г., устанавливающую принцип nullum crimen sine lege, и тем самым «дал фашистским судам возможность объявить любое действие любого лица преступлением»[25]. Жесточайшие последствия применения такого типа «закона» по аналогии достаточно хорошо известны всему человечеству в мире. Итак, будучи «юридическим» основанием **тоталитарных режимов** во внезаконной репрессии, аналогия означает: а) создание беззакония,

---

[16] Сперанский И. А. Указ. работа, с. 56.

[17] Андреев И. Очерк по уголовному праву социалистических государств. М., 1978, с. 62.

[18] См.: Курс советского уголовного права, Общая часть, т. I, Уголовный закон. М., 1970, с. 83.

[19] Цит. по указ. работе Андреева И., с. 61.

[20] См.: Шаргородский М. Д. Курс уголовного права, т. 3, Л., 1948, с. 203.

[21] Тадевосян В. также выступал за сохранение аналогии (см.: ж. «Советское государство и право», 1954, № 4, с. 76).

[22] Келина С. Г., Кудрявцев В. Н. Принципы советского уголовного права. М., 1988, с. 71.

[23] См.: Международная защита прав и свобод человека. Сборник документов. М., 1990, с. 16.

[24] Из Преамбулы Всеобщей декларации прав человека ООН от 10 декабря 1948 г. (см.: Там же, с. 14).

[25] См.: Уголовное право (Общая часть). М., 1948, с. 55, а также: Утевский Б. С. История уголовного права буржуазных государств. М., 1950, с. 376—377.

ეროვნული ბიბლიოთეკა

произвола и злоупотреблений судебными органами при рассмотрении уголовных дел; б) источник «выдумки» новых составов преступлений, наказание за которые в основном устанавливается ради классовых интересов правящей группы, а не большинства народа и в) грубое нарушение законности, прав, свобод и законных интересов граждан.

Все вышеизложенное убедительно свидетельствует о том, что «**защита прав человека** являлась и является **центральной проблемой, имеющей эпохальное значение** на нашей планете, потому что защита прав человека — не только исторически «вечный» вопрос из поколения в поколение, но и актуальная международная задача; не только основная цель в борьбе народов за мир, свободу, демократию и справедливость, но и постоянная забота всего прогрессивного человечества на земле»[26].

Следовательно, с точки зрения правового демократического государства, где **верховенствует закон и только закон,** применения закона по аналогии не может и не должно быть. Как совершенно справедливо писал профессор Г. Т. Ткешелиадзе, критикуя применение закона, выходящее за его пределы: «Расширить применение закона, т. е. **выйти за пределы его текста, ни суд, ни другие органы не могут,** так как это означало бы нарушение закона»[27] (курсив наш — Л. В. К.).

3. **Вина** как важный правовой институт не была закреплена никакой специальной нормой Общей части вьетнамского уголовного права до первой его кодификации. И хотя в законодательстве страны еще не давалось определения ни понятию вины, ни ее формам, однако некоторые действовавшие уголовно-правовые акты рассматриваемого периода классифицировали **умышленные** и **неосторожные** преступления. Так, Декрет №69 от 10 декабря 1951 г. посвящался умышленному (ст. 4) и неосторожному (ст. 5) разглашению государственной тайны[28].

Особенно следует отметить, что **судебная практика** Вьетнама еще до принятия УК 1985 г. **знала определение отдельных форм вины** — умышленной и неосторожной, содержавшееся в руководящих разъяснениях Верховного Суда страны **применительно к отдельным видам преступлений.**

Например, в посвященном умышленной форме вины Постановлении Верховного Суда №452 от 10 августа 1970 г. «О судебной практике по делам об убийстве»[29] отмечается: «Уже многие годы наша судебная практика по делам об убийстве признавала **два вида умысла — прямой и косвенный. Прямой умысел** имеет место в случаях, когда виновный предвидел, что последствием своего деяния будет смерть потерпевшего и, желая ее наступления, совершил

---

[26] Ле Ван Кам. Совершенствование норм об уголовной ответственности — основное и важнейшее условие уголовно-правовой защиты прав человека. — В ж. «Народный суд», 1990, № 2, с. 10 (на вьет. яз.).

[27] Ткешелиадзе Г. Т. Судебная практика и уголовный закон. Тбилиси, 1975, с. 162.

[28] См.: Сборник юридических норм по отраслям права (1945—1957). Ханой, 1958, с. 133 (на вьет. яз.); Циркуляр Министерства юстиции № 442 от 19 января 1955 г. «Об уголовной ответственности за некоторые преступления против личности» также различал умышленное (ст. 3) и неосторожное (ст. 4) убийство (см.: Там же, с. 135).

[29] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, (1945—1974). Ханой, 1975, с. 326—356 (на вьет. яз.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

деяние. **Косвенный умысел** имеет место в случаях, когда виновный предвидел возможность смерти потерпевшего, не желая ее и вместе с тем не рассчитывал на какое-либо обстоятельство, которое могло предотвратить ее наступление. Субъективное отношение виновного при этом является безразличным к смерти потерпевшего». Недостатком этого определения умысла, на наш взгляд, является **отсутствие указания на психическое отношение субъекта к общественной опасности совершенного деяния** как к важнейшему материальному признаку преступления. Однако указывая на необходимые моменты умысла — интеллектуальный и волевой, а также выделяя два его вида — прямой и косвенный, упомянутое определение правильно раскрывало **психологическую сущность умышленной вины** и поэтому имело важное практическое значение для уяснения субъективной стороны не только умышленных убийств, но и других умышленных преступлений.

Кроме двух указанных основных видов умысла, судебная практика Вьетнама рассматриваемого периода еще различала виды умысла и **по условиям их формирования — заранее обдуманный умысел как особо отягчающее и внезапно возникший умысел как особо смягчающее** уголовную ответственность обстоятельство. Так, согласно вышеупомянутому Постановлению Верховного Суда страны, умысел признается **заранее обдуманным,** когда у виновного были: а) решительное намерение убийства; б) приготовление или план к нему и в) тщательное обдумывание этих планов до совершения этого преступления. Вместе с тем, судебная практика Вьетнама рассматриваемого периода также не признавала заранее обдуманным умысел, когда есть лишь факт его возникновения задолго до совершения преступления без тщательного обдумывания всех существенных моментов предпринимаемого виновным преступного деяния. Что касается внезапного аффектированного умысла, то вышеупомянутое Постановление не давало его определения, а только указывало, что одним из особо смягчающих уголовную ответственность обстоятельств признается убийство, совершенное в состоянии внезапного и сильного душевного волнения (аффекта), вызванного тяжкими неправомерными действиями или жестоким обращением, истязанием со стороны пострадавшего. Из этой позиции судебной практики видно, что **обязательные признаки аффектированного умысла** как обстоятельства, влияющего на квалификацию содеянного, были следующие: а) душевное волнение виновного должно было быть сильным; б) внезапным и в) его основанием могли быть лишь тяжкие неправомерные действия, насилие или тяжкое оскорбление, совершенные потерпевшим в отношении виновного или его близких.

Судебная практика Вьетнама до принятия первого УК в основном выделяла **два вида неосторожной вины — преступную самонадеянность и преступную небрежность.** Так, в Постановлении Верховного Суда № 10 от 8 января 1968 г. «О судебной практике по делам о неосторожных преступлениях, нарушающих правила безопасности труда, повлекших тяжкие последствия»[30] отмечалось, что **преступная самонадеянность** имеет место в тех случаях, когда виновный предвидел возможность наступления общественно опасных последствий, но самонадеянно, безответственно и легкомысленно рассчитывал на обстоятельства, которые могут предотвратить их, и поэтому наступили вредные последствия. А **преступная небрежность** имеет место в тех

---

[30] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I (1945—1974). Ханой, 1975, с. 381 (на вьет. яз.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

случаях, когда виновный не предвидел возможности наступления общественно опасных последствий, а должен был и мог предвидеть такую возможность и поэтому из-за его невнимательности наступили вредные последствия. Аналогичное содержание понятия вышеуказанных двух видов неосторожной вины также нашло выражение в совместном Циркуляре Верховного Суда, Верховной Прокуратуры и МВД от 16 марта 1973 г. «О единообразном понимании двух Указов[31], предусматривающих уголовную ответственность за преступления против собственности»[32].

Таким образом, вышеизложенное в какой-то мере показывает, что несмотря на определенные недостатки в решении судебной практикой Вьетнама проблемы вины, сам принцип виновной ответственности был четко выражен в уголовном праве страны рассматриваемого периода. Именно на основе этого принципа соответственно осуществляется ряд важных принципов уголовного права, таких как личная ответственность, индивидуализация ответственности и наказания, а также решается проблема обратной силы уголовного закона[33].

4. **Институт ответственности за предварительную преступную деятельность** еще не был регламентирован в законодательстве Вьетнама рассматриваемого периода, а лишь был решен судебной практикой страны в определенной мере. Изучая этот уголовно-правовой институт следует отметить, что некоторые действовавшие тогда законодательные акты Вьетнама предусматривали уголовную ответственность не только за преступные деяния, но и за **преступные умыслы**. Так, Указ от 30 октября 1967 г. «Об уголовной ответственности за контрреволюционные преступления» (ст. 2) предусматривал. «Преступный умысел и преступное деяние наказываются»[34]. В руководящем разъяснении Верховного Суда страны по этому Указу отмечается: «Контрреволюционные преступления являются особо тяжкими, поэтому их необходимо подавлять с того момента, когда преступник начал обнаруживать свое контрреволюционное намерение вовне объективного мира, а именно — находил другого человека для **беседы** о своих **мыслях** против существующего режима... С данного момента преступник имел умысел совершить контрреволюционное преступление, за который наказывается по ст. 2 Указа»[35] (курсив наш — Л. В. К.).

Анализ **юридической природы** обнаружения умысла как первая стадия совершения умышленного преступления показывает, что **наказание за преступный умысел** является невозможным с точки

---

[31] То есть два Указа от 21 октября 1970 года — первый «Об уголовной ответственности за преступления против социалистической собственности», а второй «Об уголовной ответственности за преступления против личной собственности граждан».

[32] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, (1945—1974). Ханой, 1975, с. 12 (на вьет. яз.).

[33] См.: Келина С. Г., Кудрявцев В. Н. Указ. работа, с. 117.

[34] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I (1956—1974). Ханой, 1975, с. 193 (на вьет. яз.); Декрет № 267 от 15 июня 1956 г. «Об уголовной ответственности за умыслы и деяния, посягающие на имущество государства, кооперативов и населения, препятствующие выполнению политики и плана культурного и хозяйственного строительства» также гласил: «Декрет имеет целью наказание **умыслов** и деяний...» (см.: Сборник юридических норм по отраслям..., с. 115).

[35] Там же, с. 25—26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

зрения гуманизма и законности. Ведь такое наказание, во-первых, совсем не соответствует марксистскому учению о правовой ответственности. Еще в XIX веке, категорически выступая против преследования за мысли или убеждения человека и резко критикуя необоснованное привлечение к правовой ответственности, К. Маркс справедливо указывал: «Законы, которые делают главным критерием не действия как таковые, а образ мыслей действующего лица, — это не что иное, как позитивные санкции беззакония»[36], т. к. «...никто не может быть заключен в тюрьму, либо же лишен своей собственности или другого юридического права на основании своего морального характера, на основании своих политических и религиозных убеждений... Мы требуем неприкосновенного правового положения для всякого неугодного существа не потому, что оно неугодно, а постольку, поскольку его прочность остается в пределах его образа мыслей, для которого не существует ни трибунала, ни кодекса. Мы таким образом противопоставляем дурной образ мыслей, для которого не существует трибунала дурным деяниям, для которых в случае, если они противозаконны, существует трибунал и уложение о наказаниях»[37]. Вместе с тем, убедительно утверждая идею о том, что правовая ответственность может наступать лишь за конкретное деяние, юрист К. Маркс писал: «Помимо своих действий, я совершенно не существую для закона, совершенно не являюсь его объектом. Мои действия — это единственная область, где я сталкиваюсь с законом, ибо действие — это единственное, для чего я требую права существования, права действенности, и в силу чего я, таким образом, попадаю под власть действующего права»[38].

Во-вторых, наказание за преступный умысел явно противостоит общепризнанному принципу международного права об уголовно-правовой защите прав человека — принципу nullum crimen sine lege, речь о котором шла выше в посвященном аналогии пункте 2.

Что касается второй стадии совершения умышленного преступления — приготовления к нему, то как действовавшее уголовное законодательство, так и судебная практика Вьетнама рассматриваемого периода еще не знали его общего определения. В Постановлении Верховного Суда страны №452 от 10 августа 1970 г. «О судебной практике по делам об убийстве» лишь разъяснено, что заранее обдуманный умысел имеет место тогда, когда приготовление или план к убийству тщательно обдумывались виновным до его совершения[39].

Как приготовление, покушение на преступление также не было предусмотрено каким-либо положением в некодифицированном законодательстве Вьетнама. Эта третья стадия совершения умышленного преступления была известна только судебной практике применительно к отдельным видам преступлений. Так, в вышеупомянутом Постановлении Верховного Суда страны указывается: «Покушением на убийство признается действие с целью убийства, не повлекшее за собой смерть потерпевшего; при этом покушение на убийство признается оконченным, когда виновный совершил все действия,

---

[36] Маркс К. и Энгельс Ф. Соч, т. I, с. 14.

[37] Там же, с. 182—183.

[38] Там же, с. 15.

[39] См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, (1945—1974). Ханой, 1975, с. 340 (на вьет. яз.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

которые он счел необходимыми для наступления желаемого результата и полагал, что потерпевший умер»[40]. Этим Верховный Суд разграничил покушение от совершенного убийства. Первое судебная практика Вьетнама рассматриваемого периода признала особо тяжким преступлением, поэтому в основном наказывалось как последнее[41]. Кстати, вопрос об основании **наказуемости покушения** глубоко освещен крупнейшим в Республике Грузия ученым-криминалистом, профессором. Т. В. Церетели, которая правильно указывает, что такая деятельность в своем закономерном развитии при отсутствии условий, препятствующих наступлению преступного результата, должна привести к причинению вреда, т. к. при покушении создается **реальная возможность** наступления преступного результата[42].

**Добровольный отказ** от совершения преступления был известен вьетнамскому уголовному праву до кодификации, хотя как важный институт еще не регламентировался общей нормой в законодательстве. Указ от 30 октября 1967 г. «Об уголовной ответственности за контрреволюционные преступления» (п. I ст. 20) предусматривал добровольный отказ от совершения преступления как одно из **отменяющих или смягчающих наказание** обстоятельств[43]. А судебная практика страны тогдашнего периода признала его **устраняющим уголовную ответственность** обстоятельством. Так, вышеупомянутое Постановление Верховного Суда разъясняло, что в случае, когда виновный имел намерение совершить убийство, но после причинения потерпевшему телесных повреждений из-за страха перед наказанием добровольно отказался от продолжения начатой преступной деятельности, хотя сознавал реальную возможность доведения преступления до конца, такое преступное деяние должно квалифицироваться умышленным телесным повреждением, а не покушением на убийство[44]. В Постановлении Верховного Суда от 16 января 1976 г. «О практике применения судами отягчающих и смягчающих обстоятельств при разбирательстве уголовных дел» определяется добровольный отказ от совершения преступления как добровольное предотвращение виновным вредных последствий начатого, но еще не оконченного преступления[45]. Здесь, на наш взгляд, следует понимать, что добровольный отказ имеет место **только** при добровольном предотвращении **еще не наступившего вреда**, когда все действия для совершения преступления **завершились** и виновный сознает возможность доведения его до конца.

---

40 Там же.

41 Там же, с. 28. Здесь необходимо напомнить, что идея о равной наказуемости покушения и оконченного преступления являлась **одним из результатов преемственности в праве.** Как известно, во Вьетнаме колониального периода (с половины XIX века до победы Августовской революции 1945 г.) на национальное уголоное законодательство сильно влиял французский УК 1810 г., который «приравнивает покушение по наказуемости к оконченному преступлению» (См.: Советское уголовное право (Общая часть). М., 1948, с. 405; Решетников Ф. М. Уголовное право буржуазных стран. М., 1966, с. 11; Утевский Б. С. Указ. работа, с. 145—146).

42 См.: Церетели Т. В. Причинная связь в уголовном праве. М., 1963, с. 323—334.

43 См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I, (1945—1974). Ханой, с. 198 (на вьет. яз.).

44 Там же, с. 327.

45 Там же, т. 2 (1975—1978). Ханой, 1979, с. 111 (на вьет. яз.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Изучая институт добровольного отказа, мы хотим отметить, что одним из недостатков **действующего** уголовного законодательства Вьетнама, Союза ССР и других союзных республик является **отсутствие нормы о добровольном отказе соучастников** (организаторов, подстрекателей и пособников), **которая содержится лишь в действующем УК Республики Грузия** (ч. 2 ст. 18)[46]. Эта норма убедительно свидетельствует не только о глубоком стремлении юристов к гуманной идее правового демократического государства, но и верхе законодательного совершенства, не только о богатом опыте законодательной деятельности, но и высоком развитии юриспруденции в Грузии — стране, имеющей **древнейшую культуру Востока.**

5. **Институт соучастия** в преступлении, хотя еще не регламентировался специальными положениями Общей части уголовного законодательства рассматриваемого периода, но некоторые нормативные акты посвящались борьбе с отдельными видами преступлений, уже знали **дифференцированную ответственность различных видов соучастников.**

Но в первые же годы после победы Августовской революции 1945 г. в силу **результатов преемственности в праве** уголовное законодательство ДРВ предусматривало равную ответственность соучастников так же как французский УК 1810 г., который «не знает обязательного смягчения наказания каким-либо соучастникам преступления»[47]. Такой подход тогдашнего вьетнамского законодателя к вопросу уголовной ответственности соучастников был отражен, например, в ст. 2 Декрета № 27 от 28 февраля 1946 г. «Об уголовной ответственности за хищение, вымогательство или убийство»[48], ст. 21 Декрета № 40 от 29 марта 1946 г. «О гарантиях свобод личности»[49] и др.

Затем постепенно вьетнамское послереволюционное уголовное законодательство принципиально иначе оценивало роль и степень участия **каждого из соучастников** в преступлении. Так, Указ от 30 октября 1967 г. «Об уголовной ответственности за контрреволюционные преступления» (ст. ст. 2, 4, 5 и 6), Указ от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против социалистической собственности» (ст. ст. 3 и 22) и Указ от 21 октября 1970 г. «Об уголовной ответственности за преступления против личной собственности граждан» (ст. ст. 2 и 18) уже предусматривали повышенную ответственность организаторов по сравнению с остальными соучастниками[50].

Что касается форм соучастия, то действовавшее уголовное законодательство Вьетнама этого периода хотя не давало определения их понятия, но предусматривало **совершение преступления** органи-

---

46 См.: Подробнее об этом: Макашвили В. Г. Особенности Уголовного кодекса Грузинской ССР—В кн.: Особенности Уголовных кодексов союзных республик, Сборник статей. М., 1963, с. 234—235; Бурчак Ф. Г. Соучастие в преступлении: социальные, криминологические и правовые проблемы (Автореферат докторской диссертации). М., 1986, с. 28—29; Уголовный закон: опыт теоретического моделирования. М., 1987, с. 103—104.

47 См.: Советское уголовное право (Общая часть). М., 1948, с. 430.

48 Ведомости Демократической Республики Вьетнам, 1946, № 10, с. 141 (на вьет. яз.).

49 Там же.

50 См.: Сборник систематизированных норм уголовного права, т. I (1945—1974). Ханой, 1975, с. 32—33 (на вьет. яз.).

ბიბლიოთეკა

зованной группой как **квалифицированное обстоятельство** с более тяжким наказанием (в некоторых санкциях вышеупомянутых Указов). А судебная практика страны признала **соучастие в преступлении** (вообще) как **отягчающее обстоятельство**, и в определенной мере давала общее понятие соучастия. Так, в Отчете Верховного Суда «О деятельности судов за 1963 г.» соучастием признаются «общий умысел и совместные действия двух или многих лиц, т. е. либо организация, либо подстрекательство, либо содействие, либо непосредственное совместное участие в совершении преступления для достижения его результата»[51]. Это руководящее разъяснение Верховного Суда является результатом обобщения многолетней судебной практики страны и по существу правильно определяет основные признаки соучастия. Именно поэтому «дальнейшая разработка института соучастия и освещение **общей характеристики всех** форм соучастия, а также **отдельных признаков каждой из его форм** имеют большое теоретическое и практическое значение для: а) правильной квалификации преступлений, а также индивидуализации уголовной ответственности и наказания; б) точного применения уголовного закона в случаях соучастия и в) эффективного содействия борьбе с преступлениями против государственной безопасности, собственности и с другими корыстными преступлениями, совершенными в соучастии»[52].

## II

1. Анализ вышеупемянутых **основных вопросов о преступлении** по вьетнамскому послереволюционному уголовному праву до принятия первого УК страны (1945—1985 гг.) позволяет прийти к **следующим общим выводам:**

1) во вьетнамском уголовном праве данного периода было законодательное определение лишь понятия контрреволюционного преступления, а не общего понятия преступления;

2) во вьетнамеком уголовном праве данного периода существовал институт аналогии, не предусматривающийся действующим УК 1985 г. в связи с закреплением общепризнанного принципа nullum crimen sine lege (ст. 2);

3) вьетнамское уголовное право данного периода знало институт вины, закрепленный в действующем законодательстве (ст. 9, 10 и 11 УК 1985 г.);

4) вьетнамское уголовное право данного периода кроме трех общепризнанных наказуемых стадий совершения умышленного преступления также устанавливало ответственность и за обнаружение умысла, которая была отменена действующим УК 1985 г. в связи с закреплением института ответственности за предварительную преступную деятельность (ст. 15);

5) вьетнамское уголовное право данного периода знало добровольный отказ только исполнителей, а не других соучастников, также закрепленный действующим УК 1985 г. (ст. 16);

6) вьетнамское уголовное право данного периода признало соучастие отягчающим обстоятельством, а одну из его форм —

[51] Там же, с. 30.

[52] Ле Ван Кам. Об институте соучастия во вьетнамском уголовном праве: некоторые теоретические и практические проблемы, В ж. «Народный суд», 1988, № 2, с. 20—21 (на вьет. яз.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



совершение преступления организованной группой — квалифицированным обстоятельством;

7) вышеупомянутые институты и понятия вьетнамского уголовного права данного периода в основном не регламентировались общими нормами законодательства, а решались главным образом в судебной практике страны;

8) во вьетнамском уголовном праве данного периода были некоторые элементы французского уголовного права как результаты преемственности в праве.

2. Что касается других институтов Общей части вьетнамского уголовного права данного периода как необходимая оборона и невменяемость, то, по нашему мнению, это — обстоятельства, исключающие преступность деяния. А когда уже не носят преступности, то логически при этих обстоятельствах **исключается уголовная** ответственность. Итак, **являясь непреступными**, эти обстоятельства не относятся близко к **учению о преступлении** как другие институты (вина, стадии совершения умышленного преступления, соучастие и т. д.), а ближе относятся к **учению об уголовной ответственности** как обстоятельства, исключающие ее. Именно поэтому считаем целесообразным отдельное исследование упомянутых обстоятельств.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით დარახველიძე

# ქალთა ინფორმაციის დონე ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე

უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე ბატონობდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა და უგულებელყოფილი იყო სამართალი და კანონიერება. საქართველო, როგორც ამ იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ღრმა კრიზისმა მოიცვა. დღეს, როდესაც ინგრევა ტოტალიტარულ-იმპერიული სახელმწიფო, ჩნდება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიღწევის წანამძღვრები, ქართველი ერის წინაშე მთელი სიცხადით გამოჩნდა სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საზოგადოებრივი და სამართლებრივი ურთიერთობის ყველა სფეროს გარდაქმნის ისტორიული აუცილებლობა. ამ პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი შეგნების დონის ამაღლებას. უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადობრივი მართლშეგნება საზოგადოებრივი შეგნების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. მართლშეგნების ერთ-ერთ წინაპირობას კი სამართლებრივი ინფორმირება წარმოადგენს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პერიოდში.

სამართლებრივ ინფორმირებაზე კვლევა დიდი ხანია წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. ამ საკითხის შესწავლას მიეძღვნა მეცნიერული შრომები: თ. შავგულიძე „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა" თბ. 1981 წ; გ. ეფრემოვა, გ. ლეჟავა, ა. რატინოვი, თ. შავგულიძე „საზოგადოებრივი აზრი და დანაშაული", თბ., 1984 წ; აქვე უნდა შევნიშნოთ, არ ყოფილა შესწავლილი ქალების, როგორც დამოუკიდებელი დემოგრაფიული ჯგუფის, ინფორმირების დონე სამართლებრივ საკითხებზე.

საქართველოში ქალი ისტორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში: გავიხსენოთ წმინდა ნინო და ნანა დედოფალი, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში; თამარ მეფე, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოს ძლიერების ხანა; ქეთევან დედოფალი — რწმენისა და ერისთვის წამებული. ქალი, საქმიანობითა და სოციალური მდგომარეობით მკვეთრად განსხვავდება მამაკაცისაგან. მისი ძირითადი საქმიანობა ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდაა. უნდა შევნიშნოთ, რომ ქალები, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთა სპეციფიკითაც განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. ეს ძირითადად ანგარებითი დანაშაულებია, რომლებიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ აქ ჩამოთვლილ არგუმენტებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალი აუცილებლად უნდა იყოს კვლევის ცალკე ობიექტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული კვლევა ნაწილია შრომისა „ქალების საზოგადოებრივი აზრი დანაშაულობის პრობლემებზე“.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ქალთა სხვადასხვა ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საქმიანობით. ეს ჯგუფებია: მრეწველობა, მშენებლობის სფერო; სოფლის მეურნეობის სფერო: მეცნიერება, განათლება, ხელოვნების სფერო; ჯანმრთელობის დაცვის სფერო; მომსახურეობის სფერო (ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება); სამართალდამცავი ორგანოები, აგრეთვე რამდენიმე სოციალური ჯგუფი: სტუდენტები, დიასახლისები, მსჯავრდებულები. ამ უკანასკნელის გარდა, ყველა დანარჩენი ჯგუფი შეიძლება გავაერთიანოთ ერთ ჯგუფად, საერთო სახელწოდებით „კანონგამგონე ქალები“, ხოლო მსჯავრდებულებს პირობითად უწოდოთ „დამნაშავე ქალები“. თითოეული ეს ჯგუფი კვლევის დამოუკიდებელი ობიექტია და ერთმანეთის მიმართ საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალთა სოციალური ჯგუფების საკონტროლო ჯგუფებად გამოკვლევაში ჩავრთეთ ანალოგიური საქმიანობის მამაკაცთა ჯგუფები.

მოცემულ გამოკვლევაში, ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა გამოკითხვის მეთოდი, ანკეტირების ფორმით. ანკეტური გამოკითხვის მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ გზით შესაძლებელია შესწავლილ იქნეს საზოგადოებრივი შეგნების ფენომენი, კერძოდ, ქალთა სამართლებრივი ინფორმირების დონე.

ქალთა სამართლებრივი საკითხებისადმი ინტერესი წარმოადგენს სამართლებრივი ინფორმირების წინაპირობას, როგორც ო. გავრილოვი შენიშნავს „სამართლებრივი ფასეულობებისადმი შერჩევითი დამოკიდებულება, სამართლისადმი ინტერესი წარმოადგენს პიროვნების სამართლებრივი მოთხოვნილებების რეალიზაციის ნაწილს. გარდა ამისა, სამართლებრივი საკითხებისადმი ინტერესი განსაზღვრავს სამართლებრივი შეგნების სხვა პოზიციებსაც. მაგ. სამართლებრივი ინფორმირების დონეს“[1].

სამართლებრივი საკითხებისადმი ინტერესი ქალების სხვადასხვა ჯგუფებში არაერთგვაროვანია. დავხედოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილს (ცხრილი № 1).

ცხრილი 1

| №№ | შესაძლებელი პასუხების ვარიანტები | მრეწველობა მშენებლობა | სოფლის მეურნეობა | მეცნიერება განათლება ხელოვნება | ჯანმრთელობის დაცვა | მომსახურების სფერო | სამართალდამცავი ორგანოები | სტუდენტები | დიასახლისები | მსჯავრდებული ქალები | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიახ | 81,7 | 86,7 | 80 | 80,7 | 81,4 | 95 | 80,7 | 82,7 | 58,3 | 80,6 |
| 2 | არა | 10 | 8,5 | 13,3 | 12,7 | 10 | 3,3 | 12,7 | 12,3 | 33,3 | 15,3 |
| 3 | მიმძიმს პასუხის გაცემა | 8,3 | 5 | 6,7 | 6,6 | 8,3 | 1,7 | 6,6 | 5 | 8,4 | 4,1 |

[1] Гаврилов О. А. Математические методы и модели в социально-правовом исследовании, М., 1980, с. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კითხვაზე, გაინტერესებთ თუ არა იურიდიული თემატიკა, სასამართლო ქრონიკა, გამოკითხულ ქალთა 80,6%-მა დადებითად უპასუხა; 15,3%-მა აღნიშნა, რომ არ აინტერესებს იურიდიული თემატიკა, ხოლო 4,1%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი საკითხებისადმი ქალთა საზოგადოებრივი ინტერესი ერთობ მაღალია. ამასთანავე, უნდა განვასხვავოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სამართლებრივი საკითხებისადმი ქალთა ინტერესს. ესენია: საკუთარი სამართლებრივი არეალის გაფართოებისაკენ სწრაფვა, აქტიური სოციალური პოზიცია დანაშაულობის იმ პრობლემებისადმი, რომლებიც ემუქრებიან მათ კეთილდღეობას საზოგადოებაში. ასეა თუ ისე, სამართლებრივი საკითხებისადმი ქალთა გამოვლენილი დაინტერესების დონე უნდა ჩავთვალოთ დანაშაულობასთან ბრძოლის ერთ-ერთ საწინდრად. სწორედ, ამიტომ, ქალების იურიდიული საკითხებით კიდევ უფრო დაინტერესებისათვის აუცილებელია სამართლის პროპაგანდის სრულყოფა და ქალების სამართლებრივი აღზრდისადმი დიფერენციული მიდგომა. ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ მსჯავრდებული ქალების მხოლოდ 58,3% არის დაინტერესებული იურიდიული თემატიკით. ეს არცთუ ისე მაღალი მაჩვენებელი განაპირობებულია გამოკითხულთა ამ ჯგუფის საერთო სამართლებრივი ნეგატივიზმით. დადგენილია, რომ დამნაშავენი გაცილებით უფრო კარგად იცნობენ სამართლის ნორმებს, ვიდრე კანონგამგონენი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კანონგამგონეებზე უფრო აინტერესებთ სამართალი, თუმცა ურჩევნიათ გამოამჟღავნონ მის მიმართ ნეგატიური პოზიცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ქალების სამართლებრივი პრობლემატიკით დაინტერესებას.

მამაკაცებში, ქალებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი საკითხებისადმი ინტერესი კიდევ უფრო მაღალია. გამოკითხულ მამაკაცთა 91,3%-მა კითხვაზე დადებითად უპასუხა 6,5%-მა აღნიშნა, რომ არ აინტერესებს იურიდიული თემატიკა, ხოლო 2,2%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან.

მართლშეგნების ინტელექტუალური კომპონენტის ემპირიულ მაჩვენებელს წარმოადგენს სამართლებრივი ცოდნა. ის არის მისი დანარჩენი კომპონენტების ფორმირების წინაპირობა. ლიტერატურაში მართებულადაა აღნიშნული „ინფორმაციის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული საზოგადოებრივ მსჯელობათა განვითარება, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შესაძლებლობა“[2].

სამართლებრივი საკითხებისადმი ინტერესი იწვევს ადამიანთა სწრაფვას სამართლებრივი ცოდნის დასაუფლებლად, ეს კი პირდაპირ კავშირშია იმ კანონების ცოდნასთან, რომლებიც რესპუბლიკაში მოქმედებენ. ცნობილი დემოკრატიული პრინციპიდან — არ არსებობს დანაშაული, არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე — გამომდინარეობს შემდეგი: თუ კანონი გამოიცა, მოქალაქემ

---

[2] Право и социалогия, М., 1973, с. 207.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



უხდა იცოდეს იგი და ასრულებდეს მას. რასაკვირველია ამ პრინციპის გატარება გართულებულია თანამედროვე ადამიანის ინფორმაციული გადატვირთვით. საქმე ისაა, რომ სამართლის ინფორმაციული შინაარსი თავისი მოცულობით ძალიან დიდია. ის შედგება ათეულობით დარგებისა და ასეულობით ნორმებისაგან, რომელთაც სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ. თანამედროვე სოციალურ სისტემებში ისეთი დიდი ოდენობის სამართლებრივი ინფორმაცია გროვდება, რომ თვით იურისტებსაც კი უჭირთ სისტემატურად მასზე თვალის გადევნება. როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული „რეალურად, სამართალგამოყენებით საქმიანობასა და შეგნების მომწესრიგებელ სფეროში მოქმედებს, ფუნქციონირებს ნორმატიული მასალის მხოლოდ ნაწილი, ამასთახავე მოცულობით არც თუ ისე დიდი“[3].

მოქალაქეების მიერ შერჩევით, სამართლებრივი ინფორმაციის ათვისებისა და აგრეთვე, მოსახლეობის მიერ ზოგიერთი სახის სამართლებრივი ნორმების სუსტ ცოდნაზე მეტყველებენ ემპირიული გამოკვლევების მონაცემები[4].

ამრიგად, თავი რომ დავაღწიოთ აღნიშნულ წინააღმდეგობას, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი თეორიული არგუმენტები:

1. კანონის ცოდნის პრეზუმფცია ითვალისწინებს კანონმდებლობის ცოდნას იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია პიროვნებისათვის, რათა მან წარმატებით შეასრულოს თავისი სოციალური ფუნქციები.

2. არსებობს იმის საშუალება, რომ განისაზღვროს მოქალაქეთათვის აუცილებელი სამართლებრივი ინფორმაციის ის მოცულობა, რომელიც ელემენტარული ორიენტირების საშუალებას მისცემს მათ სოციალურ ურთიერთობებში.

3. პირველადი სამართლებრივი ინფორმაცია დაკავშირებული უნდა იყოს კონკრეტული პირის უნართან — ქონდეს ან მოიპოვოს უფლებები და მოვალეობანი[5].

რაც შეეხება სისხლის სამართლის სფეროში კანონის ცოდნის პრეზუმფციის მოქმედებას, აქ საქმე სულ სხვაგვარადაა. ამ შემთხვევაში პრეზუმფციის რეალიზაცია შემოფარგლულია სამართლებრივი რეგულირების მხოლოდ ერთი დარგით — სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომელიც შეიცავს აკრძალულ ქცევათა ჩამონათვალს, რომელთა ჩადენასაც მეტად არასასურველი შედეგები მოჰყვება. ამრიგად, სისხლის სამართლის სფეროში კანონის ცოდნის პრეზუმფციის წარმატებით რეალიზაციის პირობას წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ცოდნა.

ანკეტაში შევიტანეთ რამდენიმე კითხვა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ვაერკვეთ, თუ როგორია ქალების სამართლებრივი ცოდნის დონე. კი-

---

[3] Личность и уважение к закону, М., 1979, с. 89.

[4] Керимов Д. А., Никитин В. Б., Орехов В. В., Спиридонов Л. И., Об изучении эфективности правовой пропаганды — в книге Человек и Общество. Выпуск II, Л. 1967; Долгова А. И., Изучение правового сознания несовершеннолетних, в книге: Проблемы социологии права. Выпуск I. Вильнюс, 1970, с. 188—207.

[5] Шавгулидзе Т. Г., Лежава Г. Ш., Общественное мнение и правосознание в динамике. Тб., 1990, с. 147-148.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვები ძირითადად განეკუთვნებიან სისხლის სამართლის სფეროს. ერთ-ერთი ასეთი კითხვაა, „როგორ მოქმედებს კანონის არცოდნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე“ (იხ. ცხრილი № 2).

ც ხ რ ი ლ ი 2

| № | შესაძლებელი პასუხების ვარიანტები | მრეწველობა მშენებლობა | სოფლის მეურნეობა | მეცნიერება, განათლება ხელოვნება | ჯანმრთელობის დაცვა | მომსახურების სფერო | სამართალდამცავი ორგანოები | სტუდენტები | დიასახლისები | მსჯავრდებული ქალები | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან | 5 | 6,7 | 5 | 16,7 | 3,4 | — | 1,7 | 21,7 | 16,7 | 8,7 |
| 2 | ამსუბუქებს პასუხისმგებლობას | 53,3 | 66,7 | 41,6 | 56,7 | 63,3 | 35,0 | 50 | 38,3 | 48,3 | 50,2 |
| 3 | არავითარი მნიშვნელობა არა აქვს | 26,7 | 18,3 | 53,4 | 26,6 | 25 | 58,3 | 45 | 40 | 11,7 | 33,8 |
| 4 | მიმძიმს პასუხის გაცემა | 15 | 8,3 | — | — | 8,3 | 6,7 | 3,3 | — | 23,3 | 7,3 |

როგორც ცხრილიდან ჩანს გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 33,8%-მა იცის, რომ კანონის უცოდინარობა არავითარ გავლენას არ ახდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე; 8,7%-ს კი მიაჩნია, რომ ეს გარემოება ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, ხოლო 50,2%-მა აღნიშნა, რომ კანონის უცოდინარობა ამსუბუქებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. 7,3%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის გაცემისაგან. მაშასადამე, გამოკითხულ ქალთა თითქმის 66%-მა არ იცის, რომ კანონის არცოდნა არავითარ გავლენას არ ახდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე.

რაც შეეხება ქალთა ცალკეულ ჯგუფებს, აქ ასეთი მდგომარეობაა. სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე ქალთა 58,3%-მა კითხვაზე სწორად უპასუხა. შემდეგ მოდის მეცნიერება, განათლება, ხელოვნების სფეროში დასაქმებულ ქალთა კონტიგენტი — 53,4%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აღინიშნა მსჯავრდებულ ქალებში — 11,7%.

მამაკაცთა მაჩვენებლები საგრძნობლად განსხვავდებიან ქალების მაჩვენებლებისაგან. გამოკითხულ მამაკაცთა ნახევარზე მეტმა იცის, რომ კანონის უცოდინარობა არავითარ გავლენას არ ახდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის იწყება 14 წლის ასაკიდან. ეს თითქოს ყველა მოქალაქემ კარგად იცის. მიუხედავად ამისა, ქალებმა, ამ საკითხის ცოდნაში ძალიან დაბალი დონე გამოამჟღავნეს. (იხ. ცხრილი № 3).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ქალთა ცოდნის დონე ძალიან დაბალია. გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 21,3%-მა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის დგება 14 წლის ასაკიდან. განსაკუთრებით ცოდნის მაღალი დონე გამოამჟღავნეს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3

| №№ | შესაძლებელი პასუხების ვარიანტები | მრეწველობა, მშენებლობა | სოფლის მეურნეობა | მეცნიერება, განათლება, ხელოვნება | ჯანმრთელობის დაცვა | მომსახურების სფერო | სამართალდამცავი ორგანოები | სტუდენტები | დიასახლისები | მსჯავრდებული ქალები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 12-წლიდან | 21,7 | 16,7 | 10 | 18,3 | 21,7 | | 8,3 | 13,3 | 1,7 | 12,4 |
| 2 | 14-წლიდან | 1,7 | 13,3 | 16,7 | 15 | 5 | 78,3 | 20 | 15 | 26,7 | 21,3 |
| 3 | 16-წლიდან | 30 | 35 | 10 | 31,7 | 36,7 | 18,3 | 35 | 41,6 | 15 | 28,1 |
| 4 | 17-წლიდან | 3,8 | 5 | 10 | 4 | 11,7 | — | 3,3 | 5 | 5 | 7,9 |
| 5 | 18-წლიდან | 15 | 3,3 | 15 | 10 | 16,7 | — | 15 | 11,6 | 10 | 10,7 |
| 6 | 20-წლიდან | 3,3 | 1,7 | 5 | 10 | 3,2 | — | 5 | 6,7 | 5 | 4,4 |
| 7 | მიმძიმს პასუხის გაცემა | 25 | 25 | 33,3 | 10 | 5 | 3,4 | 13,4 | 6,8 | 36,6 | 16,1 |

გორც მოსალოდნელი იყო, სამართალდამცველი ორგანოებში მომუშავე ქალებმა (78,3%).

ცოდნის დაბალი დონე აღმოაჩნდათ მრეწველობა-მშენებლობის სფეროში დასაქმებულ ქალებს (1,7%) და მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს (5%).

მამაკაცთა ცოდნის დონე, ამ საკითხთან დაკავშირებით, შედარებით მაღალია და ის 30%-ს შეადგენს.

ამრიგად, როგორც ქალების (21,3%) ისე მამაკაცების (30%) ცოდნის დონე, ამ საკითხთან დაკავშირებით, ძალიან დაბალია. ეს კი ასუსტებს კანონის მომწესრიგებელ ფუნქციას.

სისხლის სამართლის ნორმების ცოდნასთან არის დაკავშირებული ანკეტის შემდეგი კითხვაც: „თქვენი აზრით, ცოლქმრული ღალატი ისჯება თუ არა სისხლის სამართლის წესით?“ უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხული ქალების მხოლოდ 67,7%-მა თუ იცის, რომ ცოლქმრული ღალატი არ ისჯება სისხლის სამართლის წესით, დანარჩენი 32,3 ამ საკითხში სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს. (იხ. ცხრილი № 4).

ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ქალების გარკვეული კონტიგენტი ერთმანეთში ურევს დანაშაულსა და ამორალურ ქცევას. მათ ავიწყდებათ, რომ მორალური ანუ ზნეობრივი საქციელი თავისი არსით ემყარება პიროვნების ნებას და არ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. რასაკვირველია, ყველა დანაშაული თავისთავად ამორალური ქცევაა, მაგრამ ყველა ამორალური ქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, რადგან ამ დროს ეს ქცევა, როგორც დანაშაული, გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებ-

ცხრილი 4

| №№ | შესაძლებელი პასუხების ვარიანტები | მრეწველობა მშენებლობა | სოფლის მეურ-ნეობა | მეცნიერება, განათლება ხელოვნება | ჯანმრთელობის დაცვა | მომსახურების სფერო | სამართალდამცავი ორგანოები | სტუდენტები | დიასახლისები | მსჯავრდებული ქალები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიახ | 35 | 26,7 | 26,7 | 20 | 30 | — | 18,3 | 20 | 23,3 | 27,4 |
| 2 | არა | 48,3 | 61,7 | 73,3 | 75 | 53,3 | 100 | 66,7 | 70 | 61,7 | 67,8 |
| 3 | მიმძიმს პასუ-ხის გაცემა | 16,7 | 11,6 | — | 5 | 16,7 | — | 15 | 10 | 15 | 4,8 |

ობით. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებ-ობით კი ცოლქმრული ღალატი არ არის მიჩნეული დანაშაულად.

მამაკაცები, ქალებისაგან განსხვავებით, ამ საკითხის ირგვლივ უფრო მეტ ცოდნას ამჟღავნებენ. გამოკითხული მამაკაცების 73,5%-მა აღნიშნა, რომ ცოლქმრული ღალატი არ ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სამართლებრივ საკითხებზე ქალთა ინფორმირების საშუალებებს წარ-მოადგენენ სამართლებრივი ინფორმაციის წყაროები. ისინი იყოფიან ორ ჯგუფად: ფორმალური და არაფორმალური წყაროები. ფორმალურ წყარო-ებს განეკუთვნებიან: პრესა, რადიო, ტელევიზია. არაფორმალურს — საუბ-რები ოჯახში, მეგობრებთან, სამსახურში.

გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ რესპოდენტ ქალთა 79,1% — და 71,5% სა-მართლებრივი ინფორმაციის ძირითად წყაროებად ასახელებს, შესაბამისად, პრესასა და ტელევიზიას. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოკითხულ ქალთა დიდი ნაწილი ინფორმაციის ფორმალური წყაროებით ვერ იკმაყო-ფილებს მოთხოვნილებებს. ამის შედეგია ის, რომ სამართლებრივი ინფორ-მაციის წყაროებად ხშირად გვევლინებიან ნათესავების, მეგობრებისა და თანამშრომლებისაგან მიღებული ინფორმაციები, ამან კი შეიძლება გამოიწ-ვიოს ინფორმაციის დამახინჯება, ჭორების გავრცელება.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალთა ინფორმირების დონე სამართლებრივ საკითხებზე არც თუ ისე მაღალია.

რესპოდენტ ქალთა მხოლოდ 33,8%-მა თუ იცის, რომ კანონის უცოდი-ნარობა არავითარ გავლენას არ ახდენს სისხლის სამართლის პასუხისმგებ-ლობაზე. გამოკითხულ ქალთა მხოლოდ 21,3%-ს სცოდნია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქურდობისათვის იწყება 14 წლის ასაკიდან, ქალთა 32,3% აღნიშნავს, რომ ცოლქმრული ღალატი ისჯება სისხლის სამარ-თლის წესით.

ქალთა დაბალი სამართლებრივი ცოდნის დონე მიუთითებს სამართლებ-რივი ინფორმაციის საშუალებების კიდევ უფრო სრულყოფის აუცილებლო-ბაზე. ამიტომ საჭიროა, რომ სამართლებრივი ინფორმაცია მოსახლეობას მიეწოდოს მხოლოდ ფორმალური საშუალებებით. ეს კი ხელს შეუწყობს სოციალ-სამართლებრივი სინამდვილის რეალურ ასახვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. Н. ДАРАХВЕЛИДЗЕ

# УРОВЕНЬ ИНФОРМИРОВАННОСТИ ЖЕНЩИН ПО НЕКОТОРЫМ ПРАВОВЫМ ВОПРОСАМ

Резюме

Рассматриваются некоторые вопросы правовой информированности среди женщин, как демографической группы. На основе результатов эмпирического исследования, проведенного в масштабах Грузии, установлен уровень информированности в области уголовного права, а также степень интереса к вопросам права и значимости для женщин различных источников правовой информированности.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ზოიძე

# მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა ქართულ სამართალში

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე ქართულ სამართალში რამდენიმე ნორმა გვაქვს, რომლებიც ძალზედ ძუნწ ინფორმაციას იძლევიან. მხედველობაში გვაქვს პირველ ყოვლისა ბექას სამართლის 58-ე და 59-ე მუხლები[1], რომლებიც ერთ კონკრეტულ ვითარებას ეხება და ვერ იძლევა მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საერთო სურათს. 58-ე მუხლში საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მამა სახლიდან აძევებს შვილს და ამ გზითართმევს მემკვიდრეობის უფლებას. მაგრამ, ცხადია, ეს უმიზეზოდ არ მოხდებოდა. მამის გადაწყვეტილება შვილის არამართლზომიერი მოქმედების საპასუხოა. საერთოდ, შვილი ვალდებულია მშობლებთან ურთიერთობაში მოიქცეს ისე, როგორც ამას მოსეს სამართალი მოითხოვს: „პატივი ეცი შენს მამას და შენს დედას, როგორც გიანდერძა უფალმა, შენმა ღმერთმა, რომ დღეგრძელი იყო და კარგად იცხოვრო იმ მიწაზე, რომელსაც უფალი, შენი ღმერთი გაძლევს“ (მეორე სჯული $5_{16}$). სწორედ ეს ვალდებულება დარღვეულა როგორც ჩანს 58-ე მუხლიდან. ამიტომაცაა, რომ „თუ თავისი შვილი მამამან მისისა შეცოდებისათვის კიდეც გააძეოს, ჯელეწიფების და ცილებასა არავინ არს მართალ“. მაშასადამე, შ ე ც ო დ ე ბ ა ა ის საფუძველი, რომლითაც შვილს ერთმევა მემკვიდრეობაზე უფლება. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უფლების აღდგენაც შეიძლება და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოიქცევა შვილი გაძევების შემდეგ: მოინანიებს თავის „ცოდვებს“ თუ უფრო მეტ „დანაშაულს“ ჩაიდენს. ამიტომ, ამბობს კანონმდებელი: „თუ შვილი თავმოთნედ გაყოლოდეს არცა რა სით რა ეწყინოს, ალარათ შეეღრინოს, რა მამა გარდაჯდეს, მამულისა მოსაქმობასა მართალ ვერავინ მოუშლის მემამულებასა“. მაგრამ, თუ არ გამოსწორდება და გააგრძელებს უკანონო მოქმედებას, საერთოდ ვერ მიიღებს მამულზე მემკვიდრეობის უფლებას — „და თუ გარეთით ერბიოს, ეწყინოს, რაცა შესძლებოდეს ეავკაცოს, ვითა მამას გაეძოს, აგრეთვე სხვა ნურვინ რას ასაქმებინებს მამულსა თანა“.

აღნიშნული მუხლიდან ჩანს, რომ მამულზე მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა მძიმე სანქციაა და ამიტომ უმიზეზოდ არ უნდა მოხდეს შვილის სახლიდან გაძევება: „სხვისა, მეორის შვილისა გულისათვის, ანუ მეორის ცოლისა შვილთა გულისათვის და ცოლის ნათესავისათვის არ გააძოს მამამან ღვიძლი ძე, ვითა უბ[264r]რალო შვილი“. როგორც ითქვა, შეცოდების გამოხდება შვილის სახლიდან გაძევება. მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს „შეცოდება?“ 58-ე მუხლი პირდაპირ არაფერს არ გვეუბნება. ამაში გარკვეული სიცხადე შეაქვს ბაბილონის კანონმდებლობას. საქმე იმაშია, რომ ხამურაბის კანონები მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას იცნობს სწორედ შეცოდებისათვის.

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები ტ. 1, თბ., 1963, გვ. 446—447.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრად ჩამოგავს ჩვენს მიერ განხილული ნორმები ხამურაბის კანონთა 168-ე და 169-ე მუხლების დანაწესებს[2]. ამ უკანასკნელთაგან დგინდება, რომ მშობელს არა აქვს უფლება სახლიდან გააძევოს შვილი და ამრიგად ჩამოართვას მემკვიდრეობა, თუკი მას არ ჩაუდენია ისეთი შეცოდება, რომელიც საკმარისი იქნებოდა მემკვიდრეობის ჩამოსართმევად. ასეთია „მძიმე შეცოდება“ და არა ერთობ შეცოდება, როგორც ეს ბექას სამართალშია. თანაც, „მძიმე შეცოდება“ მარტო ერთხელ კი არ უნდა იყოს ჩადენილი, არამედ განმეორებით. ბექას სამართალში არც ამდაგვარი მინიშნება გვაქვს. სამაგიეროდ, ხამურაბის სამართალში არაა გათვალისწინებული ერთხელ გაძევებული შვილის მემკვიდრის უფლებებში აღდგენა. ეტყობა, იმიტომაც დასჭირდა კანონმდებელს „განმეორებითი შეცოდება“, რომ თავიდანვე კარგად დარწმუნებულიყო, რომ აქ შემთხვევით ამბავთან არა გვაქვს საქმე. თვით შეცოდების არსით დაინტერესდა ბაბილონის სამართლის ძეგლთა რუსულად გამომცემული ი. დიაკონოვი. როდესაც იგი აანალიზებს 168-ე და 169-მუხლების შინაარსს, შეცოდების არსის ასახსნელად მიგვანიშნებს ხამურაბის კანონთა 195-ე მუხლზე, შუმერულ კანონთა ფრაგმენტებზე (§ 4) და შუმერულ საოჯახო კანონებზე §§3-4)[3]. ხამურაბის კანონთა 195-ე მუხლში საუბარია შვილის მიერ მამის ცემაზე, რაც მძიმე შედეგებს იწვევს შვილის მიმართ: „უკეთუ შვილი გაარტყამს თავის მამას, მას თითები უნდა მოსჭრან“[4]. როგორც ჩანს, ცოდვის ჩამდენი შვილი ქონებრივადაც ზარალდება და სხეულებრივი სასჯელიც ედება. ადრინდელ ძეგლებში კი, რაზედაც ი. დიაკონოვი მიგვანიშნებს, სხვა სახის დარღვევებზეა საუბარი, რომელთაც ასევე შედეგად მოსდევს მამულისაგან შვილის განყენება. მაგალითად, „უკეთუ უმცროსი ვაჟი თავის მამას და თავის დედას ეტყვის: „შენ არა ხარ ჩემი მამა, შენ არა ხარ ჩემი დედაო“, მან უნდა დატოვოს სახლი, სახნავ-სათესი, ბაღი, ყველა მონა და ქონება, ხოლო თვით ეს უმცროსი უნდა გაიცეს მის სრულ ფასად“[5], მსგავსი შედეგი — შვილის სახლიდან წასვლა მოჰყვება, თუ მშობლები ეტყვიან შვილს, რომ „შენ არა ხარ ჩვენი შვილიო“. ასეთივე მოქმედებისათვის მკაცრი სანქციაა დადგენილი შუმერული საოჯახო კანონებით. იგი მშობელსაც კი არ ინდობს, თუკი მსგავს შეცოდებას ჩაიდენს შვილის მიმართ. მაგალითად, „უკეთუ მამა თავის ვაჟიშვილს ეტყვის: „შენ არა ხარ ჩემი შვილიო“, მამა ჰკარგავს სახლს და კედლებს“, ხოლო „უკეთუ დედა თავის ვაჟიშვილს ეტყვის: „შენ არა ხარ ჩემი შვილიო“ დედა ჰკარგავს სახლს და განძეულობას“[6]. როგორც ვხედავთ, ხამურაბამდელი კანონმდებლობით ერთი შეხედვით, მარტოოდენ ზნეობრივი ხასიათის დარღვევა მეტად მძიმე ყოფილა და შედეგიც საკმაოდ მკაცრი. მართალია ბოლომდე არა, მაგრამ მაინც გარკვეულ წარმოდგენს იძლევა ხამურაბისა და უფრო ადრინდელი ბაბილონური კანონები მშობელთა წინაშე შეცდომების თაობაზე. ბექას სამარათლშიც, სავარაუდებელია, შეცოდება იყოს მძიმე ხასიათის დარღვევა, ვთქვათ როგორიცაა მშობლის

---

[2] ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 47—48.

[3] Законы Вавилонии, Асирии и Хетского царства, церевод и комментарий под. ред. И. М. Дьяконова—„Вестник древней истории“, 1952, № 3 გვ. 291, 296.

[4] ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, გვ. 52

[5] იქვე, გვ. 9.

[6] იქვე, გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა ან სხვა რამ უპატივცემულო დამოკიდებულება, რითაც აშკარად ირღვევა მოსეს სჯული. აკი ვახტანგ VI-ის სამართალი გვაუწყებს, რომ „თუ შვილმან მამა ან გალაჴა, ან უკადრისი რამ ჰკადრა, იმას ავად მოპყრობა უნდა, ამიტომ [რომე] მეათე მცნება მამისა და დედის პატივის-დება არის“[7]. ბექას სამართალში გალახვა უსათუოდ საგულისხმებელია. რომაული და ბიზანტიური კახონდებლობაც ხომ მას მიიჩნევს მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის ერთ-ერთ საფუძვლად.

ბექას სამართლის 59-ე მუხლი ნაშვილების მემკვიდრეობიდან განყენებას ეხება. მამას ნაშვილების მიმართ ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორიც შვილის მიმართ. სახლიდან მისი გაძევება ხდება 58-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით, რასაც ემატება „სანივთო ღალატი“ („თავდასხმა გაძარცვის მიზნით“)[8].. „ნაშვილები თუ გაამოს, განაღამც გაყვა და შორს დადგა ყოვლისა მოსაქმებისაგან, თუ მიღმა ნაშვილებისაგან გამოჩნდეს სანივთო ღალატი და შეცოდება და არღარა შეენანოს თავისა მართლობა თავჴედობით“[9].

გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში გვაქვს მე-16 მუხლი, რომელიც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის კუთხითაა საინტერესო.

საქმე იმაშია, რომ იქ შეზღუდულია შვილის უფლებები მამის ნასყიდზე, შვილის მიერ მასზე უფლების მოპოვება მათ კეთილ ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ამიტომ, ამბობს კანონმდებელი, რომ „და შვილთან [248v], ნების მყოფელი იყოს, ნასყიდიც შვილს დაუგდოს“, ხოლო „და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში არა ჴელი აქუს შვილსა. თუ უნდა მამა გაყიდის, და თუ უნდა, მონასყიდე შეიტანს, — რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს“[10]. რა გამოდის, თუ შვილთან კეთილ დამოკიდებულებაშია მშობელი — შვილი ნასყიდის მემკვიდრეა, არაა კეთილ დამოკიდებულებაში — არაა მემკვიდრე. ამრიგად, აქაც დაახლოებით ანალოგიური საფუძველი გვაქვს სამემკვიდრეო ქონებაზე უფლების აღკვეთისა.

ვახტანგ VI-ის სამართალი ფაქტიურად არაფერს არ გვეუბნება მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე. ერთადერთი რაზედაც მას გადააქვს ყურადღება, ესაა მამაშვილთა ურთიერთ-დამოკიდებულება. როგორც ითქვა, შვილი ვალდებულია პატივისცემით მოეპყრას მშობელს. შეიძლება ვივარაუდოთ რომ თუ შვილმა „ან გალახა, ან უკადრისი რამ ჰკადრა“ მამას — იმას შეიძლება მემკვიდრეობის უფლებაც ჩამორთმევოდა. მართალია, შვილს ასეთ შემთხვევაში „ავად მოპყრობა უნდა“, მაგრამ ყოველგვარი უზნეო მოქმედება მშობლის მიმართ არ იყო საფუძველი „ავად მოპყრობისა“. ამაზე მიგვანიშნებს ვახტანგის სამართლის მე-80 მუხლის დანაწესი: „იქნება მამას შვილი ერთიმეორეზე ან ულონობისათვის, ან სიავისათვის სძულდეს და სჩაგრევდეს და სხვას შვილს უფრო ჰკერძევდეს, მამა ნუ უზამს, არა ჯამს — უფროსი უფროსად იმყოფოს და უმცროსი — უმცროსად“. მოკლედ, ავად მოპყრობა ჰგულისხმობს შვილის სამკვიდროსაგან განყენებას, მაგრამ არა ყოველთვის. შვილის უზნეო მოქმედება გარკვეულად მძიმე ხასიათისა უნდა იყოს (მშობლის მკვლელობა, ცემა და შეიძლება სხვაც), რომ მას მემკვიდრეობის უფლება ჩამორთმეოდა. ლეტურნოს ცნობით ინდოელებში „შვილებს რაც არ უნდა და-

---

7 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები. ტ. 1, გვ. 501.

8 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 364.

9 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, გვ. 447.

10 იქვე, გვ. 409.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემავებინათ მშობლებისათვის, ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ მათთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა“[11]. ჯერ კიდევ გოთების ესპანეთში შვილს ძალზე ცოდვა უნდა ჰქონოდა ჩადენილი, რომ მშობელს მისთვის მემკვიდრეობა ჩამოერთმია, თანაც ეს საკითხი იხილებოდა თემის საბჭოზე[12]. ეთნოგრაფიული მასალებიდანაც ჩანს, რომ გართულებულია სამკვიდროსაგან შვილის განყენება. ასე მაგალითად, ბესარიონ ნიჟარაძის გადმოცემით, სვანეთში „მამას არ ჰქონდა უფლება შვილი უწილოდ გაეგდო“[13]. იმერეთში ცნობილი იყო რამდენიმე ორიგინალური შემთხვევა, როდესაც მშობელი განაყარ შვილს დროებით ართმევს უფლებას სამკვიდროზე. ა. არგუტინსკის გადმოცემით, გაყრის აქტებში დათქმულია პირობა, რომ შვილმა მშობელი უნდა უზრუნველყოს სარჩოთი. თუ იგი ამას არ გააკეთებს, მაშინ მას ერთმევა ყველა ის ქონება, რომელიც თავის წილში მიიღო გაყრისას და მამა ეპატრონება მას სამისდღეშიოდ. მაგრამ, მამის გარდაცვალების შემდეგ ისევ უბრუნდება დაუდევარ შვილს[14]. ამრიგად, საბოლოოდ მემკვიდრეობის უფლება მაინც გარანტირებულია.

მართალია, საკუთრივ ქართული ეროვნული სამართლის ძეგლები ძალზედ ცოტა ცნობას გვაძლევენ მემკვიდრის სამკვიდროსაგან განყენების თაობაზე, სამაგიეროდ ეს საკითხი დეტალურადაა მოწესრიგებული ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ბერძნული სამართლით, რომელიც ბიზანტიური სამართლის გვიანდელი ნიმუშია. ამ ძეგლით შვილებს მემკვიდრეობის უფლება ერთმევათ შემდეგ შემთხვევაში:

1. სცემეს მათ დედ-მამა, გააგდეს სახლიდან ან აგინეს; 2. ცილი დასწამეს ძეფესთან ან მოსამართლესთან; 3. „ანუ მწვალებელთაგან განიზრდის ვინმე და მათის სიბოროტის წესნი ისწავლოს“; 4. მოწამლეს მშობლები; 5. დედინაცვალთან ან „მამის ხასათან“ კავშირი დაიჭირეს „საავკაცოდ“; 6. მშობელთა ზედა განდგომილ იქნას და მისის სიტყუითა მათ ზედა დიდი ზიანი საქმე მოუიდესთ“; 7. არ ეხმარებიან და არ უვლიან ღარიბსა და სნეულ მშობლებს (ვინც დაეხმარება და მოუვლის ის დაიმკვიდრებს მათ ქონებას, მიუხედავად იმისა ნათესავია თუ გარეშე); 8. არ ზრუნავს დაიხსნას ვალისათვის თავდებად დაყენებული მამა, რომელიც მევალეს ყავს დაჭერილი და დატყვევებული; 9. ქალი, რომელსაც მშობლებმა მისცეს მზითვი უარს ამბობს გათხოვებაზე; 10. „არა ინაღვლოს“ შვილმა დატყვევებული მშობლის გამოხსნისათვის; 11. მამის ნებართვის გარეშე შეირთო ცოლი[15]; რაც შეეხება სამემკვიდრეო უფლებათაგან აღმავალთა განყენებას ეს საკითხი იქ ვიწროდაა წარმოდგენილი. სირიულ-რომაული სამართლის ქართულ ვერსიაში კი უფრო სხვა გეზია აღებული — სამკვიდროზე უფლების შემცირებისა. ასე მაგალითად, მისი მეექვსე მუხლით ურჩი შვილი ღებულობს ცხრიდან ერთ წილს[16].

---

[11] Л е т у р н о Ш. Эволюция собственности, СПб, 1889, გვ. 247.

[12] К о р с у н с к и й А. История Испании IX—XII веков, М., 1976, გვ. 57.

[13] ბ ე ს ა რ ი ო ნ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1962, გვ. 114.

[14] А р г у т и н с к и й А. Семейные разделы у имеретин.—„Новое обозрение“, Тб., 1893, № 3175.

[15] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 197—199, 220.

ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო პრაქტიკის მასალებში საერთოდ ვერაფერს ვერ ვხედავთ მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევაზე, რასაც უეჭველად ექნებოდა ადგილი, ძალზე ძნელია იმისი თქმა, რამდენად სრულყოფილად გაითავისა ჩვენმა იურიდიულმა ცხოვრებამ აღნიშნული საფუძვლები. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრი მათგანი უსათუოდ იქნებოდა გამოყენებული. განსაკუთრებით ეს ეხება სარწმუნოებისაგან განდგომას. ამ მოტივით სამკვიდროსაგან განყენება ფართოდაა წარმოჩენილი კანონიკური სამართლის ცნობილი ძეგლით — დიდი სჯულის კანონით, რომელიც ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის უმნიშვნელოვანეს ნათარგმნ ძეგლს წარმოადგენდა. მასში ვკითხულობთ: „... ვითარმედ ყრმათა მათთაგანნი, უკუეთუ რომელნიმე მწვალებელნი იყვნენ, ხოლო რომელნიმე მართლმადიდებელნი, მხოლოდ მართლმადიდებელნი ოდენ დაიმკვდრნენ მათ, და უკუეთუ ყოველნი მწვალებელნი იყვნენ, ნათესავნი მართლმადიდებელნი დაიმკვდრნენ მათ, ანუ არცა თუ იგინი იყვნენ სეფენი დაიმკვდრებენ მათ.

და მეცხრამეტე განწესებაჲ — ვითარმდ მწვალებელნი მწვალებელთა შვილნი ვერცა ნიჭთა, ვერცა სამკვდრებელთა მათთა მიმღებელობენ.

ხოლო ოცდამეორე განწესებაჲ — ვითარმედ მწვალებელნი ვერცა მხედრობითისა ანდერძობისაგან დაიმკვდრებს, ანუ დატევებულსა მიიღებს“[17].

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ სხვა მაგალითების მოტანას დიდი სჯულის კანონიდან, რაც საკმაოდ უხვადაა. ვიტყვით იმას, რომ სამკვიდროსაგან განყენების საფუძვლები, რომელსაც ადგენდა იუსტინიანეს 115-ე ნოველა, შემდგომ არსებითად განმეორდა ბიზანტიური სამართლის ძეგლებში (ეკლოგა, პროხირონი და ა. შ.). და ის ჩამონათვალი საფუძვლებისა, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შევიდა ბერძნული სამართლის სახით, ბევრად არაფრით არ განსხვავდება იუსტინიანეს ნოველით დადგენილისაგან. ისლა დაგვრჩენია ვივარაუდოთ, რომ ეს საფუძვლები მეტ-ნაკლებად ჩვენშიც გამოიყენებოდა. მითუმეტეს, ქართული ეროვნული სამართლის ძეგლებში, როგორც დავინახეთ არ ჩანს მისი რაიმე სისტემა.

Б. И. ЗОИДЗЕ

## ЛИШЕНИЕ НАСЛЕДСТВЕННЫХ ПРАВ ПО ГРУЗИНСКОМУ ПРАВУ

Резюме

Рассмотрены основные вопросы лишения детей наследственных прав. Грузинские правовые памятники содержат весьма краткую характеристику этой темы. Автор считает, что в Грузии применялись нормы Греческого права, которые содержат судебник Вахтанга VI.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ

---

16 იქვე, გვ. 229.

17 დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975, გვ. 189.

„მაცნე", ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1991, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინე კვაჭაძე

# შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობები

ყოველი საზოგადოება კანონის ძალით იცავს თავისი წევრების სიცოცხლეს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ყოველთვის ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა.

არსებული კანონმდებლობაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას მძიმე დანაშაულად აცხადებს, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის სასჯელის უმაღლეს ზომას — სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის კანონი იცნობს განზრახ მკვლელობის ისეთ სახეებს, როდესაც ერთი კაცის მიერ მეორის სიცოცხლის ხელყოფა არამარტო მძიმე დანაშაულად არ ითვლება, არამედ სისხლის სამართლის შემამსუბუქებელ გარემოებასაც წარმოადგენს. მკვლელობის ამგვარ სახეებს მიეკუთვნება: განზრახი მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხ.) და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა (საქართველოს სსკ 107-ე მუხ.).

იმისათვის, რომ შევიმუშაოთ ამ დანაშაულთა გამიჯვნის კრიტერიუმი, უნდა მოვახდინოთ მათი შემადგენლობების ელემენტთა შედარება.

აფექტში ჩადენილი მკვლელობა თავისი გარეგნული ნიშნით ჰგავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მკვლელობას. თუ შევადარებთ ამ ორი დანაშაულის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე და 107-ე მუხლებს) შემადგენლობას, დავინახავთ ზოგიერთი ელემენტების მსგავსებას.

ყოველი დანაშაულის ობიექტს გარკვეული იურიდიული უფლებები წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფოს მიერაა დაცული და რომელსაც ხელყოფს დამნაშავე. ჩვენს მიერ განსახილველ დანაშაულთა ობიექტია ადამიანის სიცოცხლე. განსხვავებით მკვლელობის სხვა სახეებისაგან ამ დანაშაულთა ობიექტი არა ნებისმიერი პირის, არამედ მხოლოდ ხელმყოფელის სიცოცხლეა.

აფექტში ჩადენილი მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის ობიექტად მოძალადის, ხელმყოფელის სიცოცხლე წარმოგვიდგება. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს არამართლზომიერ ხელყოფასთან და ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენებასთან. ორივე შემთხვევაში დაზარალებულის სიკვდილი განპირობებულია თვით დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში დაზარალებულის მოქმედება გამოიხატება ძალადობის გამოყენებაში, ძალადობით მოქმედებაში მეორე პირის მიმართ, რაც იწვევს ამ უკანასკნელიდან ან მესამე პირიდან საპასუხო რეაქციას. ეს რეაქცია გამოიხატება ხელმყოფელისათვის სიცოცხლის მოსპობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლელობის ორივე სახის დამახასიათებელი ელემენტია ძალადობასა და საპასუხო თავდასხმას შორის დროის მოკლე მონაკვეთის არსებობა.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობას თან ერთვის ძლიერი სულიერი აღელვება, მაგრამ ძლიერი სულიერი აღელვება არ არის მისი აუცილებელი ნიშანი, მაშინ, როდესაც 106-ე მუხლისათვის იგი ძირითად და აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. საქართველოს სსკ 107-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობისას აფექტის მდგომარეობა შეიძლება მიზეზი გახდეს არსებული გარემოებების არასწორი შეფასებისა და ხშირად თან ერთვოდეს ამგვარ მკვლელობას.

კ. ოზგელდოვმა თავის რძალს ნაჯახით მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება. სახლში დაბრუნებული კ. ოზგელდოვი შეხვდა თავის შვილიშვილ დ. ოზგელდოვს და უთხრა, რომ მოკლა მისი დედა. დ. ოზგელდოვს გასისხლიანებული დედის დანახვაზე დაეუფლა ძლიერი სულიერი აღელვება და მოკლა ბაბუა, კ. ოზგელდოვი, რომელიც ახლა ცდილობდა მისი ცოლ-შვილის ნაჯახით მოკვლას.

სახალხო სასამართლომ დ. ოზგელდოვის ქმედობა საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლით დააკვალიფიცირა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გადააკვალიფიცირა დ. ოზგელდოვის მოქმედება საქართველოს სსკ 107-ე მუხლზე (მკვლელობად აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით). კოლეგიის დადგენილებაში მითითებულია: „მართალია დ. ოზგელდოვს გასისხლიანებული დედის დანახვაზე ძლიერი სულიერი აღელვება დაეუფლა, მაგრამ იმის შემდეგ, როდესაც დ. ოზგელდოვმა დაინახა, რომ ბაბუა მის ცოლსაც ნაჯახით დასდევდა მოსაკლავად, მისი მოქმედება უკვე ცოლის დასაცავად იყო მიმართული“.

დ. ოზგელდოვის ცოლის სიცოცხლის ხელყოფა მას აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში აყენებდა. ის, რომ დ. ოზგელდოვი აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებისას ან მანამდე ძლიერ სულიერ აღელვებაში იმყოფებოდა არ იძლევა საქართველოს სსკ 106-ე მუხლით მისი მოქმედების კვალიფიკაციის შესაძლებლობას. დ. ოზგელდოვმა ნაჯახი წაართვა ბაბუას იმ დროს, როდესაც ის რძლის სიცოცხლის ხელყოფას აპირებდა. ამიტომ, დ. ოზგელდოვის მიზანს სამართლებრივი ინტერესის დაცვა (ცოლის სიცოცხლე) წარმოადგენდა, ხოლო მოტივს — შურისძიება, რომელიც აფექტის მდგომარეობაში წარმოიშვა. დ. ოზგელდოვმა ნაჯახის წართმევით უკვე იმდენად შეასუსტა თავდასხმის საშიშროება, რომ ამის შემდეგ კ. ოზგელდოვის მოკვლა აღარც იყო სავალდებულო. სამართლის დაცულ ინტერესს საშიშროება აღარ ემუქრებოდა. ამიტომ დ. ოზგელდოვმა გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლები და მისი მოქმედება სწორად იქნა დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ 107-ე მუხლით[1].

შემდეგ განსახილველ ნიშანს ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარე წარმოადგენს. აფექტში ჩადენილი მკვლელობისას პირს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, სურს ეს შედეგი. აფექტის მდგომარეობაში დამნაშავეს შეუძლია შეიცნოს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი. აფექტის მდგომარეო-

[1] Т. Шавгулидзе, «Аффект и уголовная ответственность». Тб., 1973, с. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა არ გამორიცხავს დანაშაულის ფაქტობრივი და შეფასებითი მხარეების შეცნობის შესაძლებლობას. აფექტის დროს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის სურვილი არსებობს, რადგან აფექტში მოქმედება სწორედ ამ შედეგის გამო ხორციელდება. ამ დროს მკვეთრად არის გამოხატული დანაშაულის მიზანი (შურისძიება, სამაგიეროს მიზღვა) და სწორედ ეს მიზანი განაპირობებს აქტიურ მოქმედებას[2], ე. ი. აფექტში ჩადენილ მკვლელობაში პირდაპირი განზრახვის ყველა აუცილებელი ელემენტია, მაშინ, როდესაც ევენტუალურ განზრახვაზე ამას ვერ ვიტყვით. ევენტუალური განზრახვისას პირი ითვალისწინებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას, მაგრამ არ სურს იგი. აქედან გამომდინარე, ეფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა ყოველთვის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება[3].

აფექტში ჩადენილ მკვლელობისას დამნაშავე პირს შურისძიების მოტივი ამოძრავებს, ყველა ფსიქოფიზიკური ძალები კონცენტრირებულია სწორედ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს კონკრეტული მოტივი ამოძრავებს, მას სურს მისი შეურაცხმყოფელის, მოძალადის სიკვდილი. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოტივს და ამიტომ სასამართლოები ხშირად არასწორ კვალიფიკაციამდე მიდიან. მთვრალი პარ-ი შეიჭრა თავისი სიდედრის ბინაში და დაუწყო ცემა. ოჯახის წევრების ყვირილზე მოვარდა მეზობელი კარ-ი და შეეცადა დაეშოშმინებინა პარ-ი, მაგრამ მან მიატოვა სიდედრი და ახლა კარ-ს დაუწყო მოხრჩობა. მაშინ სიდედრმა კარ-ის დასაცავად პარ-ს ჯოხი ჩაარტყა თავში, რის შედეგადაც პარ-ი გარდაიცვალა. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სიდედრის ეს მოქმედება დააკვალიფიცირა განზრახ მკვლელობად, რომელიც ჩადენილია უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. ჩვენის აზრით, კოლეგიის ეს კვალიფიკაცია სწორი არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ხელყოფის ბოლო აქტი თვით სიდედრის წინააღმდეგ არ იყო მიმართული (პარ-ი კარ-ის სიცოცხლის ხელყოფია) მაინც არსებობდა აუცილებელი მოგერიების უფლება. პარ-ის სიდედრს საკუთარი ინტერესები კი არა, კარ-ის გადარჩენის მოტივი ამოძრავებდა. ამიტომ სიდედრის მოქმედება აუცილებელი მოგერიების ვითარებაში ჩადენილად უნდა განვიხილოთ, ხოლო მისი მოქმედება აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების აქტად უნდა მივიჩნიოთ[4].

უტლიაკოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. უტლიაკოვმა შეისწრო თავისი მეუღლე და ჩ. აბანოში ინტიმური კავშირის დროს. ჩ.-ე გაიქცა, ხოლო

---

2 მიუხედავად ამისა, როგაჩევსკის მიაჩნია, რომ აფექტში ჩადენილ დანაშაულისას არ შეიძლება ლაპარაკი მიზნისა და დამდგარი შედეგის დამთხვევაზე, არ შეიძლება დანაშაულის კონკრეტული შედეგი ჩაითვალოს დანაშაულის მიზნად. ყოველი იმპულსური (აფექტურ) მოქმედების თავისებურებას — მიზანის გაუთვითცნობიერება წარმოადგენს. (Л. А. Рогачевский „Особенности субективной стороны преступлений совершённых в состоянии аффекта“ Правоведение, 1983 г. № 6, с. 82).

3 ზოგიერთი ავტორის აზრით, აფექტში ჩადენილი მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვითაც. (Советское уголовное право. Особенная часть М. 1988 г. с. 155—156; Советское уголовное право. Часть Особенная, М. 1979 г. с. 183. Коментарий к уголовному кодексу РСФСР, М. 1985, с. 244) და სხვ.

4 Т. Шавгулидзе, «Аффект и уголовная ответственность», Тб., 1973, с. 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტლიაკოვამ უარი განაცხადა სახლში დაბრუნებაზე. უტლიაკოვმა რამდენჯერმე მიაკითხა მეუღლეს და შესთავაზა სახლში დაბრუნებულიყო, მაგრამ მეუღლე სახლში არ მიყვებოდა. 24 საათზე, უტლიაკოვმა კიდევ ერთხელ მიაკითხა თავის მეუღლეს და შეისწრო ისევ ჩ.-თან. უტლიაკოვს ძლიერი სულიერი აღელვება დაეუფლა. მან დანა ჩასცა ცოლს გულ-მკერდის არეში და მოკლა. ხოლო ჩ. — დაჭრა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ უტლიაკოვის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც განზრახ მკვლელობის (რსფსრ სსკ 103 მ. 15 და 102 მ. „გ“ პუნქტით) მცდელობა და განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი შეცვალა და უტლიაკოვის მოქმედება რსფსრ სსკ 104-ე მუხლით დააკვალიფიცირა, რადგან უტლიაკოვი აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც გამოწვეული იყო დაზარალებულის მიერ მიყენებული შეურაცხყოფით. უტლიაკოვს შურისძიების, სამაგიეროს გადახდის მოტივი ამოძრავებდა. მას რომ ცოლის მოკვლა სდომებოდა, ამის შესაძლებლობა გააჩნდა, როდესაც რამდენჯერმე მიაკითხა აბანოში და შესთავაზა შინ დაბრუნება. კოლეგიის დადგენილებაში მითითებულია, რომ მეუღლის მოკვლის განზრახვა უტლიაკოვს უეცრად წარმოეშვა. მისთვის მოულოდნელი იყო ჩ-სა და მისი ცოლის ხელშეორედ შეხვედრა. უტლიაკოვმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მას სამაგიეროს მიზღვის გრძნობა დაეუფლა და უეცარ სულიერ აღელვებაში მყოფმა მოკლა ცოლი და ჭრილობები მიაყენა ჩ.-ს[5].

სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად წყდება აფექტის საკითხი ცოლ-ქმრული ღალატის დროს. ხშირად ვხვდებით შეურაცხყოფის შინაარსის უსაფუძვლო გაფართოებას. ეს ხდება მაშინ, როდესაც დაზარალებულის ქმედობა არ არის კანონსაწინააღმდეგო. მხედველობაში გვაქვს ცოლ-ქმრული ღალატის შემთხვევა. ასეთ შემთხვევაში აღარ ხდება დამნაშავის მძიმე შეურაცხყოფა იმ გაგებით, რაც კანონმდებლის მიერ ამ ცნებაშია ჩაქსოვილი. აქ დამნაშავეს ამოძრავებს შურისძიება. ამიტომ ეს ქმედობა უნდა ჩავთვალოთ შურისძიების მოტივით ჩადენილ მკვლელობად[6]. მაგრამ საკმარისია „მეუღლეთა ღალატის“ დროს ადგილი ქონდეს ძალადობას (ცემა და სხვ.) ცოლის მიმართ, რომ აუცილებელი მოგერიების წესების გამოყენება იურიდიულად გამართლებულად ჩაითვლება და ამიტომ მისი 105-ე მუხლით დაკვალიფიცირების საჭიროება აღარ წარმოიშობა. თუკი ვინმე თავის ურთიერთობას სხვასთან ამყარებს ნებაყოფლობით, თუნდაც ფარულად, ამ შემთხვევაში წარმოიშობა საოჯახო, სამოქალაქო, მაგრამ არა სისხლის სამართლებრივი ურთიერთობები[7].

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის საკითხი სხვაგვარად წყდება. მკვლელობა არ ჩაითვლება აუცილებელი მოგერიების გადაცილებით ჩადენილად, თუ მომგერიებელი მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, თუ ის ითვალისწინებდა, რომ მის მიერ თავდამსხმელისა-

---

5 Постановления и определения по уголовным делам Верховного суда РСФСР. 1981—1988 гг. М., 1989, с. 159.

6 მ. ლეკვეიშვილი, „მკვლელობა, ჩადენილი უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე“. საბჭოთა სამართალი, 1976, № 5, გვ. 14.

7 Беляев В. Г., Свидлов Н. М. «Вопросы квалификации убийства», Вол., 1984, с. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მიყენებული ზიანი აშკარად აღემატებოდა ხელყოფის ინტენსივობას, ან იგი არ იყო სავალდებულო ხელყოფის მოსაგერიებლად, და მიუხედავად ამისა, სურდა ეს შედეგი. ასეთ შემთხვევაში სახეზეა განზრახ მკვლელობა. სხვაგვარი მდგომარეობაა ევენტუალური განზრახვის დროს. ამ შემთხვევაშიც მომგერიებლის მთავარ მიზანს დაცვა წარმოადგენს, ხოლო შედეგს მომგერიებელი ურიგდება როგორც ფაქტს, რომელიც მის მოქმედებას მოჰყვება. ჩვეულებრივ ასეთ ვითარებაში მომგერიებელი ურიგდება ხელმყოფელისათვის სიცოცხლის მოსპობას. ამრიგად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ევენტუალური განზრახვით ხორციელდება.

განზრახ მკვლელობა ჩადენილი უეცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, რაც გამოწვეულია დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით.

საქართველოს სსკ 107-ე მუხლით ჩადენილი მკვლელობა შეიძლება გამოიხატოს ძალადობაში, თავდამსხმელის დაჭრაში, ცემაში ანუ ისეთ მოქმედებაში, რომელიც ადამიანის სხეულის დაძაბვას მოითხოვს. აქედან გამომდინარე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა ძირითადად მოქმედების შედეგად წარმოიშობა და უმოქმედობა ძალიან იშვიათად გვხვდება.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის და აფექტში ჩადენილი მკვლელობის სუბიექტების ფსიქიკურ მდგომარეობას შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. თუ საქართველოს სსკ 107-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის სუბიექტი აბსოლუტურად ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობის მქონე პირს წარმოადგენს, აფექტში ჩადენილი მკვლელობის სუბიექტის ფსიქიკა, მისი ინტელექტუალური პროცესი აფექტის გამომწვევი მიზეზების გამო შებოჭილია, შესუსტებულია, მაგრამ მას არ აქვს მომსპარი თვითკონტროლისა და გარესამყაროში რეალურად გარკვევის უნარი, ეჭვს არ იწვევს მისი ფსიქიკის სრულფასოვნება და შერაცხადობა.

აფექტში ჩადენილი მკვლელობისას გარკვეული დისონანსი ხდება ადამიანის ფსიქიკაში.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისას კი ძირითადად შეცდომა ხდება სიტუაციის შეფასებაში.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნა მკვლელობისაგან, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების დროს, რაც გამოწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სირთულეს, განსაკუთრებით, თუ დაცვის ექსცესი ჩადენილია აფექტის მდგომარეობაში.

მეცნიერთა ერთ ნაწილს, აფექტში ჩადენილი დანაშაულისა (მკვლელობის) და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნის კრიტერიუმად ამ დანაშაულების მოტივი მიაჩნიათ[8]. ისინი აღნიშნავენ, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობის მოტივს დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობის ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისათვის გასწო-

---

[8] Слуцкий И. И., «Обстоятельства, исключающие уголовную ответственность». ЛГУ, 1956, с. 84; Тишкевич И. С. «Условия и пределы необходимой обороны», М., 1969, с. 153; Побегайло Э. «Квалификация умышленного убийства и борьба с ним». М., 1979, с. 138.

რება წარმოადგენს, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის მოტივს კი პირის მისწრაფება გადაარჩინოს ხელყოფისაგან კანონით დაცული ინტერესები.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას პირი მოქმედებს სამართლებრივი ინტერესების დაცვის შესაბამისი მოტივით. ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისას კი დამნაშავის მოტივს შურისძიების დაკმაყოფილების გრძნობა წარმოადგენს[9]. რადგან აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობისას დამნაშავეს დაზარალებულის მიმართ შურისძიების მოტივი თვით განზრახვის დროს წარმოეშობა და იგი გამოწვეულია დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით — ეს ვითარება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის მოტივები განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. თუ პირველ შემთხვევაში (აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისას) ადამიანის მოქმედების მოტივი გაკიცხვას იმსახურებს, მეორე შემთხვევაში — მოტივს არ გააჩნია უარყოფითი ხასიათი.

ჩვენის აზრით, იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანად არის უარყოფილი მოტივის, როგორც აფექტში ჩადენილი მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნის ერთადერთ კრტერიუმად აღიარება[10].

რა თქმა უნდა, აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნისას არ შეიძლება ამ დანაშაულების მოტივის უგულებელყოფა. ამავე დროს მოტივის ერთადერთ კრიტერიუმად გამოცხადება გამოიწვევდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების უსაფუძვლო გაფართოებას, შესაძლებლობას მისცემდა მომგერიებელს უმნიშვნელო და ადვილად აღდგენადი სიკეთის დასაცავად ხელმყოფლისათვის მიეყენებინა ნებისმიერი ზიანი სიცოცხლის მოსპობაც კი.

საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში ყველაზე გავრცელებული შეხედულებაა, რომლის მიხედვითაც აფექტში ჩადენილი დანაშაული და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი დანაშაულის გამიჯვნის კრიტერიუმად ხელყოფის ხასიათი გამოდგება.

კრიგერი აღნიშნავს: „როდესაც ძალადობა წინასწარი შეცნობით არ არის საშიში ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობისათვის, ის ვერ წარმოშობს აუცილებლის მოგერიების ვითარებას, ხოლო როდესაც ძალადობა საშიში იყო ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობისათვის, პირს რომელიც ძალადობას განიცდის უჩნდება აუცილებელი მოგერიების უფლება, რომლის გან-

---

9 ბ. ვ. სიდოროვს აფექტში ჩადენილი დანაშაულის მოტივად წყენა მიაჩნია, ლ. ა. როგაჩევსკის კი — სამაგიეროს მიზღვევა. Сидоров Б. Аффект. Его уголовно-правовое и криминологическое значение. 1978, с. 98; Рогачевский Л. с. 83. თ. შავგულიძეს — შურისძიება ციტ. ნაშრომი, გვ. 76, ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, „დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ“, თბ., 1980, გვ. 50.

10 Кригер Г. «К вопросу о разграничении убийства в состоянии необходимой обороны от убийства в состоянии аффекта», М., 1961, Вестник МГУ, X, с. 35—36; Шавгулидзе Т. Цит. раб..., с. 171.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორციელებისას არ არის გამორიცხული ხელმყოფელისათვის სიკვდილის მიყენებაც“[11].

ასევე, ვ. ვლადიმიროვს მიაჩნდა, რომ აფექტის გამომწვევი მიზეზებია ძალადობა, რომელიც არ არის მძიმე. მისი აზრით, ეს დებულება თვით სისხლის სამართლის მუხლიდან გამომდინარეობს. მუხლში ლაპარაკია მძიმე შეურაცხყოფაზე და არა მძიმე ძალადობაზე. ვლადიმიროვის აზრით, თუ ძალადობა მძიმე აღმოჩნდა პირს, რა თქმა უნდა, წარმოეშობა აუცილებელი მოგერიების უფლება[12].

ბუნებრივია, დაზარალებულის ძალადობის ხარისხს გარკვეული მნიშვნელობა აქვს აფექტში ჩადენილი მკვლელობისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნისათვის. მაგრამ არც ძალადობის ხარისხი გამოდგება ამ ორი დანაშაულის გამიჯვნის ერთადერთ კრიტერიუმად, რადგან: 1) ერთი და იგივე ხასიათის ძალადობით მიყენებული ზიანისას პირს შეიძლება ერთ შემთხვევაში წარმოეშვას აუცილებელი მოგერიების უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში დაეუფლოს ძლიერი სულიერი აღელვება. 2) მომგერიებელს ვერ მოვთხოვთ წინასწარ იცოდეს და განსაზღვროს, არის თუ არა ხელმყოფელის ძალადობა საშიში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. 3) გარდა ამისა, ძნელია ვამტკიცოთ, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას მხოლოდ ისეთი ძალადობა იწვევს, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ დანაშაულთა გამიჯვნისას არც ამ კრიტერიუმის მთლიანად უგულებელყოფა შეიძლება. „პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა პირადი ინტერესების ხელყოფის შემთხვევები, რომლებიც თვით ხელყოფის ხასიათის გამო არ იძლევიან აუცილებელი მოგერიების უფლების განხორციელების საშუალებას, მაგრამ არ გამორიცხავენ აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შესაძლებლობას[13]. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის პატიოსნებისა და ღირსების შეურაცხყოფა.

სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა გამორიცხავს სიტყვიერი შეურაცხყოფისას აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენებას და განიხილავს მას როგორც აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულს.

„სან-მა თანასოფლელთა თანდასწრებით სცემა და შეურაცხყოფა მიაყენა ლარ-ს. მეორე დღეს სან-ი მივიდა ლარ-ის სახლში და იქ დაუწყო გინება. ლარ-მა უწმაწური გინებით აღელვებულმა, სან-ს სანადირო თოფი ესროლა და მოკლა იგი“. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს ქმედობა დააკვალიფიცირა განზრახ მკვლელობად ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

ჩვენის აზრით, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სწორად უნდა ჩაითვალოს. სიტყვიერმა შეურაცხყოფამ არ შეიძლება წარმოშვას აუცილებელი მოგერიების უფლება, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი სულიერი აღელვე-

---

[11] Кригер Г. Цит. раб..., с. 35—36.

[12] Владимиров В. Признаки и квалификация преступлений, совершаемых в результате превышения пределов необходимой обороны, ВШ МВД СССР, В 111, с. 146.

[13] Шавгулидзе Т., Цит. раб..., с. 175.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბა. ხოლო თუ დაირღვა პიროვნების ხელშეუხებლობა, მაშინ დაცვითი მოქმედების განხორციელება განიხილება როგორც აუცილებელი მოგერიების აქტი.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: ბან-ი და ფან-ი მუშაობდნენ ტყავის დამამუშავებელ არტელში. ბან-ი ხანდახან ეხმარებოდა ფანს ტყავის უკანონოდ შესყიდვასა და გაყიდვაში. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ბან-ი ფან-ს დასცილდა. ამით გაღიზიანებული ფან-ი ხშირად ეჩხუბებოდა ბან-ს, აყენებდა საჯაროდ შეურაცხყოფას, ცემდა და მოითხოვდა ბან-ისაგან უკანონო ოპერაციებში დახმარებას და ვითომდა მითვისებული ფულის დაბრუნებას.

ერთ დღეს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ფან-ი ქუჩაში შეხვდა ბან-ს და დაუწყო ცემა მეწაღის ლითონის მძიმე მარწუხებით. ცემის დროს ბან-მა მოახერხა ამოეღო ჯიბის დანა და სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ფან-ს.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ბან-ი დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში[14].

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა იყოს სწორი. არ არსებობს საფუძველი მოგერიების უფლების ამგვარად შევიწროებისა. კოლეგიამ არ გაითვალისწინა, რომ ბან-ი თავს იცავდა ფან-ის ხელყოფისაგან და იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში. არ არის გათვალისწინებული ძალადობის ხასიათი, ხელყოფის საწყისი და საბოლოო მომენტი. ჩვენის აზრით ბან-მა გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

საქართველოს სსკ 106-ე 107-ე მუხლის გასამიჯნავად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელყოფის არსებობას, რადგან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა წარმოიქმნება მხოლოდ საზოგადოებრივი საშიშროების ხელყოფისას, ხოლო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება კი შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობისას.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისას პირს შეიძლება დაეუფლოს ძლიერი სულიერი აღელვება, რომელიც დაზარალებულის არამართლზომიერი მოქმედებით იქნა გამოწვეული, მაგრამ ამ ფაქტის დადგენა არ გამორიცხავს აუცილებელი მოგერიების ან მისი ფარგლების გადაცილების არსებობას.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობა მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის არსებობაზე, ხოლო ეს უკანასკნელი განისაზღვრება ხელყოფის საწყისი და საბოლოო მომენტით.

საქართველოს სსკ 106-ე და 107-ე მუხლების გასამიჯნავად უნდა დადგინდეს ხელყოფის საწყისი და საბოლოო მომენტი.

თვითონ ხელყოფა მაშინ არის იმწუთიერი, როდესაც ხელმყოფელი უკვე ზიანს აყენებს სამართალდაცულ ობიექტს. მაგრამ თუ ხელყოფის დასაწყისად ჩავთვლით იმ მომენტს, როდესაც დაცულ ობიექტს ზიანი მიადგა, ეს გამოიწვევს აუცილებელი მოგერიების ხელოვნურად შეზღუდვას, რადგან დაცვა უფრო ეფექტურია, როდესაც სამართლით დაცულ ობიექტს ჯერ კიდევ არ მიაყენეს ზიანი. აქედან გამომდინარე, აუცილებელი მოგერიება შეიძლება გან-

---

[14] Кригер Г., Цит. раб..., с. 35—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორციელდეს მაშინაც, როდესაც უშუალოდ ხელყოფა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ხელყოფის არსებობა იმდენად რეალური და გარდაუვალია, რომ დაცვის განხორციელება აუცილებელია. დაცვა შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერი მუქარის დროსაც (და არა განზრახვის გამომჟღავნებისას), როდესაც მუქარის რეალიზაცია იმწუთშივე და გარდაუვალად განხორციელდება.

თუ დადგინდა, რომ ხელყოფის მოგერიებისას პირი იმყოფებოდა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ქმედობა უნდა განვიხილოთ არა როგორც აფექტში ჩადენილი დანაშაული, არამედ როგორც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერი აქტი, ან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი დანაშაული. იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა უკვე შეწყდა, მაგრამ ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ქმედობა დაკვალიფიცირდება აფექტში ჩადენილ დანაშაულად[15].

აუცილებელი მოგერიების უფლება წყდება ხელყოფის შეწყვეტისთანავე. ხელყოფის შეწყვეტისთანავე იგი იმწუთიერად აღარ ითვლება. ამ დროს სამართლით დაცულ ობიექტს უკვე მიადგა ზიანი და ამიტომ ხელმყოფელისათვის ზიანის მიყენების უფლებაც აღარ არსებობს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება გვეფიქრა, რომ ხელყოფის დამთავრების შემდეგ გამორიცხულია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება და შეიძლება საკითხი დაისვას მხოლოდ აფექტში ჩადენილი დანაშაულის არსებობის შესახებ.

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც უარყოფილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შესაძლებლობა დროში.

მეცნიერების ერთ ჯგუფს (მენდელსონი, ანიანცი, ტკაჩევსკი)[19] მიაჩნიათ, რომ დაგვიანებული დაცვის დროს დანაშაულის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს არა როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, არამედ, როგორც აფექტში ჩადენილი დანაშაული. ასეთივე შეხედულებაა გატარებული საბჭოთა სისხლის სამართლის კურსში.

ჩვენი აზრით, „დაგვიანებული დაცვის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, დამცველი ხელყოფის დროს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაშია თუ არა, არამედ იმას, რომ მომგერიებელი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და არასწორად აფასებს შექმნილ მდგომარეობას“[17]. ძლიერი სულიერი აღელვება შეიძლება გახდეს საბაბი მდგომარეობის არასწორი შეფასებისა და ხშირად თან ერთვოდეს არადროულ მოგერიებას, მაგრამ ის მოგერიების ნიშანს არ წარმოადგენს — ამ დროს სუბიექტი ზიანს აყენებს ხელმყოფელს, რადგან მას ჰგონია, რომ ხელყოფა არ დამთავრებულა, იგი გრძელდება, ე. ი. უშვებს ფაქტობრივ შეცდომას.

---

[15] Советское уголовное право, Особенная часть, М., 1988, с. 156—157; Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1985, с. 246.

[16] Мендельсон Г., Ткачевский Ю. О пределах необходимой обороны. Социалистическая законность, 1956, № 7, с. 29—30; Аниянц К. Ответственность за преступления против жизни по действующему законодательству, М., 1964, с. 164.

[17] Шавгулидзе Т. Цит. раб..., с. 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაგვიანებული მოგერიება იმ დროს წარმოიშობა, როდესაც მომგერიებელის ფსიქიკა ჯერ კიდევ უარყოფით გამოწვეული ზეგავლენის ქვეშაა და ამიტომ პირი არასწორად აფასებს შექმნილ ვითარებას, მას არ ესმის, რომ ხელყოფა უკვე დამთავრდა. ამ დროს პირის მოქმედება დაკვალიფიცირდება ისევე, როგორც მოჩვენებითი მოგერიების დროს.

თუ შექმნილ ვითარებაში პირს არ შეეძლო განესაზღვრა ხელყოფის საწყისი და საბოლოო მომენტი, ასეთ შემთხვევაში პირი განთავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. არ არის გამორიცხული, რომ ამ მომენტის დადგენას ხელი შეუშალა პირის ძლიერმა სულიერმა აღელვებამ, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის უკანონო მოქმედებით (უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით). დამნაშავის ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა (ან სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებ მძიმე დაზიანებით, ჩადენილი ძლიერი აღელვების მდგომარეობაში). თუკი პირს შეგნებული აქვს, რომ ხელყოფა უკვე დამთავრდა და თან არ იმყოფება ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მაშინ დამნაშავე პირის ქმედობა დაკვალიფიცირდება როგორც განზრახ მკვლელობა ან სხეულის განზრახ დაზიანება. საკითხის ამგვარ გადაწყვეტაზე პირდაპირ მიუთითებს სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება[18].

ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობის და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის გამიჯვნისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ნიშნები:

1. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს განზრახ მკვლელობას შემამსუბუქებელ გარემოებებში.

2. ორივე შემთხვევაში მკვლელობა საპასუხო რეაქციაა დაზარალებულის არამართლზომიერი ქმედობის მიმართ. განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში გამოწვეულია დაზარალებულის მიერ უკანონო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით თვით დამნაშავის ან მისი ახლობლების მიმართ (საქართველოს სსკ 106-ე მუხ.) აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისას, მომგერიებელი ახორციელებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი, პირადი და კოლექტიური ინტერესების დაცვას არამართლზომიერი ხელყოფისაგან, თუნდაც აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობების დარღვევით (საქართველოს სსკ-107-ე მუხ.). ამ ორ დანაშაულს შორის განსხვავება ის არის, რომ აფექტში ჩადენილი მკვლელობისას, დამნაშავე პირი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებისაგან (უკანონო ძალადობა და მძიმე შეურაცხყოფა) იცავს თავის თავს ან თავისი ახლობლების სიცოცხლეს, თავის ან თავისი ახლობლების პატივსა და ღირსებას. საქართველოს სსკ 107-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობისას კი მომგერიებელი იცავს არა მარტო თავის და თავისი ახლობლების ინტერესს, არამედ კანონით დაცულ სხვა ინტერესებსაც.

3. ორივე დანაშაულს ახასიათებს დროის მოკლე ინტერვალი ხელყოფის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამნაშავის საპასუხო რეაქციას შორის.

4. ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ სსკ 106-ე მუხლის და საქართველოს სსკ 107-ე მუხლის გასამიჯნავად, მხოლოდ ერთი კრიტერიუმის გამოყოფა

[18] Сборник постановлений Пленума Верховного суда СССР. М., 1970, с. 327.

ეროვნული ბიბლიოთეკა



არ უნდა იყოს სწორი. ამ ორი, გარეგნულად მსგავსი დანაშაულების გამიჯვნისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ მოტივებს, ხელყოფისა და დაცვის ხასიათს, მათ ინტენსივობას, ხელყოფასა და დაცვას შორის დროის მონაკვეთს. გადამწყვეტ კრიტერიუმად კი ხელყოფის საწყისი და საბოლოო მომენტი გვევლინება.

М. С. КВАЧАДЗЕ

## УБИЙСТВА, СОВЕРШЕННЫЕ ПРИ СМЯГЧАЮЩИХ ОБСТОЯТЕЛЬСТВАХ

Резюме

В судебной практике и в теории советского уголовного права нередко сталкиваются с проблемой разграничений убийств, совершенных в состоянии аффекта, от убийств при превышении пределов необходимой обороны. В данной статье анализируются критерии разграничений этих двух видов убийств; дается обзор взглядов, связанных с критерием этих разграничений в советском уголовном праве; подчеркивается, что нельзя возводить в высший ранг только единственный критерий разграничений; перечисляются внешние сходства некоторых элементов этих составов преступлений.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეცენზია, ინფორმაცია, ქრონიკა

## АНАЛИЗ АКТУАЛЬНОЙ ПРОБЛЕМЫ УПРАВЛЕНИЯ ЭКОНОМИКОЙ

(рецензия на монографию Т. А. Беридзе. Централизм и самостоятельность в экономике (проблемы взаимосвязи). — Тбилиси: Мецниереба, 1991. —144 с)

Проблема централизма и самостоятельности в экономике составляет основу экономической стратегии на современный период развития общества. В этой связи бесспорно актуальна работа Т. А. Беридзе, в которой исследуется объективная экономическая основа централизма и самостоятельности, раскрывается содержание экономических форм, реализующих централизм и самостоятельность, дан анализ специфики форм реализации централизма и самостоятельности на региональном уровне, показана взаимосвязь экономической и политической реформ общества.

Монография состоит из введения, шести глав и заключения.

В первой и второй главах справедливо подчеркивается необходимость смены парадигмы отношений собственности: переход от монизма к многообразию как важнейшей предпосылке оптимизации соотношения централизма и самостоятельности в экономике. Автор придерживается мнения, что многообразие форм собственности, отражая состояние и разнообразие процессов обобществления производства, сложность социальной структуры общества, реализует положение различных слоев трудящихся и общностей как собственников средств и результатов труда. В работе сделан вывод, что основой огосударствления отношений собственности послужило их свойство находить свое выражение во властно-хозяйственных отношениях. Критерием же экономической целесообразности разгосударствления автор правомерно считает достижение в рамках данного производства его высшей экономической эффективности, что, по его мнению, создаст в конечном счете основу для реализации социальных целей.

Многомерность экономических отношений, процессы реального обобществления производства, полагает автор, объективно подводят к многосубъектности и многоуровневости отношений собственности. Первая ограничивает доступ к высшему хозяйственному управлению, а вторая обеспечивает разумную иерархию в реализации функций собственника, который никак не может быть представлен одним уровнем.

Т. А. Беридзе отмечает, что в современных условиях хозяйствования соединение функций собственника и хозяйствующего субъекта скорее исключение из правила, чем закономерность, так как в условиях развитого разделения экономических функций (отделение собственности от управления, дифференциация планирования, проектирования, маркетинга и т. д.) мотивационная структура и функции «хозяйского» комплекса трансформируются и в значительной степени теряют свой изначальный смысл. Современное производство не приемлет абсолютной идентификации собственника и хозяина и с чисто технической точки зрения, так как для развития и использования эффективных технологий необходима концентрация

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

собственности в значительных размерах, и вот здесь вступают в действие формы коллективного владения (например, акционерные предприятия). Следовательно, подчеркивается в работе, соединение субъекта собственности и субъекта хозяйствования может быть только относительным (абсолютное единство практически невозможно).

Автор считает, что достигнутый уровень развития производительных сил и обобществления требуют поиска новых форм реализации централизма и самостоятельности, выхода на качественно иные принципы их взаимодействия. При этом Т. А. Беридзе полагает, что уровень реального обобществления производства (как и обособления производителей), его современные формы определяют содержание централизма и самостоятельности в каждый конкретный момент развития экономики.

В третьей главе речь идет об экономических формах реализации централизма и самостоятельности. Подчеркивается ошибочность самой установки на возможность эффективного управления всеми предприятиями, всей экономикой из единого центра. Делается вывод, что в оптимально организованной экономике в распределении функций управления по уровням действует принцип минимальной достаточности: на более высоких уровнях решаются те проблемы, которые нельзя решить на низших, т. е. каждый уровень должен решать задачу, выполнимую в рамках его экономической компетенции. Анализируя содержание централизма, автор различает его директивную и экономическую формы. В первом случае решения, принятые на макроуровне, носят обязательный для исполнения характер, а во втором централизм выступает в форме организующего, регулирующего, координирующего действия на принципах полной экономической самостоятельности и ответственности субъектов хозяйствования. Т. е. речь идет о регулировании мегатенденций производства, выделении стратегических зон хозяйствования, согласовании микромотивов с микроэкономическим поведением.

Главная задача централизованных методов руководства — обеспечение стратегии социально-экономического развития — требует, по мнению автора, нового подхода к политике централизованных капитальных вложений, а именно, их целевой направленности: на научно-технические государственные программы, новое строительство, связанное с осуществлением крупных структурных сдвигов, важнейшие задачи социального развития.

Говоря о феномене монополизма в нашей экономике, автор отмечает, что наряду с чисто экономической основой (концентрация производства) у нас существует и административно-ведомственный (корпоративный) интерес, который и формирует особый монополизм в нашем хозяйстве. Методами борьбы с монополизмом в работе признаны демократизация хозяйственной жизни, интегрирование в экономику средних и малых предприятий, антимонопольная политика.

Рассматривая экономические основы самостоятельности предприятий, автор исследует границы этой самостоятельности, а также возможности и заинтересованность предприятий в экономических нововведениях, внедрении достижений НТП. Показано, что освоение научно-технических достижений находится в русле долговременных, перспективных интересов и целей предприятия и поэтому объективно требует адекватной формы хозяйственного расчета. Экономической границей реализации данной функции, по мнению автора, является способность хозрасчетных предприятий и

ეროვნული ბიბლიოთეკა

организаций самостоятельно финансировать разработку и внедрение новшеств.

В четвертой главе исследуется проблема экономических методов управления как основа разрешения противоречий централизма и самостоятельности. Подчеркивается, что нельзя абсолютизировать ни один метод хозяйствования, а исходя из наличных условий воспроизводства находить оптимальную комбинацию методов управления экономикой.

Автор, акцентируя внимание на современных рыночных отношениях как главном (синтетическом) методе хозяйствования, отдает себе отчет и в том, что экономическим субъектом может выступать и государство, проводя гибкую экономическую политику, используя при этом экономические меры воздействия на хозяйственные процессы. Дано определение понятия «экономическая среда» — как «социально-экономического пространства, формируемого взаимодействием всех экономических субъектов, персонифицирующих разные уровни отношений», предложены пути ее формирования. Речь идет о: многообразии форм собственности; свободном предпринимательстве; адекватной финансово-кредитной и банковской системе; создании институтов рынка (товарных и фондовых бирж, рынка рабочей силы, информационно-коммерческих центров); создании системы социальной защиты; выработке методов антимонопольного и антиинфляционного регулирования; структурной перестройке народного хозяйства; определении экономических функций государства; адекватном законодательстве; интегрировании в мирохозяйственные процессы; подготовке современных хозяйственных кадров.

В работе дан анализ самоуправления в экономике как особой формы реализации собственности. Автор прав, когда отмечает, что каждое звено в определенном смысле является самоуправляющейся системой, и, следовательно, отношения самоуправления могут иметь место как по горизонтальной, так и вертикальной линии хозяйствования.

Показано, что особенность самостоятельности региона заключается в том, что, во-первых, он является ассоциативным субъектом хозяйствования, во-вторых, каждый таксономический ранг вносит свои коррективы в содержание самостоятельности региона; в-третьих, регионы отличаются по конкретно-историческому уровню развития производительных сил, что накладывает свой отпечаток на возможности формирования прогрессивной структуры хозяйства и т. д. Рассмотрено отличие региона от предприятия, с одной стороны, и отрасли — с другой, что позволило автору сделать вывод о существовании региональной формы общественного воспроизводства как специфического уровня проявления производственных отношений, входящего в их общую структуру.

В пятой главе дан анализ понятия «экономический суверенитет союзной республики», подчеркивается относительность его действия, так как термин «суверенитет», взятый из политического лексикона, не имеет адекватного приложения к экономике. Возможность достижения «экономического суверенитета» автор видит на путях реализации принципа эквивалентности обмена и в самостоятельном формировании структуры народного хозяйства. Обосновано, что принципиальное значение при этом приобретает вопрос о республиканской собственности. Последняя, по справедливому мнению автора, должна включать

ეროვნული ბიბლიოთეკა

как природные, так и материальные, финансовые и кредитные ресурсы.

В шестой главе раскрывается взаимосвязь политической и экономической демократии как основы обновления общества. Обосновывается, что реформы в экономике будут некомплексными без их адекватного политического обеспечения, направленного на оптимизацию роли и функций как центральных и республиканских, так и местных органов власти.

Автор считает, что политические преобразования в обществе должны идти по двум направлениям: первое — преодоление глубоких деформаций основ государственного строя; и второе — радикальное переустройство содержания Союза суверенных государств. При этом автору, видимо, надо было рассмотреть возможность как различного качества образования Союза, так и последствия сецессии республик.

Анализируя содержание бюрократизма в экономике, автор подчеркивает, что его экономическую основу образуют отношения формального обобществления, тотального огосударствления собственности. Вообще же бюрократия как управленческая общность и агент определенного типа организации, говорится в работе, является всеобщим феноменом, присущим любому социуму, и поэтому речь должна идти не о ликвидации управленческих структур вообще, а о демократизации хозяйственной жизни, отходе от технократических концепций и построений, обеспечении хозяйственного народовластия как универсального принципа управления. Анализируя роль местных органов власти в деле реформирования экономики, автор считает, что действия этих властей должны быть направлены, с одной стороны, на развитие рынка, а с другой — на реализацию социально-экономических интересов территории, которые, кроме блока рыночных отношений, включают и другие отношения.

Завершая рецензию, хочется подчеркнуть, что автором проведено серьезное исследование актуальной проблемы экономической теории и практики, и поэтому книга будет одинаково полезна как ученым-экономистам, так и хозяйственникам.

**Меквабишвили Э. Г.**

ნ103/105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 მან.

ინდექსი 76196